


ქართული ენის
მ რ ა მ ა შ ი კ ა

შედგენილი

ი. ნიკოლაიშვილის მიერ

სახელმძღვანელო უკომის სკოლაებისათვის

სახელგამი — 1928



ფ ო ნ ე ტ ი კ ა .

§ 1. მეტყველების ბგერები. ჩვენი მეტყველება შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები—ბგერებისაგან.

ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ქვივის,
ბალში ვაზი ობოლი მეტი ლხენითა ტირის. (ი. კ.)

მოყვანილ მაგალითში პირველი სიტყვაა ტყემ, მეორე—მოისხა, მესამე—ფოთოლი.

პირველი სიტყვა შედგება ბგერებისაგან: ტ-ყ-ე-მ, მეორე—მ-ო-ი-ს-ხ-ა, მესამე—ფ-ო-თ-ო-ლ-ი-ი...

მეტყველების ბგერებს წერის დროს ჩვენ აღვნიშნავთ სხვადასხვა ნიშნით, ასოებით. ასო არის ბგერის წერითი ნიშანი.

რიგზე დალაგებულ ყველა ასოს ანბანი ეწოდება.

ქართულ ანბანში სულ ოცდაცამეტი ასოა: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, ჰ.

ძველ მწერლობაში ხმარობდნენ აგრეთვე და იშვიათად დღესაც ხმარობენ, განსაკუთრებით მეცნიერულ შრომებში, ასოებს; ა, ბ, ვ, ჟ, კ, მ, ფ, შ.

ა იგივე ი-ა, მხოლოდ უკანასკნელისაგან მით განსხვავდება, რომ იგი უმარცვლოა. ა იწერებოდა თითქმის მუდამ ხმოვნის შემდეგ (მამაა, ციხეა, ორმოა, ყრუა) და გამოითქმოდა თითქმის ისე, როგორც რუსული й.

ბ წარმოადგენს ე-სა და ა-ს შეერთებას და გამოითქმოდა როგორც ე-ა (ზბთ—ზეათ, ქვბთ—ქვეათ).

კ მიღებულია უ-სა და ი-ს შეერთებისაგან და გამოით-
ქმოდა როგორც ფი (ლეღ-ლეღუი-ლეღვი, იქვ-იქუი-
იქვი, თაგვ-თაგუი-თაგვი).

ჟ-იგივე უ-ია. წარმომდგარია ბერძნულ-სლავურის
მსგავსად ოვ-საგან. თუ მას თანხმოდანი მოსდევს, ან სიტყვის
ბოლოშია, გამოითქმის როგორც უ (ქუდი-ქუდი, ზღუდე-
ზღუდე, კუ-კუ), ხოლო თუ იგი ხმოვნის წინაა, გამოითქმის
თითქმის როგორც ფ (თუალი-თვალი, ქარუა-ქარვა).

უბრჯგუ (ჟ) მარცვალს არ შეადგენს, იგი უმარცვლო უ-ია.

ორი ნიშანი იყო ძველად აგრეთვე ბგერა ხ-ს გამოსათ-
ქმელად: ხანი და კარი. ხ გამოითქმოდა რბილად, კ მაგრა
(ხორხში). ეს ბგერა ახლაცაა ხმარებაში მთის ხალხებში (სვა-
ნეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში).

ბგერა ო-საც ორი ნიშანი ჰქონდა: ო და ფ. ო გამო-
ითქმოდა, როგორც ახალ ქართულში ჩვეულებრივ ო გამო-
ითქმის, ხოლო ფ-როგორც ოჲ. ეს ასო გვხვდება ძველ-
მწერლობაში როგორც მოწოდების ნაწილაკი (ფ უფალო, ფ
ძეო ღეთისაო). იხმარებოდა აგრეთვე ბერძნულიდან ნასესხებ
სიტყვებში.

ფ შემოიღო ანტონ კათალიკოსს (აღბად, რუსულის გავ-
ლენით). გამოითქმოდა, როგორც ფრანგული f ან რუსული
ф, და იხმარებოდა უცხოთაგან ნასესხებ სიტყვებში (ჭილო-
სოფოსი).

გ-ც ანტონ კათალიკოსის მიერაა შემოღებული სომხურის
გავლენით. გ გაურკვეველი ბგერაა. იგი იხმარებოდა ერთად
თავმოყრილ თანხმოდანთა დასაცილებლად, თითქო მათ შორის
ხმოვანთმაგვარი რაღაც ბგერა ისმოდეს (ბერძენი, მეკვდარი,
გერგვინვა).

§ 2. ხმოვანი და თანხმოდანი ბგერები. მეტყველების
ბგერები ორგვარია: ხმოვნები და თანხმოდანი.

ხმოვანი ბგერებია: ა, ე, ი, ო, უ, თანხმოდანი—ბ, გ,
დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, ჟ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ,
ც, ძ, წ, ჯ, ხ, ჯ, ჰ.

ც, ჩ, ძ, წ, ჰ, ჯ — რთული ბგერებია (აფრიკატები).

ც	დაახლოებით უდრის თს,
ჩ	თშ,
ძ	ღზ,
წ	ტს,
ჰ	ტშ,
ჯ	ღჟ.

1. გადმოიწერეთ ზემომოყვანილი ლექსი და ხმოვნებს ქვეშ ხაზი გაუსვით.

2. მოიფიქრეთ და დაწერეთ ორი სიტყვა, რომელშიაც თითო ხმოვანი იყოს; შემდეგ კიდევ ორი სიტყვა თითო ორ-ორი ხმოვნით; კიდევ ორი სიტყვა სამ-სამი ხმოვნით და ორიც —სამზე მეტი ხმოვნით.

§ 3. გამოთქმის ორგანოები. ბგერების საწარმოებლად საჭიროა შემდეგ ორგანოთა ამუშავება:

1. ფილტვების, რომლებიც იძლევა ბგერის გამოთქმისათვის საჭირო ჰაერის ნაკადს.

2. ხორხის, რომელშიაც იმყოფება ხმის გამომცემი ხმოსანი სიმები. ხმოსანი სიმები წარმოადგენს ორ კუნთს, რომელიც გაბმულია ხორხის გარდიგარდმო. ლაპარაკის დროს ამ კუნთების რხევა-მოდრაობა ჰქმნის ხმას.

3. პირის ღრუ, რომელშიაც იმყოფება აგრეთვე მეტყველების ორგანოები; ენა, სასა, (რბილი სასა*), კბილები და გარეთ — ბაგეები.

ეს ორგანოები ჰქმნიან ჩქამს (ხმაურობას), რომელიც ერთვის ხმას, ხოლო თუ ხმა არაა, პირდაპირ წარმოშობს მეტ-

*) რბილი სასის დანახვა ადვილია. აიღეთ სარკე, ფართოდ გააღეთ პირი და წარმოსთქვით გრძლად აააა. ამ ბგერის წარმოთქმის დროს პირის ღრუს უკანა ნაწილში რბილი სასა ცოტა ხევით აიწეეს და უკან აწევება. შევწყვეტთ თუ არა ა-ს გამოთქმას, იგი ისევ ძირს დაეშვება. რბილ სასას უწოდებენ მას მეორე მაგარი სასისაგან გასარჩევად, რომელიც ხედა ყბის ქვემოთა ნაწილს ჰქვია. იგი სარკეშიც კარგადა ჩანს და თითოთაც ადვილად შეეხებით.

ყველების ბგერას (ჩურჩულით ლაპარაკის დროს), ეს ჩქამი ჩნდება პირის ღრუში ჰაერის მოძრაობისაგან. რადგანაც ჰაერის რხევა-მოძრაობა პირის ღრუში ენისა, ბაგეებისა, რბილი სასისა და სხვათა სხვადასხვა მდგომარეობის დროს სხვადასხვაგვარია, ამიტომ ეს ჩქამიც მრავალგვარია. სწორეთ ამით აიხსნება მეტყველების ბგერათა მრავალფეროვნობა.


§ 4. მჟღერი (ხმიანი) და შრუ (უხმო) ბგერები. ხმოვანი ბგერებისა და თანხმოვანი ბ, ვ, გ, დ, უ, ზ, ლ, მ, ნ, რ, ძ, ლ, ჯ-ს წარმოქმნის დროს ხმოსანი სიმები დაჭიმულია, ერთმანეთზე მიკრული, ფილტვებიდან ჰაერის ნაკადი რომ მოაწვეება, მის ღრქვეში გავლის დროს გასწვეს მას და ატოკებს. ხმოსანი სიმების ეს ტოკვა-თრთოლა აძლევს ბგერებს ხმიერებას, ჰქმნის ხმას. ამგვარად, ხმოვანებსა და ზემოჩამოთვლილ თანხმოვნებს მჟღერი (ხმიანი) ბგერები ეწოდება*), ხოლო კ, პ, ტ, თ, ს, ჩ, შ, ფ, ქ, ყ, წ, ც, ჳ, ხ—ურუ (უხმო) ბგერებია.

ბგერათა წარმოება.

§ 5. ხმოვანთა გამოთქმა. მეტყველების ორგანოთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენა. მის ასეთსა თუ ისეთს მდგომარეობაზე დამოკიდებულია ამა თუ იმ ბგერის გამოთქმა, მაგ.: ა-ს გამოთქმის დროს ენა ბრტყლად არის დასვენებული, პირი გაღებულია, ბაგეები—ნორმალურ მდგომარეობაში, ხოლო ხმოსანი სიმები დაჭიმულია. მოაწვეება თუ არა უკანასკნელს ფილტვებიდან ჰაერის ნაკადი, სიმები ატოკდება, აჟღერდება, და გვესმის ა. ეს ბგერა მკაფიოდ ისმის მანამ, სანამ ჰაერის ნაკადი არ გამოიღვეა და სულის მოთქმა არ დაგვეკირდება.

*) მჟღეოსისა და ყრუ ბგერის გარჩევა ადვილია. ყურები თითოთ დაიკავიოთ და გამოთქვით ერთ-ერთი ზემოთ ნაჩვენები მჟღერი ბგერა, შემდეგ რომელიმე ყრუ. ეს რამდენჯერმე გაიმეორეთ და ცხადად შენიშნავთ მათ შორის განსხვავებას. როცა მჟღერს გამოსთქვამდით, ყურში რალაც ბუბუნნი გვესმოდათ, ხოლო ყრუ ბგერის გამოთქმის დროს არა.

ბგერა ე-ც სწორედ ამნაირაზე გამოითქმის, მხოლოდ როგორც სქემაზეა ნაჩვენები, ენის წინა ნაწილი ცოტა უფრო



ზევით აიწევს; ი-ს გამოსატქმელად ენის წვერი კიდევ უფრო მაღლა აიწევს, სასას დაუახლოვდება, მხოლოდ არ მიეკარება კი; ო-ს გამოსატქმელად ენის უკანა ნაწილი ცოტა ზემოდ აიწევს, ბაგეები კი წინ გამოიწევს და დარგვალდება; უ-ს გამოსატქმელად ენის უკანა ნაწილი კიდევ უფრო მაღლა აიწევს და ბაგეებიც უფრო დარგვალდება და დაეწროვდება.

§ 6. სასისმიერი ბგერები. თანხმოვანთა გამოთქმის დროს ენის წინა, შუა, ან უკანა ნაწილი მთლად ეკვრის სასას ან ძალიან უახლოვდება მას. მაგ. ხ-სა და ლ-ს გამოთქმის დროს ენის უკანა ნაწილი თითქმის მთლად ეკვრის სასას, მხოლოდ სასასა და ენას შუა ძალიან მცირე ღრიკე რჩება. ამ ღრიკეში გავლის დროს ჰერის ნაკადი ამ ხმების დამახასიათებელ ჩქამს გამოსცემს. სანამ ჰერის ნაკადის დენა ღრიკეში არ შეწყდება, ე. ი., სანამ სულის მოთქმა არ დაგვიკირდება, ამ ბგერების გაგრძელება შეიძლება. ასეთ ბგერებს ღრიკოვანს (სპირანტი) უწოდებენ.

ახლა ავიღოთ მაგალითად: გ, კ, ქ. ამ ბგერების გამოთქმის დროს ენის უკანა ნაწილი მაგრა ეკვრის სასას, ჰერს გასასვლელი ადგილი არა რჩება და ჰერის ნაკადი რო მოაწვება, უცებ მოსხლეტს ენას სასას, რის გამოც ამ ბგერების გაგრძელება არ შეიძლება. აბა, ცადეთ გ-ს გაგრძელება! თვითონ ბგერა გ უცებ გათავდა, შემდეგ კი ისმის რალაც გაურკვეველი ხმა. ასეთ ბგერებს ხშულებს უწოდებენ.

ენის ძირით, ხახის უკანა კედელთან მიბჯენით გამოითქმის ბგერა ყ, ხოლო ჰ ენის უკან, შიგ ყელში. ჰ ყელის ყრუ სპირანტია და, მაშასადამე, მისი გაგრძელება შეიძლება. ბგერების ყ სა და ზ-ს გამოთქმის დროს ენის წინა ნაწილი უახლოვდება სასას. ესენიც ლრიქოვანი ბგერებია, მათი გაგრძელება შეიძლება.

§ 7. კბილისმიერი ბგერები. ბგერების: დ-სა, ტ-სა და თ-ს გამოთქმის დროს ენის წვერი ეკვრის, ხოლო ზ-სა, ს, ც, ძ და წ-ს გამოთქმის დროს უახლოვდება ზედა წინა კბილებს, ამიტომ ამ ბგერებს კბილისმიერს უწოდებენ. ზემოხამოთვლილ ბგერათაგან ს და ზ ლრიქოვანი ბგერებია, მათი გაგრძელება შეიძლება, ხოლო დანარჩენნი ხშულებია.

§ 8. ბაგისმიერი ბგერები. ბაგეები მონაწილეობას იღებენ ხმოვანი თ-სა და უ-ს და თანხმოვანი ბ, პ, ვ, მ და ფ-ს გამოთქმაში. ამიტომ ამ ბგერებს ბაგისმიერს ეძახიან. როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვავი, თ-ს გამოთქმის დროს ბაგეები წინ გამოიწევენ და მორგვალდება, უ-ს გამოთქმის დროს კიდევ უფრო გამოიწევენ წინ და უფრო მორგვალდება, თანხმოვანი ვ-ს გამოთქმის დროს ქვედა ბაგე ზედა კბილებს უახლოვდება, ხოლო ბ, პ, ფ-ს გამოთქმის დროს ბაგეები ერთმანეთს მაგრა ეკვრის და ფილტვებიდან მოწოლილი ჰაერის ნაკადი სწრაფად აპობს მათ.

რადგანაც ვ-ს გამოთქმაში კბილებიც იღებს მონაწილეობას, ამიტომ მას კბილისა და ბაგის მიერ ბგერას უწოდებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი უმეტესად წყვილბაგეობისაკენ არის გადახრილი. ვ ლრიქოვანი (სპირანტი) ბგერაა და ამიტომ მისი გაგრძელება შეიძლება.

ბგერები რ და ლ შემდეგნაირად გამოითქმის: რ-ს გამოთქმის დროს ენის წინა ნაწილი სასას ეკვრის, ხოლო წვერი თავისუფლადა რჩება და თრთის, ლ-ს გამოთქმის დროს კი ენის წვერი ზედა წინა კბილებს ეკვრის, ხოლო გვერდები ძირს ეშვება და ჰაერის გასასვლელად ორივე მხრივ ცალიერი არე რჩება.

§ 9. ცხვირის ღრუ და ცხვირისმიერი ბგერები.

ზოგიერთი ბგერის გამოთქმაში ცხვირიც იღებს მონაწილეობას. ხორხიდან ცხვირისაკენ ასდევს ღრუ, როკელიც რბოლი სასის მიერ ხან დახშულია, ხან გაღებული.

აბა, გამოთქვით ბ! ახლა გამოთქვით მ! ამ ბგერების გამოთქმის დროს რა მდგომარეობაში იყო ბაგეები?—ღიად, ორივე ბგერის გამოთქმის დროს ბაგეები მაგრა იყო ერთმანეთზე მიკრული. ჰაერის ნაკადი მოაწვა მათ, უცებ გააპო და გვიგონეთ ბ, ხოლო მეორედ - მ. რატომ მოხდა ეს ასე? მეორე გამოთქმის დროსაც ჩვენ ბ უნდა გაგვეგონა და არა მ. ალბად, რალაც განსხვავება უნდა იყოს ამ ორი ბგერის წარმოების დროს. ახლა ავილოთ სხვა ბგერები: დ და ნ. გამოთქვათ ეს ბგერები და კარგა დავაკვირდეთ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ბგერების გამოთქმის დროს მეტყველების ორგანოები. დ-ს გამოთქმის დროს ჩვენ შევნიშნეთ, რომ ენის წვერი მაგრა მიებჯინა ზედა წინა კბილებს და ჰაერის ნაკადმა უცებ მოსხლიტა ის კბილებს. სწორედ ასეთივე ამბავი მოხდა ნ-ს გამოთქმის დროსაც. ამ ორი ბგერის გამოთქმის დროსაც რალაც განსხვავებული მდგომარეობა უნდა იყოს მეტყველების ორგანოების მდგომარეობაში, თორემ ერთნაირ მდგომარეობის დროს სხვადასხვა ბგერას ვერ მივიღებდით. ჩვენ რომ სარკით სარგებლობა შეგვეძლოს, ამ განსხვავებას ადვილად შევნიშნავდით. ღიად, შევნიშნავდით, მაგრამ პირველ შემთხვევაში, როცა ბ და მ გამოთქვით, პირი მოკუმული გვქონდა, ხოლო მეორე შემთხვევაში—დ-სა და ნ-ს გამოთქმის დროს პირი თუმცა ღია იყო, მაგრამ ზევითა წინა კბილები და მასზე მიბჯენილი ენის წვერი გვიშლიდა სარკეში პირის ღრუს დანახვას. ეს დაბრკოლება რომ წინ არ გადაგვლობებოდა, ჩვენ შემდგეს სურათს დაინახავდით: ბგერა მ-ს გამოთქმის დროს ბაგეები შეიკრა, ხოლო რბილი სასა ძირს დაეშვა, ცხვირის ღრუ გაიღო და ნაწილი ჰაერის ნაკადისა ცხვირისაკენ წავიდა, ხოლო მეორე ნაწილმა ბაგეები გააპო და გვიგონეთ ბგერა მ, როკელიც გაირჩევა სხვა ბგერებისაგან განსაკუთრებული თავისე-

ბურობით. ნ-ს გამოთქმის დროს ენის წვერი ზედა კბილებს მიეკრა, ხოლო რბილი სასა ახლაც ძირს დაეშვა. ეს ბგერაც განსხვავდება სხვა ბგერებისაგან თავისებურებით. დანარჩენ ბგერების გამოთქმის დროს რბილი სასა მკიდროდა მიკრული ხორხის კედელზე და ჰაერის ნაკადს ცხვირის ღრუსაკენ არ უშვებს. მ-სა და ნ-ს ცხვირისშიერ (ნაზალ) ბგერებს ეძახიან.

§ 10. თანხმოვან ბგერათა განდასება.

წარმოების გვარობის მიხედვით თანხმოვანი ბგერები ნარ-ნარ (სონორ) ბგერებს გარდა სამ ჯგუფად იყოფა:

1. ხშულები:

მკვეთრნი: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ

მელერნი: ბ, დ, ძ, ჯ, გ—

ყრუ მშვინაენი: ფ, თ, ც, ჩ, ქ—

2. ღრიჭოვანნი (სპირანტები):

მელერნი: ვ, ზ, თ, ლ,—

ყრუნი: — ხ, შ, ხ, ჰ.

3. აფრიკატები (რთული ბგერები):

სისინანი: წ, ძ, ც,

შიშინანი: ჭ, ჯ, ჩ.

ნარნარი (სონორი) ბგერებია: მ, ნ, რ, ლ.

გზარათა ცხრილი.

ენის წინა ნაწილით გამოითქმის:	
ენის უკანა ნაწილით:	
ენის ძირით:	
სასისმიერნი:	
ბაგისმიერნი:	
კბილისმიერნი:	
კბილისა და ბაგისმიერნი:	
ცხვირისმიერნი (ნაზალები):	

1. დახაზეთ ასეთი ცხრილი, შემდეგ, თუ ზეპირად არ გახსოვთ, გადმოიწერეთ ანბანი, თვითეული ბგერა ცალკე გამოთქვით რამდენჯერმე, ესა თუ ის ბგერა რა ნაწილის საშუალებით გამოითქმის—და ცხრილში თავის ალაგას ჩაწერეთ!

2. პირველ სამ რიგს რომ მოათავებთ, მეოთხეში ჩაწერეთ მხოლოდ ის ბგერები, რომელნიც სასის საშუალებით გამოითქმის, შემდეგ—ბაგისმიერნი და ასე ბოლომდე.

მარცვალი და მახვილი (ხმის აწევა).

§ 11. მარცვალი. როგორც ვიცით, ბგერის გამოსათქმელად საჭიროა ფილტვებიდან ჰაერის მოწოლა. ჰაერის ერთი მოწოლით შეიძლება გამოითქვას, როგორც ერთი ბგერა, მაგ.: ა, ო, ბ, გ, დ, ჳ, ისე რამდენიმე ბგერაც ერთად, მაგ.: ძმა, ბრმა, რკო, ღრუ, რომ, ხომ. სიტყვა ხარი-ს გამოთქმა კი ჰაერის ერთი მოწოლით არ შეიძლება, საჭიროა ჰაერის ორი მოწოლა: ხა-რი. სიტყვა მამალის გამოსათქმელად საჭიროა ჰაერის სამჯერ მოწოლა: მა-მა-ლი; საწერელი-ს გამო-

სატქმელად საჭიროა ჰაერის ოთხჯერ მოწოლა: სა-წე-რე-ლი. სიტყვის ნაწილს, რომელიც ჰაერის ერთი მოწოლით გამოითქმის, ჰქვია მარცვალი. ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი ხმოვანთან ერთად ჰაერის ერთი მოწოლით ადვილად გამოითქმის, მაგრამ თვითეული ხმოვნის გამოსატქმელად აუცილებლად საჭიროა ჰაერის ცალკე მოწოლა. ცალკე თანხმოვანი ერთი იქნება ის თუ რამდენიმე, მარცვალს ვერ შეადგენს, მათთან უსათუოდ უნდა იყოს ხმოვანი ბგერა, ხმოვანი კი მარტო ერთიც შეადგენს მარცვალს, მაგ.: ი—ა. ამგვარად, ხმოვანი ბგერა, მარტო იქნება ის, თუ მასთან ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი იქნება, შეადგენს მარცვალს. სიტყვა იმდენი მარცვლისაგან შედგება, რამდენიც მასში ხმოვანი ბგერაა სიტყვა შეიძლება იყოს:

- ა) ერთმარცვლოვანი: და, ძმა, ბუ, რუ, კლდე, რომ, თუ;
- ბ) ორმარცვლოვანი: მა-მა, დე-და, ხა-რი, ცი-ხე, ორ-მო;
- გ) სამმარცვლოვანი: მა-მა-ლი, კა-ლა-მი, რე-ე-უ-ლი;
- დ) მრავალმარცვლოვანი: სა-ხა-ზა-ვი, სა-წე-რე-ლი, თუ-თი-ყუ-ში, ცი-ცი-ნა-თე-ლა და სხვ.

ადვილია სიტყვების დამარცვლა, თუ თვითეულ ხმოვანს წინ ერთი თანხმოვანი უძღვის, ან პირველ ხმოვანს თუნდ რამდენიმე, მაგრამ სად უნდა დავეუღვათ მარცვალს საზღვარი, ორ ხმოვანს შორის თუ რამდენიმე თანხმოვანია, მაგ.: კოჯ-ზი, მატყლი, ხახვი, პატრიკეთი ზარბაზანი? ამ შემთხვევაში უნდა დავაკვირდეთ პირველ თანხმოვანს. თუ იგი ღრიკოვანი ბგერაა, ან ნარნარი, მის წინმძღოლ ხმოვანს უნდა შევეუერთოთ და მარცვალი ბოლოდან დავხუროთ, *) ღანარჩენები

*) მარცვალი ღვია თავში, თუ მას წინ თანხმოვანი არ უძღვის, მაგ.: ის. მარცვალი ღვია ბოლოში, თუ მას თანხმოვანი არ მოსდევს, მაგ.: მე. სიტყვა ია ორი მარცვლისაგან შედგება: ი—ა და ორივე მარცვალი თავშიაც ღვია და ბოლოშიაც. მაშალი სამი მარცვლისაგან შედგება: მა-მა-ლი; სამივე თავში დახურულია (თვითეულ ხმოვანს წინ თანხმოვანი უძღვის), ბოლოში კი სამივე ღვია. კოჯ-ზი ამ სიტყვაში პირველი მარცვალი თავშიაც და ბოლოშიაც დახურულია, მეორე კი თავში დახურულია, ხოლო ბოლოში ღვია. ამ მეორე მარცვალს ბოლოში თუ თანხმოვანს მივემატებთ, მაშინ ბოლოშიაც დახურება, მაგ.: კოჯ-ზით.

კი შემდეგს ხმოვანს მივაკუთვნოთ, მაგ.: კოფზი. ამ სიტყვაში ორი ხმოვანია: ო და ი; ო-სა და ი-ს შუა ორი თანხმოვანია: ვ და ზ; პირველი თანხმოვანი ღრიკოვანია, ამიტომ ის პირველ ხმოვანს ო-ს უნდა მივაკრათ, მეორე თანხმოვანი ზ კი უკანასკნელ ხმოვანს უნდა მივაკუთვნოთ და მივიღებთ: კოფ-ზი. ახლა დავყოთ მარცვლებად კიტრი. ამ სიტყვაში ხმოვანებსა ი-სა და ი-ს შუა ორი თანხმოვანია: ტ და რ. პირველი თანხმოვანი ტ ხშული ბგერაა, მაშასადამე, პირველ ხმოვანს ვერ შეუერთდება, იგი მეორე ხმოვანს ეკუთვნის: კი—ტრი. ამის მიხედვით სიტყვები ასე უნდა დავმარცვლოთ: კის-კი-სი, ა-რი, ტაშ-ტი, რიჟ-რა-ჟი, ლელ-ვი, პა-ტრი-კე-თი, მარ-ცვა-ლი, მერ-ცხა-ლი, ვერ-ცხლი, ნა-კვერ-ცხა-ლი, ზარ-ბა-ზა-ნი, ა-პრი-ლი, და-თვი, მა-კრა-ტე-ლი, ჯა-ქვი, მა-ჩვი, ნა-ძვი, ყმა-წვი-ლი, პა-ტრუ-ქი, ა-ფრი-კა და სხვ.

თუ სიტყვა სტრიქონში არ ეტევა, მეორე სტრიქონში უნდა გადავიტანოთ მთელი მარცვალი. ერთი ასოს სტრიქონში არც დატოვება შეიძლება (კ—ავი), არც გადატანა (კავი) უნდა გადავიტანოთ: კა-ვი, კარ-გი, მა-ჩვი, ვერ-ცხლი, მაკრატელი და სხ. ნაწარმოებ სიტყვებში თავსართები და ჩასართები მთელად უნდა დავტოვოთ სტრიქონში, ან გადავიტანოთ: მო-მა-ვა-ლი, გა-სა-კე-თე-ბე-ლი და სხვ.

გადაიწერეთ და მარცვლებად დაყავით: კამა, საბანი, კიტრი, ბია, თავი, პერანგი, კომბოსტო, ძაბრი, სავარძელი, ფარშავანგი, ზაფრანა, მასწავლებელი, იასამანი, ქავექავეძე, ქონქაძე, ჯორჯიაშვილი, სამსხეერპლო, გრდემლი, კურტანი, კალმახი, ფარცხი, ფოცხი, დირექტორი, ფანქარი, ცაცხვი, ვერხვი, ნაძვი, დოსტაქარი, მხატვარი, კურდღელი, ფოცხვერი, ბორჯომი, ოზურგეთი, სიღნაღი, აოავვი, ლიახვი, ქართლი, მესხეთი, მყინვარი, იალბუზი, ავლაბაოი, საბურთალო, დიმიტრი, მიტროფანი, ალექსანდრე, ავთაქდილი.

§ 13. მახვილი (ხმის აწევა) სიტყვებში. როცა სიტყვას წარმოსთქვამთ, თუ დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ ერთ-ერთი ხმოვანი სხვებზე ცოტა უფრო გძლიად და ხმის აწევით

იყო გამოთქმული. ავიღოთ, მაგ.: ხარი. ამ სიტყვაში ა უფრო გრძლად, ხმის აწევით გამოითქმის; მერცხალი — ე, საწინებელი — პირველი ე. ამგვარად, ყოველ სიტყვაში ერთ-ერთი მარცვალი დანარჩენებზე უფრო გრძლად და ხმის აწევით გამოითქმის. თუ სიტყვა ორმარცვლოვანია, ან სამმარცვლოვანი, მახვილი პირველ მარცვალზე უნდა, ხოლო თუ მრავალმარცვლოვანია — ბოლოდან მესამე მარცვალზე. ავიღოთ, მაგ., ოთხმარცვლოვანი სიტყვა: საქართველო. ამ სიტყვაში ბოლოდან მესამე მარცვალია ქარ, მაშასადამე, მახვილი ამ მარცვალზე მოვა. ახლა ავიღოთ ხუთმარცვლოვანი სიტყვა: მასწავლებელი. ამ სიტყვაში მახვილი მოვა მარცვალზე ლე.

წინა სავარჯიშოდან გადმოწერეთ მრავალმარცვლოვანი სიტყვები და იმ მარცვალს ზემოთ, რომელზედაც მახვილი მოდის, ასეთი ნიშანი დაუსვით (ეს არის მახვილის ნიშანი).

ბგერათა ცვალებების წესები.

მეტყველების პროცესში ბგერათა მრავალგვარი ცვლება ხდება, მაგ.: ზოგი ბგერა სხვა ბგერად იქცევა, ზოგი კი სრულიად იკარგება, მაგ.: ნიგო ზი — ნიგვ-ზის, ირემი — ირმის. პირველ სიტყვაში ბგერა ო — ვ — აუ შეიცვალა, მეორეში კი ბგერა ე სრულიად დაიკარგა.

§ 13. სიტყვებში ბგერათა დაკარგვა. ქართული ენა ვერ ითმენს ორ ერთგვარ ბგერას ერთად. სიტყვაში ორი ერთგვარი ბგერა თუ ერთად იქნება, ერთს უთუოდ ამოაგდებს, მაგ.: წავეალ — წავეალ, ცისსარტყელა — ცისარტყელა, ტანისსამოსი — ტანისამოსი, თთვე — თვე, ჩჩვილი — ჩვილი, გრამმატიკა — გრამატიკა, პროფესსორი — პროფესორი, კლასსი — კლასი, კასსა — კასა და სხ.

ძველად ათს ზევით ასე ითვლიდნენ: ათ-ერთ-მეტი, ათ-ორ-მეტი და სხ. დროთა განმავლობაში ა დაიკარგა და დარჩა თ-ერთმეტი, თ-ორმეტი... შემდეგ უნდა ყოფილიყო თ-სამ-მეტი, მაგრამ რადგანაც ორი ერთგვარი ბგერა (მმ) ერთად

მოხვდა, ერთი ამოვარდა, ხოლო პირველმა ორმა ბგერამ მოგვცა ც (მოიგონეთ აფრიკატები თს-ც) და გამოვიდა ცაშეტი.

ქართული ზოგჯერ გაურბის თანხმოვანთა შეგვეფუებას. თუ თანხმოვანთა ჯგუფში რ ურევია და ის ამ ჯგუფის შუა ალაგასაა, საუბარში მას ხშირად ამოაგდებს, მაგ.: ბრწყინავს — ბწყინავს, ბრძანება — ბძანება, ბრძენი, — ბძენი, მრწამსი — მწამსი, ახალგაზრდა — ახალგაზღა და სხ. *)

თუ ბგერას წინ მისი მსგავსი ბგერა უძღვის, ერთი მათგანი იკარგება, მაგ.: შეურაცხყოფა — შეურაცყოფა, ქვეშაგები — ქვეშაგები და სხ. უნდა ყოფილიყო თცხრამეტი, მაგრამ, რადგანაც თ ც-ს მსგავსი ბგერაა (თს=ც), ამიტომ თ ამოვარდა და დარჩა ცხრამეტი.

ვ იკარგება ო-სა და უ-ს წინ, მაგ.: ნათესავი — ნათესაობა, დავა — სადაო, პატივი — საპატიო, კივის — კიოდა, ჩივის — ჩიოდა, ფშავი — ფშაური, სწავლა — სასწაული, ვუძახი — უძახი, ვუწერ — უწერ. **) ვ იკარგვის აგრეთვე მის წინამდებელ ვ-ს გავლენით, მაგ.: გველვეშაპი — გველეშაპი, ვ ვერ ძლებს მის მსგავს ბგერებთან: ამბავი — ამბის — ამბები (უნდა ყოფილიყო: ამბვის, ამბევები).

ქართველობა ვერ ჰგუობს აგრეთვე ჰ-ს. დღეს იგი თითქმის მთლად გამქრალია. შერჩა მხოლოდ ზმნებს, როგორც სუბიექტ-ობიექტის მაჩვენებელი, ხმოვნების წინ კი ზმნებშიაც აღარ იხმარება. ძველად ამბობდნენ და წერდნენ:

ჰაკეთებ,	ახლა	აკეთებ,
ჰაკეთებს	.	აკეთებს,
ჰუწერ	.	უწერ,
ჰუწერს	.	უწერს,
ჰომი	.	ომი,
ჰრული	.	რული,

*) წერაში ამ რ-ს, რა თქმა უნდა, არ ამოვადგებთ.

**) ვ თუ სუბიექტური პრეფიქსია, როგორც მაგ. ვ-უწერ, ვ-უძახი, წერის დროს უთუოდ უნდა შევინახოთ, მისი ამოვადგება არ შეიძლება.

ჭურია	ურია,
ჭლაფი	ლაფი,
ჭალალი	ალალი,
ჭაქიმი	აქიმი და სხ.

კიდევადიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შაშქამონ მტრისანი (ხალხური).

§ 14. ასიმილაცია. ასიმილაცია მღვთმარეობს ბგერათა დამსგავსებაში. დამსგავსება ხდება როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების. ხმოვანი ი იმსგავსებს ა-ს ე-ს საშუალებით, მაგ.: წაილო—წეილო, გაიტანა—გეიტანა, წაიკითხა—წეიკითხა, ჩავიდა—ჩევიდა, ავიდა—ვევიდა...

ა—ო: წაულო—წოულო, გაულო—გოულო, გაუტანა—გოუტანა...

ი—უ: მიულოცა—მუულოცა, მიუტანა—მუუტანა, მიუჯდა—მუუჯდა.

ე—ა: შესკამს—შაშქამს, *) შევიდა—შავიდა, შეიტანა—შაიტანა...

თანხმოვანთა დამსგავსება შემდეგნაირად ხდება: თუ მჟღერი ბგერის წინ ყრუ თანხმოვანია, ეს უკანასკნელი აყრუებს მას, მაგ.: გამხდარი—გამხთარი, დამწიფდა—დამწიფთა, გაკეთდა—გაკეთთა—ან პირუკუ, მომღვეწო ყრუ ბგერა მის წინმძღოლ მჟღერს აყრუებს, მაგ.: აღტაცება—ახტაცება, გცემს—ქცემს, გწერს—ქწერს, მოგცა—მოქცა, მოსტყდა—მოსტყტა. აგრეთვე მჟღერი ბგერა მის წინმძღოლ ყრუს ხშირად აქლერებს, მაგ.: მათგან—მაღგან, ერთგული—ერდგული, მსგავსი მზგავსი, მისდევს—მიზდევს და სხ.

*) სიტყვაში შაშქამს არის ორი ბგერის დამსგავსება ე-ს დი ს-ს. ე დაი-მსგავსა ა-მა ა-ს საშუალებით და შიშინა ჭ-მა დამსგავსა სისინა ს შიშინა უ-ს საშუალებით. „შაშქამს“ ხალხური გამოთქმა (ქართლის ზოგ კლთხეში იხმარება) ლიტერატურაში არ იხმარება, უნდა დაეწერათ შესკამს.

შიშინა შ იმსგავსებს წინამძღოლ სისინა ს-ს შ-ს საშუალებით: სიში—შიში, სინჯვა—შინჯვა. ც იმსგავსებს ძ-ს ც-ს საშუალებით: ძარცვა—ცარცვა.

§ 15. დისიმილაცია. დისიმილაცია მდგომარეობს ბგერათა განმსგავსებაში. ზემოთ ჩვენა ვთქვით, ქართული ენა ვერ ითმენს ერთად ორ ერთგვარ ბგერასა თქო. ახლა კიდევ მეტი უნდა ვთქვათ: ვერ ითმენს ერთ სიტყვაში ზოგჯერ შორეულ მეზობლობასაც კი. ეს შეეხება განსაკუთრებით ლ-სა და რ-ს, მაგ რუსულიდან შემოტანილია ქალის სახელი Барбара. ქართულად ეს უნდა ყოფილიყო ბარბარე, მაგრამ, რადგანაც ამ სიტყვაში ორი ერთგვარი ბგერაა (რ), უკანასკნელი რ გადაასხვადეფრა, განამსგავსა პირველი რ საგან ლ-ით და მივიღეთ ბარბალე. უცხოთაგანვეა შემოტანილი აგრეთვე მამაკაცის სახელი პორფირი, ქართულმა უკანასკნელი რ განამსგავსა პირველ რ-ს ლ-ით—პორფილე.

სიტყვის ძირში თუ რ არ არის, წარმოების დროს ჩაირთავს სუფიქსებს: იერ, ურ ან არ-ს: ნიკი—ნიკიერი, მადლი—მადლიერი, სული—სულიერი, გონი—გონიერი, ზომა—ზომიერი, ძალა—ძლიერი, ვაჟი—ვაჟური, კაცი—კაცური—უკაცური, კახი—კახური, ძუძუ—უძუძური, ქცნობა—დამქცნარი, წვა—დამწვარი და სხ.

სიტყვის ძირში თუ რ არის, წარმოების დროს ჩაირთავს სუფიქსებს: იელ, ულ, ან აღ-ს: ხორცი—ხორციელი, სვირი—სვირული, ჩხარი—ჩხარული, გორი—გორული, ფერი—უფერული, ფსკერი—უფსკერული, შრომა—მშრალი, თრომა—მთერალი, კერვა—მკერვალი, ცხრომა—მცხრალი და სხ.

ლ-ს რ-თი განამსგავსებს:

ლელწამი
ლბილი
სულნელი

ლერწამი *),
რბილი,
სურნელი,

*) სწორია და უნდა დაიწეროს და გამოითქვას, როგორც შვეითა და ბეჟდილი.

წლეულს	წრეულს,
წლევიანდელი .	წრევიანდელი;

რ-ს ლ-ით განამსგავსებს:

ერთჯერ	ერთჯელ,
ორჯერ	ორჯელ,
ორ-ორი	ორ-ოლი და სხ.

§ 16. ბგერათა შენაცვლება. ხშირად ბგერები ერთმანეთს ენაცვლებიან, რასაც ბგერათა შენაცვლებას უწოდებენ. ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც თანხმოვნები, ისე ხმოვნებიც. უმთავრესი შემთხვევანი ბგერათა შენაცვლების მოცემულია შემდეგს ცხრილში:

ა-ს ენაცვლება ე მაგ.: ახლა *)— ეხლა; ასე--ესე, აგრე—ეგრე, აგრეთვე—ეგრეთვე;

ე-ს ენაცვლება ი: ვგრეხ—ვგრიხე, კრეფა—ავკრიფე, ვკრეკ—ავკრიკე;

ე-ს — ა: კრეკა—კრაკუნე, ჟღერა—ჟღარუნე, რეკა—რაკუნე, კნეტა—კნატუნე.

ხმოვნების შენაცვლება უფრო ხშირად რთულ სიტყვებში ხდება:

ა-ს ენაცვლება უ: ბალახ-ბულახი (უნდა ყოფილიყო: ბალახ-ბალახი), ჟღავი-ჟღუფი (ჟღავი-ჟღავი), ტაში-ტუში (ტაში-ტაში);

ე-ს — უ: ხევხუფი (ხევხევი), ერთურთი (ერთერთი);

ი-ს — უ: ჭიაჭუა (ჭია-ჭია); ბიჭბუჭი (ბიჭ-ბიჭი); ბინდბუნდი (ბინდ-ბინდი);

ა-ს — უ: კანტიკუნტი (კანტიკანტი), ფაჩი-ფუჩი (ფაჩიფაჩი), ყლაპიყლაპი (ყლაპიყლაპი);

*) სწორია და უნდა დაიწერას და გამოითქვას, როგორც შევითავა დაბეკილი.

ვ-ს	—	მ	ვკითხავ — ვკითხამ, ვხურავ — ვხურამ, ვჩაგრავ — ვჩაგრამ;
მ-ს	—	ვ	ვდგამ — ვდგავ, ვიზამ — ვიზავ, აღვთქვამ — აღვთქვავ;
უ-ს	—	ვ	უარი — ვარი, უკუა — უკვა, უკუ- ის — უკვის, უკუიანი — უკვიანი, შუადღე — შვადღე, შუამდგომე- ლი — შვამდგომელი, შუამავალი შვამავალი. საშუალი — საშვალი, საშუალება — საშვალება;
ო		ვ	დიაკონი — დიაკვნის, მაწონი — მაწვნის, ნიორი — ნივრის;
ფ-ს	„	ბ „	ფრჩხილი — ბრჩხილი, ფრთხილი — ბრთხილი, მყოფადი — მყობა- დი — მყოობადი.

§ 17. ბგერათა გადასმ-გადმოსმა (მეტათეზისი). სიტყვა-
ში ბგერები ხშირად ადგილს იცვლიან, წინა ნაწილიდან სი-
ტყვის ბოლოში გადადიან და, პირუკუ, ბოლოდან — თავში,
მაგ.: ძლიერი — ძრიელი, სიტყვის წინა ნაწილიდან ლ გადადის
ბოლოში რ-ს ალავას, რ კი სიტყვის წინა ნაწილში ლ-ს ად-
გილს იკერს. ხშირი — შხირი — ამ სიტყვაში შ-მ და ხ ერთი-
მეორის ადგილი დაიკავა.

მაგალითები:

დათვალიერება *)
მადლიერი
სულიერი
ცალიერი
ძმრიანი

დათვარიელება,
მადრიელი,
სურიელი,
• ცარიელი,
ძრმიანი,

*) სწორია და უნდა გამოათქვას და დაიწეროს ისე, როგორც შავითა და-
ბეჭდილი.

ქმრიანი	ქმრიანი,
ხარბუზაკი	ხაბურზაკი,
ვიღვწი	ვიღვწი,
თრეამეტი,	თერამეტი
ჩაგრვა,	ჩაგვრა
ხრვა,	ხვრა
კრვა,	კვრა
ძრვა,	ძვრა
სლვა,	სვლა
მოკლვა,	მოკვლა
აღლა,	აღარ
ვერლა,	ველარ

§ 18. რედუქცია. ხშირად სიტყვებში იკარგება ხმოვნები. ხმოვნის ეს დაკარგვა (დასუსტება) იწოდება რედუქციად. რედუქცია შეეხება ფუძისეულ ხმოვნებს და გამოწვეულია სუფიქსების გავლენით და იმაში მდგომარეობს, რომ ზკეთუ სუფიქსი ხმოვნით იწყება და, მაშასადამე, ღიაა თავში, ამ შემთხვევაში იგი წინამავალ ფუძისეულ თანხმოვანს მიიკრავს და მის წინამძღოლ ხმოვანს ამოაგდებს, მაგ.; ნამგალი. ამ სიტყვაში ნამგალ ფუძეა, ხოლო ისახელობითი ბრუნვის სუფიქსი (დაბოლოება), ნათესაობითი ბრუნვა უნდა ყოფილიყო ნამგალ-ის, მაგრამ, რადგანაც ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება—ის ღიაა თავში (ხმოვანი ი-თ იწყება), ამიტომ ის ფუძის უკანასკნელ თანხმოვანს ლ-ს მიიკრავს, ხოლო მის წინმძღოლ ხმოვანს ა-ს ამოაგდებს და გამოვა ნამგ(ა)ლის. ამასვე იწვევს ფორმანტი მხოლოდ ხმოვნისგან შემდგარი. ავიღოთ მაგ.: შენ მოკვალ—მან მოკლა. მესამე პირში უნდა ყოფილიყო მოკალა, მაგრამ, რადგანაც სუფიქსი ა თავშიაც და ბოლოშიაც ღიაა, ამიტომ ის მიიკრავს ფუძის უკანასკნელ თანხმოვანს ლ-ს, მისი წინმძღოლი ხმოვანი ა ამოვარდება და მივიღებთ: მოკ(ა)ლა.

მაგალითები: კალამი — კალმის, ბოსტანი — ბოსტნის, ყასაბი — ყასბის, კაკაბი — კაკბის, ნიჩაბი — ნიჩბის, ხვადაგი — ხვადგის, ნაბადი — ნაბდის, კარავი — კარვის, ქარაევანი — ქარავენის, თათარი — თათრის, სომეხი — სომხის, ფოთოლი — ფოთლის, დილომი — დილმის, კოკობი — კოკბის, ნიორი — ნიერის, იორი — იერის, ნიგოზი — ნიგვზის *) და სხ.

რედუქციის კანონს ემორჩილება უმთავრესად ა და ე, ზოლო ი, ო, უ, იშვიათად იკარგვის.

სიტყვა თუ სამმარცვლოვანზე ნაკლებია, რედუქციის ძალით ფუძიდან ხმოვანი იშვიათად ამოვარდება.

ამომავალმა მზემ წითლად
შეღება მთისა წვერები,
შედრა ყოველი სულდგმული,
ააქიკქია ფრინველები.

გადაიფურჩქნენ ათასფრად
ნამით ბანილნი ყვავილნი,
და ლალანობენ მწვანედა
შეთქვირებულნი ჯეჯილნი:

მეცხვარემ ცხვარი შეშალა
ამწვანებულსა გორასა,
პატარა მეხრემ დასძახა
ლექსი რაკრაკით გუთანსა.

ტყიდან ისმის ბულბულისა,
სტეენა მეტად საამურო,
თითქო ბანსა დასძახისო
სოფლის მწყემსის სალამური.

ყვავილების სურნელება
მოჰფენია გარს ყველგანა...
ხარობს ახლად გაღვიძული
მალლა ცა და ძირს ქვეყანა. (აკაკი)

*) უკანასკნელ სამ სიტყვაში ო შესუსტებულია გ-ით.

1) ამოწერეთ ამ ლექსიდან ის სიტყვები, რომლებშიაც რელუქციის ძალით ხმოვნები ამოვარდნილია.

2) შემდეგ ამოწერეთ ის სიტყვები, რომელთა ფუძიდან სიტყვის ცვალების დროს ხმოვნები ამოვარდება და ის ხმოვნები ფრჩხილებში ჩასვით.

მორწოლობია.

§ 19. სიტყვათა კავშირი მეტყველებაში. სიტყვების დაბოლოებათა ცვალემა. როგორც ვიცით, მეტყველება შედგება სიტყვებისაგან. მაგრამ სიტყვები თუ წესიერად არაა შეკავშირებული და მართებულად დალაგებული, ვერავითარ აზრს იმ სიტყვებიდან ვერ გამოვიტანთ. ავილოთ, მაგ.: მეცხვარე, მგელი, შიში, ვერ, გაგრძელება, ნადიმი. ამ მაგალითში ექვსი სიტყვაა მოყვანილი, მაგრამ არავითარ აზრს ეს სიტყვები არ შეიცავს, ხოლო თუ სათანადოდ შევცვლით ზოგიერთ სიტყვას, „მგელი“-ს მაგიერ ვიტყვიტ მგლისა, „შიში“-ს მაგიერ — შიშითა, „გაგრძელება“-ს მაგიერ — გაიგრძელებს, „ნადიმი“-ს მაგიერ — ნადიმსა, მაშინ მივიღებთ შემდეგს ფრაზას: მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნადიმსა, — რომელშიაც სიტყვები ერთმანეთთან გრამატიკულად შეკავშირებულია და აზრიც ნათელი და გასაგებია. როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, მეტყველებაში სიტყვები მკიდროდაა ერთმანეთთან შეკავშირებული და ეს შეკავშირება ხდება სიტყვების დაბოლოებათა ცვალების საშუალებით.

§ 20. სიტყვათა შეკავშირება უსრული სიტყვების საშუალებით. სიტყვების გრამატიკულად შეკავშირება შეიძლება აგრეთვე უსრული სიტყვების საშუალებით, რომელთაც თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ: და, მაგრამ, თუ, ან. მოსწავლე ზის და წერს; ჯერ თოვლი არ მოსულა, მაგრამ მაინც ძალიან ცივა.

§ 21. სიტყვათა დამოკიდებულება მეტყველებაში. ჩვენ ვამჩნევთ სიტყვების არა მარტო მქიდრო კავშირს, არამედ ერთი სიტყვის მეორე სიტყვისაგან დამოკიდებულებასაც. მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნადიმსა—ამ ფრაზაში სიტყვა „მეცხვარე“-ს მაგიერ რომ ვთქვათ მეცხვარეები, ამას აუცილებლად მოჰყვება სიტყვა „გაიგრძელებს“ შეცვლა: მეცხვარეები მგლის შიშით ვერ გაიგრძელებენ ნადიმსა. ამ ფრაზაში სიტყვა „გაიგრძელებენ“ დამოკიდებულია სიტყვა „მეცხვარეები“-ზე. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ერთი სიტყვის მეორისაგან დამოკიდებულება გამოიხატება სიტყვების დაბოლოებათა სათანადო შეცვლით.

§ 22. ფორმიანი და უფორმო სიტყვები. ბევრს ქართულ სიტყვას, ბგერებისა და მნიშვნელობის მიხედვით, ორი მხარე აქვს: ძირითადი, ან ნივთიერი და დამატებითი, ან ფორმალი. ავიღოთ, მაგ., სიტყვა „კაცი“. ამ სიტყვაში ჩვენ ვარჩევთ, ერთი მხრით, ბგერებს: კ, ა, ც, (კაც), რომლის გაგონებაზე მაშინვე წარმოვიდგება ორფეხი, მოაზროვნე, მეტყველი ცხოველი. ეს არის ამ სიტყვის ფუძე, რომელიც გვაჩვენებს მის ნივთიერ მნიშვნელობას, მეორე მხრით, ბგერა იგვაგებინებს მხოლოობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობას. სიტყვაში „სკამები“—ერთი მხრით ბგერები: ს, კ, ა, მ (სკამ) გვამცნებს დასაჯდომ ავეჯს, მეორე მხრით—ნაწილაკი ებ—სიმრავლეს, ორივე ერთად კი ებ და ი (ები)—მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობას. სიტყვაში „ჰკლავს“ ბგერები: კ, ა, ლ, ა, ვ (კალავ) გვაჩვენებს ერთგვარ მოქმედებას, მეორე მხრით ბგერა ჰ, გვაჩვენებს, რომ ეს მოქმედება გარდამავალია, უკანასკნელი ბგერა ს გვაგებინებს, რომ მოქმედი მესამე პირია. მთელად სიტყვა ჰკლავს გვაჩვენებს, რომ მოქმედება თხრობითი კილოს, აწმყო დროს, მხოლოობითი რიცხვის მესამე პირისაა. და ასეა ყველა მსგავს სიტყვაში. მაგრამ ქართულ ენაში ისეთი სიტყვებიცაა, რომელნიც არ იყოფიან მსგავსად ზემოთ მოყვანილი სიტყვებისა ორ ნაწილად. ასეთებია, მაგ.: შარშან, გუშინ, ხვალ, ზეგ და

სხვ. პირველი რიგის სიტყვებს აქვს ფორმა და ამიტომ მათ ფორმიან სიტყვებს უწოდებენ, მეორე რიგის სიტყვებს კი ფორმა არ გააჩნიათ, რის გამოც მათ უფორმოს ეძახიან. ფორმიან სიტყვაში ყველაფერი ის, რაც ძირითადს, ნივთიერ მნიშვნელობას შეიცავს, არის სიტყვის ფუძე, ხოლო, რაც ემატება და სახეს უცვლის მას, არის სიტყვის ფორმალური ნაწილი (ფორმანტი). ამგვარად, ფორმალური ნაწილებია: ა) ი (სიტყვა „კაცი“-ში), ბ) ებ (სიტყვა „სკამები“-ში) და გ) ბგერები ჰ და ხ (სიტყვა „ჰ-კალავ-ს“-ში). ამ ფორმალურ ნაწილებს აფიქსებს უწოდებენ.

§ 23. წარმოებითი და პირველადი ფუძე, სიტყვის ძირი, პრეფიქსი, სუფიქსი, ფლექსია. როგორც ზემოთ ვნახეთ, პირველ სიტყვაში არის ფუძე კაც და ერთი ფორმალური ნაწილი (ფორმანტი), ი, მეორე სიტყვაში „სკამები“ გარდა ამ ორი ნაწილისა: სკამებ და ი შიგ ფუძეში აღმოჩნდა კიდევ მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი ნაწილაკი ებ. ეს ნაწილაკი რომ ფუძეს მოვაშოროთ, მივიღებთ ახალ ფუძეს სკამ. მაშასადამე, სიტყვა სკამები შეიცავს ფუძეს სკამ და ორ ფორმანტს: ებ-სა და ი-ს.

ზოგიერთ სიტყვას კიდევ უფრო მეტი ფორმალი ნაწილი აქვს. ავიღოთ, მაგ., სიტყვა „გაკეთებული“ და დაეშალოთ მის შემადგენელ ნაწილებად. ამ სიტყვის ფუძეა გაკეთებულ, ხოლო აფიქსი ი — მისი ფორმალური ნაწილი. ი-ს წინ უძღვის მეორე აფიქსი ულ. მოვაშოროთ ესეც. მივიღეთ ახალი ფუძე გაკეთებ -- ული. ულ-საც წინ უძღვის მესამე აფიქსი ებ. ესეც რომ მოვაშოროთ, მივიღებთ ახალ ფუძეს გაკეთ-ებ-ული. ამ ფუძესაც შეიძლება მოვაშოროთ მეოთხე აფიქსიც გა და მივიღებთ კიდევ ახალ ფუძეს კეთ. ამ ფუძის მეტად დანაწილება კი აღარ შეიძლება. ავიღოთ ამ სიტყვის მსგავსი სხვა სიტყვები:

გა-ღვიძ-ებ-ულ-ი
 გა-შავ-ებ-ულ-ი
 გა-თენ-ებ-ულ-ი

მ-ღვიძ-არ-ი
 ვ-ა-ღვიძ-ებ
 გა-სა-ღვიძ-ებ-ელ-ი

გა ჩუმ ებ-ულ-ი	გა-ვ-ა-ღვიძ ებ-დი.
გა-ჯაფრ-ებ-ულ-ი	გამო-მე-ღვიძ-ა
გა-მდიდრ-ებ-ულ-ი	გამო-ი-ღვიძ-ებ-ს
გბ-ლალ ებ-ულ-ი	ღვიძ-ავ-ს

პირველ სვეტში ჩამოწერილი თვითეული სიტყვა შეკვი-ძლია იმნაირადვე შევკვალოთ, როგორც მეორე სვეტშია შე-ცვლილი სიტყვა „გაღვიძებული“, მაგ. ვ ა-შავ-ებ, გა-სა-შავ-ებ-ელ-ი, გა-ვ-ა-შავ-ებ-დი და სხ.; ვ-ა-თენ-ებ, გა-სა-თენ-ებ-ელ-ი, გა-ვ-ა-თენ-ებ-დი და სხ... მეორე სვეტში ჩამოწერილ სიტყვებში ჩვენ ყოველგან გვხვდება ღვიძ. როგორც ჩანს, ეს უნდა შეიცავდეს სიტყვის ძირითად მნიშვნელობას, დანარჩე-ნები კი ფორმალური ნაწილებია. სიტყვის ფუძეს, რომელსაც თან ახლავს ერთი ან რამდენიმე აფიქსი ნაწარმოებ ფუძეს ეძახიან, ხოლო ფუძეს, რომელსაც აფიქსები არ ახლავს და არ ნაწილდება—პირველადს, ან სიტყვის ძირს. აფიქსს, რომელიც წინ უძღვის სიტყვის ძირს, პრეფიქსი (თავსართი) ეწო-დება; აფიქსს, რომელიც სიტყვის ძირს შემდეგაა, სუფიქსს (ჩასართი) ეძახიან, ხოლო სულ უკანასკნელ აფიქსს ფლექსია (დაბოლოება) ეწოდება.

§ 24. უსრული, ან ნაწილობრივი სიტყვები. ზოგი-ერთს უფორმო სიტყვას არა აქვს არა მარტო ფორმალური ნაწილი, მას არ მოეპოვება არავითარი ნივთიერი მნიშვნელო-ბაც. ასეთებია, მაგ და, რომ, თუ, ხომ, კი, ან და სხ. ასეთ სიტყვებს უსრულს, ან ნაწილობრივ სიტყვებს ეძახიან.

§ 25. ფორმები სინტაქსური და ფორმები არასინტა-ქსური. სიტყვის ყველა ფორმალური ნაწილი ორ, ერთმანე-თისაგან დიდად განსხვავებულ, ჯუჯად იყოფა. პირველი ჯგუ-ფისანი აღნიშნავენ სიტყვათა შორის მხოლოდ დამოკიდებუ-ლების განსხვავებას, ხოლო სიტყვების მნიშვნელობას სრული-ად არა სცვლიან, მაგ.: მეგობარმა საყვედური მითხრა— მეგო-ბარს საყვედური ვუთხარი. მეორე ჯგუფისანი კი, პარაუკუ, სცვლიან მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობას, მათ შორის და-მოკიდებულებას კი არა. მოწათემ წიგნი იყიდა— მოწათემ წიგ-

ნაკი იყიდა. სხვაა წიგნი და სულ სხვაა წიგნაკი. წიგნი შეიძლება იყოს საშუალო ტანისაჲ და დიდიც, წიგნაკი კი პატარა წიგნსაჲ ჰქვიან, ის არ. შეიძლება დიდი იყოს. სიტყვის ძირი ორივეს ერთი აქვს: წიგნ, მაგრამ მეორეს ჩართული აქვს სუფიქსი აკ, რომელიც უცვლის სიტყვას მნიშვნელობას. სინტაქსური ფორმებია ის ფორმალური ნაწილები, რომელნიც დაშლის დროს გამოიყოფიან სიტყვას მის ფუძედ, პირის მჩვენებელ აფიქსად და დაბოლოებად. ხოლო არასინტაქსური ის აფიქსებია, რომელნიც გამოიყოფიან ფუძის შემადგენელ ნაწილებად დაშლის დროს. მაგ.: „წიგნი“ — ამ სიტყვაში წიგნ არის ფუძე, ი — სინტაქსური ფორმა; წიგნაკი — ამ სიტყვაში წიგნ არის სიტყვის ძირი, უკანასკნელი ი — სინტაქსური ფორმა, ხოლო სუფიქსი აკ ფუძის (წიგნაკ) შემადგენელი აფიქსია, არასინტაქსური ფორმა. „ვეწერ“ — ამ სიტყვაში ვ არის სინტაქსური ფორმა, წერ — ფუძე; „ჰბარავს“ — ამ სიტყვაში ჰ და ს სინტაქსური ფორმებია. ახლა ავიღოთ ნაწარმოებ ფუძიანი სიტყვა: განათლებული. ამ სიტყვაში დაბოლოება ი არის სინტაქსური ფორმა, განათლებულ — ფუძე. ეს ფუძე რომ მის შემადგენელ ნაწილებად დაეშალოთ, მივიღებთ განათლებულ, რომელშიაც წინდებული (პრევერბი) გა და სუფიქსები ებ და ულ არასინტაქსური ფორმებია, ხოლო ნათლ — სიტყვის ძირი. ერთსა და იმავე სიტყვაში შეიძლება იყოს როგორც რამდენიმე ფორმალური ნაწილი, ისე ფუძეც. რამდენიმე ფუძეა ეგრეთწოდებულ რთულ სიტყვებში, მაგ.: დედ-მამა, და-ძმა, დედამიწა, ცისკილური, მრავალძარღვა, ძირტკბილა, ყელწითელა, კეთილშობილი და სხ. თუ სიტყვის შემადგენელი ფუძეები, ერთად აღებული, ერთ ცნებას გამოჰხატავს, ერთად უნდა დაიწეროს, მაგ.: დედამიწა, ცისკილური, ძირტკბილა, — ხოლო თუ სხვადასხვა ცნებას, როგორც მაგ.: დედ-მამა — დედა და მამა, და-ძმა — და და ძმა, — ფუძეებს შუა პატარა ხაზი (დეფიზი) უნდა დავუსვათ.

§ 26. უღვლილება და ბრუნება. სინტაქსური ფორმების მქონე სიტყვები იყოფა ორ უმთავრეს ჯგუფად. პირველ ჯგუფს

ეკუთვნის ის სიტყვები, რომელნიც იუღლებიან, მეორეს— რომელნიც იბრუნეიან. პირველთა დამახასიათებელია პირის, რიცხვის, დროებისა და კილოების სინტაქსური ფორმები და ამ ფორმებით მათ ცვალებას უღვლილებას ეძახიან, „ვწერ“— ამ სიტყვაში სინტაქსური ფორმა ვ არის პირველი პირის მაჩვენებელი პრეფიქსი, „სწერ“ ს არის მეორე პირის პრეფიქსი, „წერს“—ს არის მესამე პირის მაჩვენებელი სუფიქსი; „ვწერე“—ამ სიტყვაში ვ არის პირველი პირის პრეფიქსი, ე—ნამყო დროს მაჩვენებელი სუფიქსია; „ვწერ-ე-თ“—ამ სიტყვაში ვ არის პირველი პირის მაჩვენებელი პრეფიქსი, სუფიქსი ე—ნამყო დროის, ხოლო სუფიქსი თ—მრავლობითობის; წერ-ე. ამ სიტყვაში სუფიქსი ე ბრძანებას (ბრძანებით კილოს) წარმოადგენს. ამ სიტყვას რომ წინ უძლოდეს პრეფიქსი ვ, ს ან ჰ, მაშინ ამ ფორმით ბრძანება აღარ გამოიხატებოდა.

მეორე ჯგუფის სიტყვების დამახასიათებელია ბრუნვების სინტაქსური ფორმები და ბრუნვებში მათ ცვალებას ბრუნებას ეძახიან. კაც-ი, კაც-მა, კაც-სა, კაც-ად, კაც-ის, კაც-ით,— ამ სიტყვებში სუფიქსები: ი, მა, ს, ად, ის, ით ბრუნვების სინტაქსური ფორმებია.

ზ მ ნ ა.

§ 27. ზმნის განმარტება. ზმნა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც იცვლება პირებსა, რიცხვებსა, დროებსა და კილოებში.

ზმნის მნიშვნელობა. მეტყველებაში ზმნა იხმარება მოქმედებისა (ხნავს, კერავს, ხატავს) და მდგომარეობის (წევს, დგას, ზის) აღსანიშნავად.

§ 28. პირველადი და წარმოებითი ზმნები. ზმნების პრეფიქსები და სუფიქსები. ზმნა ორგვარია: პირველადი და წარმოებითი. პირველადი ზმნა შედგება მარტო ერთი ძირისაგან, რომელსაც თან ახლავს მხოლოდ პირის მაჩვენებელი

ნაწილაკი (ე-წერ, ე-დრეკ, ე-კრეფ, ე-გრეხ), წარმოებითში კი შესაძლოა იყოს რამდენიმე ძირი (ეუ-თვალ-თვალ-ებ, გა-ძვალ-ტყავ-და, წაჯგქ უკუ-ჯექობს) და რამდენიმე პრეფიქსი ან სუფიქსი (ვა-კეთ-ებ ინ-ებ, ვა-შენ-ებ-ინ-ებ, გა და-ვა-წერ-ინ-ებ). წარმოებითა აგრეთვე რომელიმე სახელისაგან სხვადასხვა პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით ნაწარმოები ზმნა (ვა-ქვა-ვ-ებ, ვა-ღრმა-ვ-ებ, ვ-მფე-ობ, ვ-კაც-ობ, ვა-ერთ-ებ), რომელსაც ნა-სახელარი ზმნა ეწოდება.

ზმნის მარტივი პრეფერბებია: ა, გა, და, ჩა, წა, მი, მო, შე; რთული—ამო, ჩამო, წამო, მიმო, შემო, გადა, გად(ა)მო.

„ა-ვიდა, გა-ვიდა, და-ვიდა, ჩა-ვიდა, მი-ვიდა, მო-ვიდა, წა-ვიდა, შე-ვიდა; ამო-ვა-და, ჩამო-ვიდა, წამო-ვიდა, შემო-ვიდა, გადა-ვიდა, გადმო ვიდა, მიმო-დიოდა და სხ.

ზემოხსენებული პრეფერბები გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას, მაგ.: მივედი—მოქმედება მიმართულია აქედან იქით; მოვიდა—იქიდან აქეთ; ავიდა—ქვევიდან ზევით; გავიდა—შიგნიდან გარეთ; ჩავიდა—ზევიდან ქვევით და სხ. გვიჩვენებს აგრეთვე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას, მაგ.: წერა, წეროს; დაწერა, დაწეროს. ზოგიერთ ზმნას პრეფერბები უსათუოდ არ სჭირდება დროისა და მოქმედების შესრულების აღსანიშნავად. ასეთი პრეფერბები მათ მნიშვნელობას უცვლიან, მაგ.: ჰკითხა—მოჰკითხა, სთხოვა—მოსთხოვა.

ამ ნაწილაკებს წინდებულს (პრეფერბი) უწოდებენ გასარჩევად იმ პრეფიქსებისაგან, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზმნების სუფიქსებია: ავ, ამ, ებ, ობ, ოფ, ულ (ვბატავ, ვსვამ, ვაშენებ, ვგმობ, ვყოფ, ვკითხ-ულ-ობ).

ორმოში ფეტვი ჩავეარე შესანახადო, ორმოში წყალი ჩასულა დასალპობადო, ორმოდანა ამოეყარე გასაშრობადო, ჩიტი ლობეზე შემოჯდა ასაკენკადო.

ჩიტსა ჯოხი წამოფუსვი მოსაკლავადაო,
ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლელადაო.
ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევადაო,
იმან სრულიად წამართვა, რაც რამ შებადაო.

გადაიწერეთ ეს მაგალითი და პრევერბებს ქვეშ ხაზი გაუსვით!

§ 29. ზმნების სახე. ზმნას აქვს ორი სახე: უსრული და სრული.

უსრული სახის ზმნა გვიჩვენებს, რომ მოქმედება დაწყებულია, მაგრამ არ დასრულებულა, და არც ვიცი, დასრულდება იგი თუ არა (ვწერ, ვკითხულობ, ვხატავ, ვწერე, ვიკითხე, ვხატე), სრული სახის ზმნა-კი დასრულებულ მოქმედებას გვიჩვენებს (დავწერე, წავიკითხე, დავხატე), ან ისეთს მოქმედებას, რომელიც უსათუოდ დასრულდება (დავწერ, წავიკითხავ, დავხატავ).

უსრული სახის ზმნას პრევერბი არა აქვს, სრული სახისას კი უმთავრესად პრევერბი ახასიათებს.

§ 30. ზმნის გვარები. ზმნა არის სამგვარი: მოქმედებითის (წერს, ხატავს, აკეთებს, ხნავს, აშენებს), საშუალოს (წევს, ზის, ყვირის, იცინის, კვდება) და ვნებითი გვარის. ვნებითი გვარის ზმნა იწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნისაგან ძირსა და პირის მაჩვენებელ პრეფიქსს შუა ი-ს ან ე-ს და აწმყო ჯგუფში ებ—სუფიქსის ჩამატებით, მაგ.: ე-წერ—ვიწერ-ებ-ი, ე-ქსოვ—ე-ი-ქსოვ-ებ-ი, ე-კიდებ—ე-ე-კიდ-ებ-ი და სხვა.

§ 31. ზმნის კილოები. ზმნას აქვს სამი კილო: თხრობითი, კონიუნქტივი (ნატვრით-პირობითი) და ბრძანებითი.

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი, გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი ღღენი!
(ნ. ბ.).

ამ მაგალითში ზმნები: გაკვეთე, გააპე, გადაიარე, გასწი, გაკურცხლე, შემიმოკლე გამოჰხატვენ ბრძანებას, ამიტომ ის ზმნები, რომელთაც ასეთი ფორმა აქვთ: ბრძანებითი კილოს ზმნებია (წერე, იკითხე, ხატე, ააშენე, გააკეთე, იმუშავე).

1. ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლია, ნარზედა, გამოგქროლებს ალალი, წაგიყვანს მალლა მთაზედა.
(ხალხური)
2. დიდი ხანია, შესცქერის მალლა ვაშლს ცელქი შაქარა, „ოხ, ნეტაე ერთი მოწყდესო“, ამბობს თვის გულში პატარა.
3. ნიბლიას რომ არ დასძინებოდა, ალალი ვერ მოიტაცებდა.
4. ის წითელი ვაშლი რომ მოწყდეს, შაქარას ძალიან გაუხარდება.

პირველ მაგალითში მოყვანილი ზმნა დაგძინებოდა ნატურას გამოჰხატავს, ნატურასავე გამოჰხატავს მეორე მაგალითში ზმნა მოწყდეს. მესამე და მეოთხე მაგალითში კი ზმნები: დასძინებოდა და მოწყდეს პირობას გამოჰხატავს. როხორც ვხედავთ, პირველს ორ მაგალითში და მესამე და მეოთხე მაგალითში მოყვანილი ეს ზმნები ფორმით ერთგვარია, ხოლო მნიშვნელობით ხან ნატურას გამოჰხატავს, ხან პირობას, ამიტომაც ასეთი ფორმის ზმნებს ნატვრით-პირობითი კილოს ზმნებს (კონიუნქტივი) ეძახიან.

ვაჟაკთ ცრემლსა რად უძრახვენ?
რკინაც ტყდება, როს სცემს გრდემლი...
კაცთ და პირუტყვეთ გასარჩევად
ღმერთმა შექმნა მარტო ცრემლი. (ი. ჭ.)

მოყვანილ მაგალითში ზმნები: უძრახვენ, ტყდება, სცემს, შექმნა—არც ნატურას გამოჰხატავენ, არც პირობას, არც ბრძანებას—უბრალო თხრობაა. ასეთს ზმნებს თხრობითი კილოს ზმნებს უწოდებენ.

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯერ ვყოფილვარ მაგ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია.
დამაცა, ერთი გაუმართო
ჩახმახი ცეცხლის მკვესია,
სულ ერთად მოგამკვეინო,
რაც ჩვენზე დაგიტესია.. (ხალხური)

ამოწერეთ ამ ლექსიდან თხრობითი კილოს ზმნები ცალკე, შემდეგ კონიუნქტივი (ნატვრით-პირობითი კილოს) დაბოლოს — ბრძანებითი კილოს.

§ 32. ზმნების პირები, რიცხვები და დროები. ზმნას აქვს სამი პირი (ვწერ, სწერ, წერს) და ორი რიცხვი: მხოლოობითი (ვწერ) და მრავლობითი (ვწერთ).

პირველი პირი არის თვით მოუბარი (მე), მეორე — ვისაც ელაპარაკებიან (შენ), მესამე — ვის შესახებაც ლაპარაკობენ (ის).

ზმნას აქვს სამი დრო: აწმყო (ვწერ), ნამყო (ვწერდი, ვწერე, მიწერია, მეწერა) და მყოფადი. (დავწერ).

მწვერვალზე ვდგავარ. მზე სხივებს მტყორცნის,

ნამი პირსა მბანს, ნიაფი მკოცნის,

გულში მიკრავენ ამაყი მთები.

მუდამ მიწაზე ხოხვა მომწყინდა,

რომ ენახო ზეცა, ერთხელ, — მეც მინდა:

მომეცით ფრთები, მეც გავეფრინდები! (ვ. რ.)

ამ ლექსში ვდგავარ, მტყორცნის, მბანს, მკოცნის, მიკრავენ... ყველა ეს მოქმედება იმ დროს წარმოებს, როცა ამ ლექსს ვკითხულობთ.

მოქმედებას, რომელიც სწორედ იმ დროს წარმოებს, როცა მის შესახებაა ლაპარაკი. აწმყო დროს მოქმედება ეწოდება.

გარშემო ბნელოდა,
სული მზეს ელოდა,
ხან მწარედ გმინავდა,
ხან რწმენით მღეროდა.
ცისკარი აღმოხდა,
შევძახე: რა მოხდა?
მახარა: „მზე შოდის,
ბნელს სული ამოხდა!“

გულს მოხედა სიამე.
დავკრიფე ია მე
და უცხო სურნელით
დავტკბი და ვიამე.
ესთქვი: „თვალთ არ ნახულს,
ოცნებით დანახულს
დიდება, სალამი
ფრთალამაზ გაზაფხულს!“ (ვ. რ.)

ამ ლექსში ბნელოდა, ელოდა, გმინავდა, მღეროდა, აღმოხდა, მოხდა, ამოხდა, დავკრიფე, დავტკბი, ვიამე, ესთქვი — ყველა ეს მოქმედება ლექსის თქმამდე წარმოებდა.

მოქმედება, რომელიც მის შესახებ საუბრის წინ წარმოებდა, არის ნამყო დროს მოქმედება.

გაგლეჯს, გაგლეჯს გალიასა ის არწივი, დღეს რომ ტყვედ ზის,
სადაც სხივი მოციმციმე ველარ ატანს ბრწყინვალე მზის.

გაგლეჯს... მძლავრად გაშლის კვლავ ფრთებს,
მოველება სამშობლო მთებს,
დაუკოცნის ხუჭუქა თმებს!

თავისუფლად მონაფარდე მოუწოდებს მისებრ გმირებს,
მტერს შეუტევს, მთელ ქვეყანას მოხიბლავს და გააკვირვებს.

არ მოიხრის მონურად ქედს,
თავს შესწირავს ჩაგრულთა ბედს,
ან მოკვდება, ან გამოსკვდის!

განა დღესაც მისთვის არ ზის გალიაში ფრთებშეკრული?
დღესაც მასზე არ ოცნებობს, იმისთვის არ უწუხს გული? —

ის არაა მისი ღმერთი,
სალოცავი ერთადერთი,
ამ სოფელთან შემაერთი? (ვ. რ.)

ამ ლექსში არწივი გაგლეჯს, არწივი გაშლის ფრთებს,
არწივი მოევლება მთებს, დაუკოცნის, მოუწოდებს, შეუ-
ტევს, მოხიბლავს, გააკვირვებს.. ყველა ეს მოქმედება ახ-
ლა კი არ წარმოებს, როცა ჩვენ ამ ლექსს ვკითხულობთ, არც
წაკითხვამდე წარმოებდა, შემდეგ — ხვალ, ზეგ, გაისად უნდა
იწარმოოს.

მოქმედებას, რომელიც მის შესახებ საუბრის შემდეგ
იწარმოებს, მყოფადი დროს მოქმედება ეწოდება.

კამეჩი ლონიერია,
ულელსა ზიდაეს ხისასა,
გაუჭირდება, წაიღებს
თავისასა და სხვისასა. (ხალხური)

ორმოში პური ჩაყარე,
ზედ დავაყარე ქერია,
ერთი თავვი შემეჩვივ,
ამაღებიინა ხელია.
დავიკირე ბევრი ვცემე,
კულზე მოვაბი წნელია. (ხალხური)

ამ ლექსიდან ამოწერეთ ჯერ აწმყო დროს ზმნა, შემ-
დეგ — ნამყოსი და ბოლოს — მყოფადის.

§ 33. სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსები. რა საშუალებით შეგვიძლია გამოვიცნოთ, თუ რომელი პირისაა ზმნის ესა თუ ის ფორმა? ავიღოთ, მაგ.: ხატავ, წერ, თოხნი, ტირი. ამ მაგალითებში ზმნების ფუძეა 1) ხატავ, 2) წერ, 3) თოხნი, 4) ტირი. ზემომოყვანილი ზმნების ფუძეები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა მოქმედების გამომხატველნი არიან ისინი. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, ვინაა მოქმედი პირი (სუბიექტი), ან ვის ეხება ეს მოქმედება; ე. ი. ვინაა, ან რაა ამ მოქმედების ობიექტი*). ამ ფუძეების წინ ფორმანტი (ფორმის მიმცემი აფიქსი) ვ რომ მივუმატოთ, ჩვენთვის ნათელი გახდება მოქმედის პიროვნება. არ შეიძლება ვთქვათ: ეხატავ შენ, არც—ეხატავ ის... უსათუოდ უნდა ვთქვათ: ეხატავ მე. არ შეიძლება აგრეთვე თქმა: ვწერ შენ, ვწერ ის; ვთოხნი შენ, ვთოხნი ის; ვტირი შენ, ვტირი ის.. უსათუოდ უნდა ვთქვათ: ვწერ მე, ვთოხნი მე, ვტირი მე. რა ზმნაც უნდა აიღოთ, თუ წინ პრეფიქსი ვ უძღვის, ის აუცილებლად პირველი პირის ზმნაა. ვ არის პირველი პირის სუბიექტის მანვენებელი პრეფიქსი. მეორე პირის ფორმანტია პრეფიქსი შ. გარკვეულს მომდევნო თანხმობებთან შ-ს მაგიერობას სწევია. თუ ზმნის ძირი ბ, გ, ვ, ზ, კ, ლ, მ, ნ, პ, უ, რ, ფ, ქ, ლ, ყ, ხ-ით იწყება, წინ დაერთვის პრეფიქსი შ, ხოლო თუ დ, ტ, თ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ჯ-ით—ს. თუ ზმნას პრეფიქსი შ ან ს უძღვის (ს-წერ შენ, ს-თოხნი შენ, შ-კლავ შენ), ის უთუოდ მეორე პირის ზმნაა. არის ორი ზმნა: ხარ დამიხვალ, მოხვედ, რომელთა მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსია ხ. მესამე პირის ფორმანტია სუფიქსი ს (არის, წერს, კლავს, თოხნის). თუ ზმნა ხმოვნით იწყება, მას მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი სულ არ ექნება, მაგ.: ვ-იწვი, იწვი, იწვი-ს; ვ-იცი, იცი, იცი-ს; ვუწყვი, უწყვი, უწყვი-ს; ვ-უბრძანებ, უბრძანებ, უბრძანებ-ს; ვ-უთხარ(ი), უთხარ(ი), უთხარ-ა.

მრავლობითი რიცხვისათვისაც იგივე სუბიექტური პრეფიქსებია, მხოლოდ პირველისა და მეორე პირის ზმნას ბოლო-

*) ობიექტი—საგანი, რომელზედაც მოქმედება გადადის.

ში მიემატება მრავლობითობის მაჩვენებელი სუფიქსი თ, ხოლო მესამე პირისას—ან, ენ. ვართ, ხართ, არიან; ვწერთ, სწერთ, წერენ; ვთოხნით, სთოხნით, თოხნიან; ვკლავთ, ჰკლავთ, კლავენ.

მესამე პირის სუფიქსები ან და ენ გარდა მრავლობითობისა აგრეთვე აღნიშნავენ, რომ სუბიექტი მესამე პირია (ისინი).

პირველისა და მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსები რიცხვსა და დრო-კილოვებში უცვლელად რჩება, მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი კი იცვლება: წერს - წერენ, თოხნის — თოხნიან; წერს - წერ-დ-ა, თოხნის — თოხნი-დ-ა; წერს → წერ-დ-ეს, თოხნის — თოხნი-დ ეს.

ზმნის ისეთ ფორმას, რომელსაც გარდა პირველისა და მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსებისა და მესამე პირის სუბიექტური სუფიქსისა სხვა ფორმა არ მოეპოვება, აბსოლუტური ფორმა ეწოდება.

ქართული ზმნის თავისებურობა მარტო იმით კი არ ამოიწურება, რომ მას სუბიექტის (ქვემდებარის) აღმნიშვნელი ფორმა პრეფიქს-სუფიქსები მოეპოვება, მას აგრეთვე ობიექტის (დამატების) აღმნიშვნელი პრეფიქსებიცა აქვს. თუ ობიექტი (დამატება) პირველი პირია (მე), ზმნას ექნება პრეფიქსი მ, მაგ.: იგი მკლავს მე; ობიექტი თუ მეორე პირია (შენ), პრეფიქსი ექნება გ (იგი გკლავს შენ), ხოლო ობიექტი თუ მესამე პირია (ის), პრეფიქსი ექნება ჰ ან ს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თანხმოდენით იწყება ზმნის ძირი: მაგ. იგი ჰკლავს მას; იგი სცემს მას; იგი სტეხს მას და სხ.

ობიექტურის პრეფიქსების უფრო ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც სამ ჯგუფადაა გაყოფილი. პირველ ჯგუფში სუბიექტია (ქვემდებარე) მე და მას დამატებად აქვს სამივე პირი; მეორე ჯგუფში სუბიექტია შენ, დამატებად —სამივე პირი; მესამე ჯგუფში სუბიექტია ის და დამატებად სამივე პირი.

ქვემოთხაზი დახატვა

I ჯგუფი მე (ვ) გკლავ შენ
 მე (ვ) გკლავ შენ
 მე ვ-ჰ-კლავ მას

II ჯგუფი უნ (ჰ)მ-კლავ მე
 უნ (ჰ)მ-კლავ შენ
 უნ (ჰ)მ-კლავ მას

III ჯგუფი ის მ-კლავ ს მე
 ის მ-კლავ-ს შენ
 ის მ-კლავ-ს მას

გ —ობიექტური პრეფიქსი მეორე პირის;
 ვ —სუბიექტური პრეფიქსი პირველი პირის, ჰ —ობი-
 ექტური პრეფიქსი მესამე პირის;
 მ —ობიექტური პრეფიქსი პირველი პირის;
 ჰ -ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის, იგივეა მეორე
 პირის სუბიექტური პრეფიქსი;
 მ —ობიექტური პრეფიქსი პირველი პირის, ს —სუ-
 ბიექტური სუფიქსი მესამე პირის;
 გ —ობიექტური პრეფიქსი პირველი პირის, ს —სუ-
 ბიექტური სუფიქსი მესამე პირის;
 ჰ —ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის, ს —სუბი-
 ექტური სუფიქსი მესამე პირის.

პირველ ჯგუფში „მე გკლავ შენ“ უნდა ყოფილიყო — მე ვგკლავ შენ, მაგრამ პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვ დაკარგულია.

მეორე ჯგუფში უნდა ყოფილიყო — შენ ჰმკლავ მე, მაგრამ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ჰ აქაც დაკარგულია. მეორე ჯგუფშივე უნდა ყოფილიყო: შენ ჰჰკლავ მას, მაგრამ რადგანაც ქართული ენა ორს ერთსა და იმავე თანხმოვანს ერთად ვერ ითმენს, ამიტომ ჰ რჩება, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსიცაა და მესამე პირის ობიექტურიც.

როდესაც ერთმანეთს ხედება შენ ქვემდებარის პრეფიქსი ჰ, და მე დამატების პრეფიქსი მ (ჰმ), ან როდესაც ერთმანეთს ხედება: მე ქვემდებარის პრეფიქსი ვ და შენ დამატების პრეფიქსი ზ (ვგ), ორსავე შემთხვევაში ქვემდებარის პრეფიქსები იკარგება, ხოლო დამატების პრეფიქსები მ და ზ რჩება. თუ ზმნა ხმოვნით იწყება, მეორე და მესამე პირის ქვემდებარის პრეფიქსიც იკარგვის და დამატებისაც, მაგ.: შენ (ჰჰ) უძახი მას; იგი (ჰ) უძახის მას, ხოლო პირე. პირის ქვემდებარის პრეფიქსი რჩება: მე ვუძახი მას.

ავიღოთ ახლა სხვა ზმნები. მე (ვ) გ-ცემ შენ; მე ვ-ს-ცემ მას; შენ (ჰ) მ-ცემ მე, შენ (ჰ) ს-ცემ მას; იგი მ-ცემს მე, იგი გ-ცემს შენ, იგი ს-ცემს მას; მე (ვ) გ-იძახი შენ. მე ვ (ჰ) უძახი მას; შენ (ჰ) მ-იძახი მე, შენ (ჰ) უძახი მას; ის (ჰ) მიძახის მე, ის (ჰ) გიძახის შენ, ის (ჰ) უძახის მას. — ამ ზმნებშიაც ობიექტის (დამატების) აღმნიშვნელი პრეფიქსებია: პირველი პირის — მ, მეორე პირის — გ და მესამე პირის — ჰ და ს.

პირველისა და მეორე პირის ობიექტური პრეფიქსები მ; და გ ზმნას მუდამ თან ახლავს, სულ ერთია მიცემით. ბრუნვაში იქნება დამატება თუ სახელობითში, მაგ.: მთხოვს ის წიგნს; მთხოვა მან წიგნი; გთხოვს ის წიგნს; გთხოვა მან წიგნი. მესამე პირის ობიექტური პრეფიქსები ჰ ან ს კი ზმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ დამატება მიცემით ბრუნვაში იქნება, მაგ.: მონადირე მოჰკლავს ირემს — მონადირემ ოკლა ირემი; გლეხი სკრის ხეს — გლეხმა მოკრა ხე.

სუბიექტურ პრეფიქსს ვ-ს და ობიექტურს მ-სა და ზ-ს ზმნის ქცევების მიხედვით დაერთვის ხმოვანი ი, ა, ე, მაგ მე ვიხურავ ქულს; მე ვიწერ ლექსს; ის მიბრძანებს მე; მე გი-ბრძანებ შენ; იგი მაწერს მე; იგი მაქვს მე და სხ.

როგორც სუბიექტური ისე ობიექტური პრეფიქსები ზმნის დრო-კილოებში არ იცვლება (მცემს, მცემდა, მცემდეს; ზკემს, ზკემდა, ზკემდეს; ხცემს, ხცემდა, ხცემდეს).

სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ზმნაში ერთი და იმავე თანხმოვნით გადმოიციემა, მაგ.: შენ სწერ მას, შენ ჰკლავ მას. პირველ ზმნაში ხ არის მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი, იგივე ხ იმავე დროს მესამე პირის ობიექტური პრეფიქსია. მეორე ზმნა-ში ჰ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსიცაა და ობიექტურიც.

ი-ზე დაბოლოებულ ადამიანის სახელს მიცემითი და ნათესაობითი ერთნაირადა აქვს, ხოლო მოთხრობითსა და მიმართულებითში პირდაპირ იმატებს ამ ბრუნვების დაბოლოებას მ-სა და ღ-ს.

ადამიანთა ის სახელები, რომელნიც დაბოლოება ი-თაც იხმარებიან და უმისოდაც, მაგ.: დავითი — დავით, თამარი — თამარ — საზოგადო წესით იბრუნებიან.

ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნება:

სახ.	აკაკი	დავით(ი)	მარიამ(ი)
მოთ.	აკაკი-მ	დავით-მა(ნ)	მარიამ-მა(ნ)
მიც.	აკაკი-ს(ა)	დავით-ს(ა)	მარიამ-ს(ა)
მიმ.	აკაკი-ღ(ა)	დავით-აღ	მარიამ-აღ(ა)
ნათ.	აკაკის-(ა)	დავით-ის(ა)	მარიამ-ის(ა)
მოქ.	აკაკი თ(ა)	დავით-ით(ა)	მარიამ-ით(ა)

ბრუნების საზოგადო წესს არ ემორჩილებიან ი-ზე დაბოლოებული შემდეგი სახელნი:

ფუძისეული ა იკარგვის: ნამგალი, ნამგლად, ნამგლის, ნამგლით, ნამგლები; კალამი, კალამად, კალამის, კალამით, კალამები; ბოსტანი, ბოსტნის, ბოსტნები; ყასაბი, ყასბის, ყასბები; კაკაბი, კაკბის, კაკბები; ნიჩაბი, ნიჩბის, ნიჩბები; ხვადაგი, ხვადგის, ხვადგები; ნაბადი, ნაბდის, ნაბდები; კარავი, კარვის, კარვები; თვალი, თვლის, თვლები; ქარავენი, გალავანი, ტარანი, კვალი, ფორთოხალი, თათარი, ნაცარი და სხ.

ჟ იკარგვის: ფრინველი, ფრინველის, ფრინველები; გიდელი, ირემი, რეგვენი, საცერი, სომეხი, წელი, წლის, წლები *) და სხ.

ჩ იკარგვის: ფოთოლი, ფოთლის, ფოთლები, დილომი (სოფლის სახელია), საპონი, გოდორი, გოდოლი, ხოხობი, კოკობი და სხ.

ც სუსტდება ვ-ით: ნიორი — ნიერის, იორი — იერის, ნიგოზი — ნიგეზის, მინდორი — მინდერის და სხ.

განსაკუთრებულად იგრძნობის ხახელი ლექსით:

სახ. ლმერთი
მოთხ. ლმერთმა
მიც. ლმერთს
მიმ. ლეთად
ნათ. ლეთის
მოქ. ლეთით.

*) უკანასკნელ წლებში ზოგიერთი მწერალი ხმარობს „წლები“, რაც ყოველად დაუშვებელია.

ხმოვანი ბრუნების მავალითები:

მხოლ. რ.	მრავლ. რ. 1	მრავლ. რ. 2
სახ. კატა (ი)	კატ-ებ-ი	კატა-ნი
მოთ. კატა-მ(ან)	კატ-ებ-მა(ნ)	კატა-თ(ა)
მიც. კატა-ს(ა)	კატ-ებ-ს(ა)	კატა-თ(ა)
მიმ. კატა-დ(ა)	კატ-ებ-ად(ა)	—
ნათ. კატ-ის(ა)	კატ-ებ-ის(ა)	კატა-თ(ა)
მოქ. კატ-ით(ა)	კატ-ებ-ით(ა)	—

მსგავსადვე იბრუნვის ა-ზე დაბოლოებული ფუძის ყველა არსებითი სახელი რამდენისავე გამორიცხვით, რომელთაც მხოლოობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში აქვთ დაბოლოება სი და მოქმედებითში—თი, მაგ.:

ა) ადამიანთა სახელები და გვარები (შალვა, მამია, გუგუნა, პაპა, ევანია, გამსახურდია, შენგელაია), ბ) რთული სახელები (თავშა, ძირტკბილა, მრავალძარღვა, შვეთვალწარბა), გ) კნინობითი სახელები (ჩიტუნია, გოგონა, ბიჭუკა, წუნია, ტირია), დ) ნათესავთა სახელები (მამიდა, დეიდა, ბაბუა, ბებია, ბიძა), ე) ზოგიერთი ფრინვლისა და თევზის სახელი (ტოროლა, სკეინჩა, ნაფოტა, წვერა).

ე-ზე დაბოლოებული არსებითი სახელის ფუძე მხოლოობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში ჰკარგავს ბოლო ხმოვან ე-ს, სხვა ბრუნვებში კი არა.

მხოლ. რ.	მრავლ. რ. 1.	მრავლ. რ. 2.
სახ. ციხე-(ა)	ციხე-ებ-ი	ციხე-ნი
მოთ. ციხე-მა(ნ)	ციხე-ებ-მა(ნ)	ციხე-თ(ა)
მიც. ციხე-ს(ა)	ციხე-ებ-ს(ა)	ციხე-თ(ა)
მიმ. ციხე-დ(ა)	ციხე-ებ ად(ა)	—
ნათ. ციხ-ის(ა)	ციხე-ებ-ის(ა)	ციხე-თ(ა)
მოქ. ციხ-ით(ა)	ციხე-ებ-ით(ა)	—

მსგავსადვე იბრუნვის ე-ზე დაბოლოებული ფუძის ყველა არსებითი სახელი გარდა ადამიანთა სახელებისა (ელენე, პეტრე, პავლე), რომელთაც ნათესაობით ბრუნვაში ორგვარი და-

ბოლოება აქვთ (წიგნი ელენესი — ელენეს წიგნი) და მოქმედებითში—თი (ელენეთი, პეტრეთი, პავლეთი).

ოა სა და უ-ზე დაბოლოებულ არსებით სახელს მხოლო-ობითი რიცხვის ნათესაობითს ბრუნვაში აქვს დაბოლოება სი და მოქმედებითში-თი.

მხოლ. რ.	მრავლ. რ. 1.	მრავლ. რ. 2
სახ. კალო-(ა)	კალო-ები	კალო-ნი
მოთ. კალო-მ-(ან)	კალო-ებ-მ(ან)	კალო-თა-(ა)
მიც. კალო-ს(ა)	კალო-ებ-ს(ა)	კალო-თ(ა)
მიმ. კალო-დ(ა)	კალო-ებ-ად(ა)	—
ნათ. კალო-სი	კალო-ებ-ის(ა)	კალო-თ(ა)
მოქ. კალო-თი	კალო-ებ-ით(ა)	—
სახ. ბუ-(ა)	ბუ-ები	ბუ-ნი
მოთ. ბუ-მ(ა)	ბუ-ებ-მ(ან)	ბუ-თ(ა)
მიც. ბუ-ს(ა)	ბუ-ებ-ს(ა)	ბუ-თ(ა)
მიმ. ბუ-დ(ა)	ბუ-ებ-ად(ა)	—
ნათ. ბუ-სი	ბუ-ებ-ის(ა)	ბუ-თ(ა)
მოქ. ბუ-თი	ბუ-ე ბ-ით(ა)	—

განსაკუთრებულად იგრუნვის სახელი ღვინო:

სახ. ღვინო	მოთ. ღვინომ	მიც. ღვინოს
მიმ. ღვინოდ	ნათ. ღვინის	მოქ. ღვინით

ო-სა და უ-ზე დაბოლოებული ფუძიანი სახელი თუ სა-საზღვრი სიტყვის წინაა, უნდა დაბოლოვდეს ს-ზე (ყაყაჩოს ყვავილი დაქკნა; ყრუს ცოლი მოკვდა), ხოლო თუ საზღვა-რი სიტყვის შემდეგაა—სი-ზე (დაქკნა ყვავილი ყაყაჩოყოსი, მოკ-ვლა ცოლი ყრუსი).

ზედსართავი სახელი.

§ 51. ზედსართავი სახელი მსგავსად არსებითისა იც-ვლება ბრუნვებსა და რიცხვებში.

§ 52. ზედსართავი სახელი ვითარებითი, დამოკიდები-თი და კუთვნილებითი. ვითარებითი ზედსართავი სახელი გვი-

ჩვენებს საგნის თვითბუნებაში არსებულ თვისებას, ნიშანს (წითელი, თეთრი, მაღალი, დაბალი, კეთილი, ბოროტი, ცივი, ცხელი).

დამოკიდებითი ზედსართავი სახელი იწარმოება სხვადასხვა სუფიქსის საშუალებით მეტყველების სხვადასხვანაწილისაგან და გვიჩვენებს დროს (შარშანდელი, გუშინდელი, წლევეანდელი). ადგილს, (აქაური, სოფლელი, სოფლური, კახური, სვირულელი), მასალას (მიწური, ფიცრული, ქვიანი, ტყიანი), დანიშნულებას (საყმაწვილო, საკლასო, სავაჟო, საქალო), ზომას (ფუთიანი, მეტრიანი, ჩაფიანი), რასამეუქონლობას, (უთაო, უთაური, უპურა, უწყლო, უხელო), რიგს (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, ოცდაპირველი, ოცდამეხუთე, სამოცდამეთხუთმეტე, მესამე, ას ორმოცდამეჩვიდმეტე), კითხვას (ვისი? რომელი? რამდენი? სადაური? როდინდელი? მერამდენე?), მსგავსებას (კაცობრივი, ლომებრი; მზიური, ციურნი, ლეთიური, ჩემებური, შენებური..)

კუთვნილებითი ზედსართავი სახელებია: სამმო, სამამო, საერისთაო. კუთვნილებითს ზედსართავს ეკუთვნის აგრეთვე არსებითი სახელი ნათესაობითს ბრუნვაში, როცა ის მსახლვრელ სიტყვადაა ნახმარი, მაგ.: კაცის ქული; დედის ნანა; სპილოს (ი) ძვალი; ცხენის კბილი და სხ.

§ 53. ზედსართავი სახელების ხარისხები. ესა თუ ის თვისება ერთ საგანში მეტია, მეორეში კი ნაკლები, მაგ.: რცხილა მაგარი ხეა. მუხა რცხილაზე უფრო მაგარია (უმაგრესია), ძელქვა კი მუხაზედაც უფრო მაგარია. ძელქვა ფრიად მაგარი ხეა. საგნებში ერთისა და იმავე თვისების მეტ-ნაკლებობის გამოსახატავად ზედსართავ სახელს აქვს ხარისხები: შედარებითი და აღმატებითი. ზედსართავ სახელს თუ წინ სიტყვა „უფრო-ს“ მიეუმატებთ, ის იქნება შედარებითი ხარისხი, მაგ.: შავი—უფრო შავი; მაღალი—უფრო მაღალი: მაგარი—უფრო მაგარი და სხვა.

აღმატებითი ხარისხის გამოსახატავად ზედსართავ სახელს წინ დაერთვის სიტყვები: ძალიან, მეტად, ფრიად, მაგ.: ძა-

ლიან შავი, მეტად შავი, ფრიალ შავი; ძალიან მაღალი, მეტად მაგარი, ფრიალ კეთილი და სხ.

ხარისხები იწარმოება აგრეთვე თავსართი უ-სა და ჩასართი ეს საშუალებით. შედარებითი ხარისხისათვის ზედსართავი სახელის ფუძეს თავში დაერთვის თავსართი უ, ხოლო ფუძესა და დაბოლოებას შუა ჩამატება სუფიქსი ეს, მაგ.: შავი—უშავ-ეს-ი, მაღალი—უ-მაღლ-ეს-ი, მაგარი—უ-მაგრ-ეს-ი,* და სხვა.

ხარისხები აქვს მარტო ვითარებით ზედსართავ სახელებს, დამოკიდებითსა და კუთვნილებითს კი არა.

გადაწერეთ და ფრჩხილებში მოქცეული ზედსართავი სახელები შესაფერ ხარისხებში იხმარეთ!

გაზაფხული წელიწადის (მშენიერი) დროა. — ფიქვი მუხაზე (მაღალი).—მუხა ფიქვზე (მაგარი).—ტფილისი ქუთაისზე (დიდი).—ზამთარი შემოდგომაზე (ცივი).—ფუტკარი (სასარგებლო) მწერია. —თოკი ძაფზე (მსხვილი). — შაქარი მსხალზე (ტკბილი).—პიპილი ბოლოკზე (მწარე). —სპილო (დიდი) ცხოველია.

ცალკე აღებული ზედსართავი სახელი ბრუნვებსა და რიცხვებში დაბოლოებას ისე იცვლის, როგორც არსებითი სახელი.

	მხოლ. რ.	მრავლ. რ. 1	მრავლ. რ. 2
სახ.	შავ-ი	შავ-ებ-ი	შავ-ნი
მოთ.	შავ-მა(ნ)	შავ-ებ-მა(ნ)	შავ-თ(ა)
მიც.	შავ-ს(ა)	შავ-ებ-ს(ა)	შავ-თ(ა)
მიმ.	შავ-ად(ა)	შავ-ებ-ად(ა)	—
ნათ.	შავ-ის(ა)	შავ-ებ-ის(ა)	შავ-თ(ა)
მოქ.	შავ-ით(ა)	შავ-ებ-ით(ა)	—

ზედსართავი სახელი არსებითთან მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში ერთნაირად იბრუნვის.

* სიტყვებში: მაღალი, მაგარი რედუქციის წესით ამოვარდნილია ფუძისეული ა. ზედსართავი მჯობნი ხარისხებში ჰკარგავს ნ-ს—უმჯობესი. ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხებში მთელ მარცვლასაც გამოიკლებს, მაგ.: ბრტყელი—უბრტყესი, სქელი—უსქესი, გრძელი—უგრძესი, ტკბილი—უტკბესი, მსხვილი—უმსხვესი, კეთილი—უკეთესი.

არსებით სახელთან ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი სახელობითსა, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში უცვლელად რჩება, მიცემითსა და მიმართულებითში-- ბოლო-მოკვეცილად, მოთხრობითს ბრუნვაში კი სრული დაბოლოებით.

სახ. კეთილი	კაცი	კეთილი	კაცები
მოთ. კეთილმა	კაცმა(ნ)	კეთილმა	კაცებმა
მიც. კეთილ	კაცს(ა)	კეთილ	კაცებს(ა)
მიმ. კეთილ	კაცად(ა)	კეთილ	კაცებად(ა)
ნათ. კეთილი	კაცის(ა)	კეთილი	კაცებისა(ა)
მოქ. კეთილი	კაცით(ა)	კეთილი	კაცებით(ა)

თუ სასაზღვრი სიტყვა მეორე მრავლობითშია ნახმარი, მისი მსაზღვრელი ზედსართავი სახელიც მეორე მრავლობითის დაბოლოებით იბრუნვის.

სახ. კეთილნი	კაცნი
მოთ. კეთილ(თა)*	კაცთა
მიც. კეთილ(თა)	კაცთა
მიმ. —	—
ნათ. კეთილ(თა)	კაცთა
მოქ. —	—

ა-სა, ე-სა, ო-სა და უ-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები არსებით სახელთან შეთანხმების დროს ყველა ბრუნვაში უცვლელად რჩება.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახ.	პატარა	ფიცარი	მოკლე	გზა
მოთ.	პატარა	ფიცარმა	მოკლე	გზამ
მიც.	პატარა	ფიცარს	მოკლე	გზას
მიმ.	პატარა	ფიცარად	მოკლე	გზად
ნათ.	პატარა	ფიცარის	მოკლე	გზის
მოქ.	პატარა	ფიცარით	მოკლე	გზით

*) მოთხრობითსა, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში ზედსართავი ბოლომოკვეცილად იხმარება.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახ.	პატარა ფიცრები	მოკლე გზები
მოთ.	პატარა ფიცრებმა	მოკლე გზებმა
მიც.	პატარა ფიცრებს	მოკლე გზებს
მიმ.	პატარა ფიცრებად	მოკლე გზებად
ნათ.	პატარა ფიცრების	მოკლე გზების
მოქ.	პატარა ფიცრებით	მოკლე გზებით

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახ.	ფართო ასპარეზი	ყრუ გლახაკი
მოთ.	ფართო ასპარეზს	ყრუ გლახაკმა
მიც.	ფართო ასპარეზს	ყრუ გლახაკს
მიმ.	ფართო ასპარეზად	ყრუ გლახაკად
ნათ.	ფართო ასპარეზის	ყრუ გლახაკის
მოქ.	ფართო ასპარეზით	ყრუ გლახაკით

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახ.	ფართო ასპარეზები /	ყრუ გლახაკები
მოთ.	ფართო ასპარეზებმა	ყრუ გლახაკებმა
მიც.	ფართო ასპარეზებს	ყრუ გლახაკებს
მიმ.	ფართო ასპარეზებად	ყრუ გლახაკებად
ნათ.	ფართო ასპარეზების	ყრუ გლახაკების
მოქ.	ფართო ასპარეზებით	ყრუ გლახაკებით

ვირი და ვეფხი.

ერთი დასუსტებული, მკლე ვირი თავის პატრონს გაეპა-
რა და ერთს მაღალ ადგილს დაბინავდა. ეს ადგილი მეტად
მშვენიერი იყო. მას მახლობლად დიდი წყალი ჩამოედინოდა,
რომლის ნაპირებზე მწვანე, ყვალოვანი კორდი იყო და
მაღალი ხეები. ეს ადგილი თურმე ვეფხის სამკვიდრო იყო. ნადი-
რობიდან რომ დაბრუნდა, ვირი ნახა, დიდად ეუცხოვა და შე-

შინდა. ვირმა რომ ვეფხი დაინახა, შეშინებულმა ყურები აცქვიტა და საშინელი ღრიალი მორთო. შეშინებულმა ვეფხმა გზა-კვალი ველარ გაიგნო, კლდეზე გადაიჩხება და გაიქცა. გზაზე მელა შეხვდა და ჰკითხა: სად მიხვალ, რად მოგიწყენია, ნადირთ მეფეო? ვეფხმა უბასუბა: ჩემს სამეფოში ერთი უცხო ბუმბერაზი მოსულა, მისი შიშით ველარ დავედგე და გამოვიქციო. მელამ იმ ბუმბერაზის ამბავი გამოჰკითხა და, როცა გაიგო მისი ფერი, ოთხფეხობა, ყურდილობა და ხმამაღლობა, ვეფხს მოახსენა: ტყუილა შეგშინებია, ის ბუმბერაზი ვირია, ახლავე ვავადებ და შენ იქ უზრუნველად მოისვენეო. ვეფხმა არ დაუჯერა და გაიქცა. მელა უკან დაედევნა. შემოეყარათ წინ მგელი, ვეფხს თაყვანი სცა და მელას ჰკითხა: რად მოუწყენია და სად მივბრძნო? მელამ ყველაფერი უამბო: ვირის გამოქცეული მივბრძნო, ვუშალი, არ დაიშალაო. მგელმა მოახსენა: ნუ სწუხარ, ის ჩემი სადღლია, წავიდეთ, მის ამბავს მე მოგახსენებო. ვეფხმა უთხრა, თუ ჩემი ღალატი არ გინდათ და მართალს მეუბნებით, ასე ვქნათ: ერთი თოკი მოიტანეთ, შუაში მე გამოვებში, თავსა და ბოლოში თქვენ გამოვებით, ერთად წავიდეთ და რაც მოგვივა, სამსავე სწორედ მოგვივიდესო. მელა წავიდა, სოფელში თოკი მოიპარა, მოიტანა, სამივე გამოება და ერთად მივიდნენ. ვირმა რომ ისინი ერთად მოსული დაინახა, საშინლად დაიღრიალა. ვეფხი შეშინდა, მრჩეველებს ყური არ უგდო, უცებ თოკი გასწია, ორივე დაახრჩო და თვითონ იქიდან გადაიხვეწა. ბოლოს იფიქრა: იმ ადგილის მოშორება ძლიერ საძნელოა, წავალ, შევხვეწები, შეიძლება, მიყმოს და მინდოსო. დიდი კრძალვით მივიდა ვირთან, შეხვეწა და ეყმო. ვირს მისი ეშინოდა, ვეფხს კიდევ უფრო ვირისა. ვირმა უბრძანა: რადგან მეყმე, კარგად შეგინახავ, ჩემი სახლის უხუცესობას მოგცემ. ორ შეცოდებას გაპატიებ, მესამეს კი ვერიდებო. ცხოვრობდნენ ერთხანს მშვიდობიანად. ერთხელ ვირს ეძინა. ვეფხს ნავარდი მოუნდა, წყალზე გახტა, წყალს კული დაჰკრა და ვირს წუნწკალი შეასხა. ვირს გაეღვიძა, იწყინა და ძალიან დატუქსა. მეორეჯერ ვირი წყალში ჩავარდა, წყალი დიდი იყო, ვირი წაიქცა და იხრჩობოდა. ვეფხი შევარდა წყალში, ბატონს მოეხმარა და გამოიყვანა. ვირი მიზეზს ეძებდა, უნდოდა როგორმე თავიდან მოეშორებია, ვეფხს გაუწყრა: მე კალმახს ვიქერდი, რად გამომიყვანეო! ვეფხს მესამე შეცოდების ეშინოდა და იქიდან გადაიხვეწა. დარჩა ის ადგილი ვირს და ცხოვრობდა იქ არხეინად.

(ს. ს. ო.)

ამოწერეთ ამ არაკიდან ცალცალკე ვითარებითი, დამო-
კიდებითი და კუთვნილებითი ზედსართავი სახელები!

ხელახლა ჩამოწერეთ მარტო ვითარებითი ზედსართავი
სახელები და თვითეულს გვერდით მიუწერეთ მისი შედარებითი
ხარისხი მეორე ფორმით ე. ი. პრეფიქსისა და სუფიქსის
საშუალებით ნაწარმოები.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი.

გუთნის დედა.

ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ,
ერთგულათ ეკიმოთ ქაპანი ჩვენი,
უსიხარულოთ დაელიოთ დღენი.

ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვინოთ.

ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი

ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:

მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,

რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;

შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,

სიკვდილის შემდეგ დასაეიწყელსა.

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი!?,

ეგ, ჩემო ლაბავ ნუ შეგშურდება!..

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,

თუ სიმართლისთვის დამიჩლოგდება?

აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,

რომე აჩეჩოს მარტო მიწანი

და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,

რომელიც უშლის თესლსა ამოსელას.

მე ჩემის კირის, ჩემის წუხილის,

ჩემის კაცობის გულის დუღილის

სიტყვანი გულში მებადებდიან,

მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.

შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,

როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..

აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი

შენს უღელზედა უფროა ძნელი.

მაშ რა გაღონებს?.. გასწი ქაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ ვაცხოვროს!..

(ი. ჰ.)

§. 54 ნაცვალ სახელოვანი არსებითი სახელები. ამ ლექსში სიტყვები: მე, შენ, ჩვენ აღნიშნავენ ისე, როგორც არსებითი სახელები, საგნების სახელს (მე, ე. ი. კაცი; შენ — ხარი; ჩვენ — კაცსა და ხარს), საგნების სახელის ნაცვალადაა ნა-
ხმარი, რის გამოც მათ ნაცვალსახელოვან არსებით სახელს ეძახიან.

§ 55. ნაცვალსახელოვანი ზედსართავი სახელები. სიტყვები: ჩვენი (ქაპანი ჩვენი), შენი (შენი უღელი), ჩემს (ჩემს უღელზედა), როგორც ზედსართავი სახელები, გვიჩვენებს საგნის კუთნილებას და მეტყველებაში ისე ეთანხმებიან არსებით სახელებს, როგორც ზედსართავი სახელები, რის გამოც მათ ნაცვალსახელოვან ზედსართავს უწოდებენ.

ნაცვალსახელოვან არსებით სახელებს ეკუთვნის ნაცვალსახელები: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი, ვინ? რა? არავინ, არაფერი, ვინმე, რამე, ვიღაც, რაღაც და სხ. ყველა ესენი აღნიშნავენ საგნის სახელს, არსებითი სახელივით იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში და მიუგებენ კითხვებზე ვინ? რა?

ნაცვალსახელოვანი ზედსართავი სახელებია: ჩემი, შენი-ვისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავისი, თვისი, ეს, ეგ, ვისი, როგორი, რომელი, ყველა, ყოველი, თვითთული და სხ. ყველა ესენი აღნიშნავენ საგნის თვისებას, ნიშანს, ისევე იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში და ეთანხმებიან არსებით სახელს, როგორც ზედსართავი სახელები.

მესამე პირისათვის ქართულს პიროვნებითი ნაცვალსახელი არ მოეპოება, მისთვის გამოყენებული აქვს ჩვენებითი ნაცვალსახელი ის, ისინი.

მნიშვნელობით ნაცვალსახელნი არიან:

1. პიროვნებითი: მე, შენ, ჩვენ, თქვენ;
2. კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავისი, თვისი;

3. ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი, ესენი, ეგენი, იგინი, ამდენი, იმდენი, ამისთანა, იმისთანა;
4. კითხვითი: ვინ? რა? რომელი? ვისი? რამდენი;
5. განსაზღვრებითი: თვით, თვითონ, თვითეული, ყველა, ყოველი;
6. განსაზღვრელობითი: ვინმე, რამე, რომელიმე, ვილაც რა-ღაც რომელიღაც რამდენიმე
7. განმარტებითი: ვინც, რაც, რომელიც;
8. საურთიერთო. ურთიერთი, ერთურთი;
9. უარყოფითი: არასიხ, ვერავენ, არაფერი, ვერაფერი.

ნაცვალსახელთა ბრუნება.

სახ.	მე	შენ	ის, იგი
მოთ.	მე	შენ	მან
მიც.	მე.	შენ	მას
მიმ.	ჩემად (ჩემდა)	შენაღ (შენდა)	მად
ნათ.	ჩემი	შენი	მის
მოქ.	ჩემით	შენით	მით

მრავლობითი რიცხვი*).

სახ.	ჩვენ	თქვენ	ისინი, იგინი
მოთ.	ჩვენ	თქვენ	მათ
მიც.	ჩვენ	თქვენ	მათ
მიმ.	ჩვენად (ჩვენდა)	თქვენად (თქვენდა)	—
ნათ.	ჩვენი	თქვენი	მათი
მოქ.	ჩვენით	თქვენით	—

კუთვნილებითი. ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, რო-
გორც ზედსართავი სახელები, მხოლოდ არსებითთან ჩემი,
შენი, ჩვენი, თქვენი, სრული დაბოლოებით იხმარება (სახე-
ლობითსა, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში), მაგ.: თქვე-
ნი თხზულება; ჩემმა ცხენმა; შენს წიგნს; ჩვენმა სამშობლომ.

* ნაცვალსახელები პირველი მრავლობითის ფორმით არ იხმარება. იშვია-
თად ხმარობენ ამ ფორმით მხოლოდ რამდენსამე სახელს: ვინმეები, რამეები, რა-
ები, ვილაკები, რომლები.

ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითთან მოკლე დაბოლოებით იხმარება; ეს, ეგ კაცი, ამ კაცმა, ამ კაცს, ამ კაცის, ამ კაცით, ამ კაცად; ეს, ეგ კაცები, ამ კაცებმა, ამ კაცებს, ამ კაცების, ამ კაცებით, ამ კაცებად. ის, იგი კაცი, იმ კაცმა, იმ კაცს და სხ.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ცალკე შემდეგნაირად იბრუნვის:

მხოლ. რ.		მრავლ. რ. 2.
სახ.	ეს, ეგ	ესენი, ეგენი
მოთ.	ამან	ამათ.
მიც.	ამას	ამათ
მიმ.	ამად	—
ნათ.	ამის	ამათ
მოქ.	ამით	—

კითხვითი ნაცვალსახელი ვინ? რა? მრავლობით რიცხვში არ იხმარება.

მხოლ. რიცხვი

სახ.	ვინ	რა
მოთ.	ვინ	რამ (ან)
მიც.	ვის	რას (ა)
მიმ.	(რად)	რად
ნათ.	ვისი	რის (ა)
მოქ.	ვისით	რით (ა)

კითხვითი ნაცვალსახელი ვისი? არსებითთან ისე იბრუნვის. როგორც ზედსართავი: ვისი ცხენი? ვისმა ცხენმა? ვის ცხენს, ვისი ცხენის? ვისი ცხენით? ვის ცხენად? ვისი ცხენები? და სხვ.

მხოლ. რ.		მრავლ. რ. 2.
სახ.	რომელი	რომელნი,
მოთ.	რომელმა	რომელთ (ა)
მიც.	რომელს (ა)	რომელთ (ა)
მიმ.	რომლად	—
ნათ.	რომლის (ა)	რომელთ (ა)
მოქ.	რომლით (ა)	—

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: თვით, თვითონ სრულიად არ იბრუნვის, ყველა იბრუნვის მხოლოდობით რიცხვში. მრავლობითში კი იხმარება მარტო სახელობით ბრუნვაში.

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.	2. მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სახ.	ყველა	ყველანი	ყოველი	ყოველნი
მოთ.	ყველამ		ყოველმა(ნ)	ყოველთა
მიც.	ყველას	—	ყოველს(ა)	ყოველთა
მიმ.	ყველად	—	ყოველად(ა)	—
ნათ.	ყველასი	—	ყოველის(ა)	ყოველთა
მოქ.	ყველათი	—	ყოველით(ა)	—

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში არ იბრუნვის.

სახ.	ვინმე	რამე	რომელიმე	რამდენიმე
მოთ.	ვინმემ	რამემ	რომელმამე	რამდენმამე
მიც.	ვისმე	რასმე	რომელსამე	რამდენსამე
მიმ.	—	რადმე	რომლადმე	რამდენადმე
ნათ.	ვისმე	რისმე	რომლისამე	რამდენისამე
მოქ.	ვისითმე	რითმე	რომლითმე	რამდენითმე
სახ.	ვილაც	რალაც	რომელილაც	—
მოთ.	ვილამაც	რალამაც	რომელმალაც	
მიც.	ვილაც	რასლაც	რომელსალაც	
მიმ.	ვილაცად	რალაცად	რომლადლაც	
ნათ.	ვისილაც	რისლაც	რომლისლაც	
მოქ.	ვისითლაც	რითლაც	რომლითლაც	

განმარტებითი ნაცვალსახელი ისე იბრუნვის, როგორც კიოზებითი, მხოლოდ ბოლოში მიემატება ნაწილაკი ც (ვინც, რაც, რომელიც—ვინ(ა)ც, რამაც, რომელმაც—ვისაც, რასაც, რომელსაც და სხ.).

ზემომოყვანილ ლექსიდან „გუთნის დედა“ ამოწერეთ პიროვნებითი, კუთვნილებითი და სხვა ნაცვალსახელები ცალკე-ცალკე.

რიცხვითი სახელი.

1) ერთმა ვინმემ არისტოტელს სასწავლებლად შვილი მიჰგვარა და მან ხუთასი დრაჰკანი (ძველი ბერძნული ფულია) სთხოვა. გაუკვირდა იმ კაცს და უთხრა: მაგ ფასად ერთ ვირს ვიყიდო. არისტოტელმა უპასუხა: იყიდე და ერთის მაგივრად ორი ვირი გეყოლებოა.

2) მამამ თავის სამ ვაჟს ოცდაშვილიათასი მანეთი დაუტოვა. უფროსს უნდა მიეღო ამ თანხის ნახევარი, შუათანას—სამი მეხუთედლი იმ თანხისა, რაც უფროს ძმას ერგებოდა, დანარჩენი კი უმცროს ძმას უნდა მიეღო. რამდენი ერგებოდა პირველს, რამდენი მეორეს და რამდენი მესამეს?

§ 56. რიცხვითი არსებითი და რიცხვითი ზედსართავი სახელები. პირველ მაგალითში სიტყვები: ერთი (ერთმა ვინმემ—ერთმა კაცმა), ხუთასი (ხუთასი დრაჰკანი), ორი (ორი ვირი) აღნიშნავენ საგნის სახელს ანგარიშით და ისე იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში, როგორც არსებითი სახელები. ამათ და მათ შგავსათ: ათი, თხუთმეტი, ოცი, სამოცდაათი, ასი, შვიდასი, ათასი და სხ., რომელნიც აღნიშნავენ საგნის სახელს ანგარიშით და მიუგებენ კითხვაზე რამდენი, რიცხვით არსებით სახელს, ან რაოდენობით რიცხვით სახელს უწოდებენ.

მეორე მაგალითში სიტყვები: პირველი, მეორე, მესამე—აღნიშნავენ საგნის ნიშანს ანგარიშით და ისე იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში, როგორც ზედსართავი სახელები, რის გამოც მათ რიცხვით ზედსართავ სახელს, ან რიგობით რიცხვით სახელს ეძახიან.

სიტყვები: ნახევარი, მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი, მეათედი, მეოცედი, ოცდამეშვიდედი, ორმოცდამეთვრამეტედი, მეთასედი, მეათასედი და სხ. აღნიშნავენ საგნის ნაწილის სახელს და ესენიც ისე იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში, როგორც არსებითი სახელები, რის გამოც მათ რიცხვით არსებით სახელს ან ნაწევრობით რიცხვით სახელს ეძახიან.

§ 57. რიცხვითი სახელი მარტივი და რთული.

1. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი, მილიონი...

2. თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, ოცდაერთი, ოცდაორი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცდაათი, ორასი, სამასი, შვიდასი და სხ.

პირველი რიგის სახელები მხოლოდ თითო სიტყვისაგან შედგება და ამიტომ ამათ შარტივ რიცხვით სახელს უწოდებენ, ხოლო მეორე რიგის თვითიული სახელი რამდენისამე სიტყვისაგან შედგება, რის გამოც მათ რთულ რიცხვით სახელებს ეძახიან.

ერთეულები, ასეულები, ათასეულები, მილიონები ცალცალკე იწერება: ოცდასამი მილიონი შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი.

რიგობითი რიცხვითი სახელს მაწარმოებელი თავსართი მე შარტივ რიცხვით სახელებს თავში დაერავის, ხოლო რთულს—ოცს ზევით—უკანასკნელი წვერის წინ: მეორე, მესამე, მეათე, მეთხუთმეტე, მეჩვიდმეტე, მეოცე, ოცდამესამე, ოცდამეთვრამეტე, ასორმოცდაპირველი, ხუთას სამოცდამეხუთე და სხე.

ნაწევრობითი რიცხვითი სახელები იწარმოებიან რიგობითი რიცხვითი სახელებისაგან ამგვარად: სიტყვის ფუძეს ბოლოში ემატება ჩასართი ედ და დაბოლოება ი, მაგ.: მესამე—მესამ-ედ-ი, მეხუთ-ე—მეხუთ-ედ-ი, მესას-ე—მესას-ედ-ი, ორას ოცდამეთვრამეტედი, ორიათას შვიდას ოთხმოცდამეექვსედი და სხ.

გადაიწერეთ შემდეგი მაგალითი და შიგადაშიგ მოყვანილი რიცხვები ასოებით დაწერეთ!

წელიწადში 12 თვეა.—მაისში 31 დღეა.—კილოში 1000 გრამია.—8875 რომ გაყვით 25-ად, იქნება 351.—ქართველები მონათლენ (მერამდენე?) 324 წელს.—როგორც მათიანე გადმოგვცემს, ვახტანგ გორგასლანი 'დაიბადა (მერამდენე?) 471 წელს და გადაიკვალა (მერამდენე?) 532 წელს.

§ 58. რიცხვით სახელთა ბრუნება. რიცხვითი სახელები ისე იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში, როგორც არსებითი სახელები.

მხოლოდობითი რიცხვი.

სახ.	ერთი	სამი	მეხუთე	მეშვიდედი
მოთ.	ერთმა(ნ)	სამმა(ნ)	მეხუთემ(ან)	მეშვიდედმა(ნ)
მიც.	ერთს(ა)	სამს(ა)	მეხუთეს(ა)	მეშვიდედს(ა)
მიმ.	ერთად(ა)	სამად(ა)	მეხუთედ(ა)	მეშვიდედად(ა)
ნათ.	ერთის(ა)	სამის(ა)	მეხუთის(ა)	მეშვიდედის(ა)
მოქ.	ერთით(ა)	სამით(ა)	მეხუთით(ა)	მეშვიდედით(ა)

მრავლობითი რიცხვი 1.

სახ.	—	სამები	მეხუთეები	მეშვიდედები
მოთ.	—	სამებმა(ნ)	მეხუთეებმა(ნ)	მეშვიდედებმა(ნ)
მიც.	—	სამებს(ა)	მეხუთეებს(ა)	მეშვიდედებს(ა)
მიმ.	—	სამებად(ა)	მეხუთეებად(ა)	მეშვიდედებად(ა)
ნათ.	—	სამების(ა)	მეხუთეების(ა)	მეშვიდედების(ა)
მოქ.	—	სამებით(ა)	მეხუთეებით(ა)	მეშვიდედებით(ა)

მრავლობითი რიცხვი 2.

სახ.	—	სამნი	მეხუთენი	მეშვიდედნი
მოთ.	—	სამთ(ა)	მეხუთეთ(ა)	მეშვიდედთ(ა)
მიც.	—	სამთ(ა)	მეხუთეთ(ა)	მეშვიდედთ(ა)
მიმ.	—	—	—	—
ნათ.	—	სამთ(ა)	მეხუთეთ(ა)	მეშვიდედთ(ა)
მოქ.	—	—	—	—

არსებით სახელთან რიცხვითი სახელიც ისე იბრუნვის, როგორც ზედსართავი სახელი.

მხოლ. რ.

სახ.	ხუთი	ძმა
მოთ.	ხუთმა	ძმამ
მიც.	ხუთ	ძმას
მიმ.	ხუთ	ძმად
ნათ.	ხუთი	ძმა
მოქ.	ხუთი	ძმით

მრავლ. რ. 2.

ხუთნი	ძმანი
ხუთთა	ძმათა
ხუთთა	ძმათა
—	—
ხუთთა	ძმათა
—	—

§ 59. ზმნისართი უფორმო სიტყვაა, დაერთვის ზმნას და გვიჩვენებს მის სხვადასხვაგვარ გარემოებას.

ზმნისართებია: მტკიცებითი, უარყოფითი, რაოდენობითი, კითხვითი, ვითარების, ადგილის, დროის, მიზეზის დამიზნის.

მტკიცებითი: ქეშარიტად, ამიტომ, იმიტომ, ეგრე...

უარყოფითი: არა, ნუ, ვერ და სხ.

რაოდენობითი: ორჯერ, სამჯერ, ორიოდე, სამიოდე, ცოტა, ბევრი, სულ და სხ.

კითხვითი: როგორ? რატომ? მართლა? განა? და სხ.

ადგილის მაჩვენებელი ზმნისართი მიუგებს კითხვებზე: სად? საიდან? საით? აქ, იქ, მაღლა, დაბლა, გაღმა, გამოღმა, აღმა, დაღმა, ზევით, ქვევით, იქით და სხ.

ადგილისა და დროის მაჩვენებელ ზოგიერთ ზმნისართსაც აქვს ხარისხები. მაგ: უფრო შორს, ძლიერ შორს, უფრო მაღლა, ძლიერ დაბლა და სხე.

დროის მაჩვენებელი ზმნისართი მიუგებს კითხვაზე: როდის? მაგ.: დღეს, ხვალ, ზეგ, გუშინ, შარშან, წელს, ადრე, გვიან და სხვა.

მიზნის მაჩვენებელი ზმნისართი მიუგებს კითხვაზე რატომ? მაგ.: მიტომ, იმიტომ, ამიტომ.

მიზნის მაჩვენებელი ზმნისართი მიუგებს კითხვებზე: რისთვის? რად? მაგ.: მისთვის, ამისთვის, იმისთვის.

ვითარების მაჩვენებელი ზმნისართი მიუგებს კითხვებზე: როგორ? რანაირად? რაგვარად? რაფერ? კარგად, ცუდად, ცქვიტად, თეთრად, ნაღდად, განძრახ და სხ.

ვითარებითი ზედსართავი სახელი მიმართულებით ბრუნვაში ზმნისართია და აქვს ხარისხები: უფრო შავად, უშავესად, ფრიად, შავად.

მ უ შ ა.

I

გოლვიან დღესა ტფილისშია, შუა ბაზრისკენ მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახავხარ შენ კედელთან მწოლი: მხურვალე მზე ზედ დაგაუბრებდა, ჩუმი ლილინი შენი ხშირად გულს მიწყლულედა.

ნაღვლიან ხმაში, სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდან მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლკარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიედ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?.. რა-ც დაკარგე და რა-ც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე?..

II

აი ტვირთ ქვეშე მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გელვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..
ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა,—და, როგორც კოკა,
შენ—კერძო ღვთისა—არ დაგინდო დასამსხვრეველად...
შენ გარდიქეცი ტომართურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენს ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მალლა ხარხარი...
რასც მაშინ გრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:
შენს ღუმელშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავე ღუმელით მიხველ, წვევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდენ შენს სახეზედ, თითქო სქდებიან,
სწევ, ვერ ეწევი—გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს—და არავენ არა გშველიან!..

III

აჰა; მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმინდავ ოფლსა,
განივრად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია,—
იცდი, საწყალო!—შენი ლუკმა იმის ხელშია!..
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც იმას შენთვის ჰშურს,
ხშირად ფასს გიკლებს. შიშველს, მშიერს, მწყურვალს,
უბედურს..
„ნუ მიტებ ლუკმას,—ეუბნები,—ღმერთსაც შეხედე!..
მე გვე ლუკმა პირუტყვისავით ზიდვით ვიყიდე“.

შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრძვივებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგვევაქრება,
ვისაც არ უჭირს, მას გააძღვებს,—და შენ კი გიკლებს,
შენ რომელსაცა ერთი გროშით დღე გემატება.
ეგრედ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და საღმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით. რომ ხვალ
ისევ ამრიგად განაგრძელებ უღეთო შრომასა.

IV

შენს სიცოცხლესა დააღამებ ასეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქობში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა!...
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!...
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მღულარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შეილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ეამს გაიწევი ხელსა;
მოკვდები და მსწრულ ჩაგქედავენ საკაცეშოა,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშოა!
ეგრე უბრალოდ გაფუქლები,—და ჩვენს ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ“ ყოფნასა. (ი. კ.)
ამოწერეთ ამ ლექსიდან ზმნისართები და აღნიშნეთ თვითეული
რა ზნისართია.

§ 60. თანდებული დაისმის სიტყვის ბოლოში და გვი-
ჩვენებს საგნებს შორის სხვადასხვა ურთიერთობას.

თანდებული თხოულობს მიცემითს, ნათესაობითსა და მო-
ქმედებით ბრუნვებს.

მიცემით ბრუნვას თხოულობს: თან, ში (შინა), ზე (ზე-
და, ზედ), შუა. მაგ.: ღობესთან; სახლში; (სახლსა შინა), ქვე-
ყანაზე (ქვეყანასა ზედა), ორ მთას შუა.

ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: გამო, ებრ, გან, თვის,
მიერ, კენ, მიმართ, მაგ.: საქმის გამო, ვახტანგისებრ, სოფ-
ლისთვის, ღვთისა-დმი, ღვთის მიერ, სოფლისკენ, უფლისა
მიმართ.

მოქმედებით ბრუნვას მოითხოვს: გან და ურთ. სოფლი-
თგან — შემოკლებულად — სოფლიდან, შეილითურთ. ე. ი. შეი-
ლიანად.

თანდებული ვით ხმოვანფუძიან სახელს მიცემით ბრუნვა-
ში თხოულობს, — თანხმოვანფუძიანს კი ხან სახელობითსა და
ხან მიცემით ბრუნვაში. ეს დამოკიდებულია შემასმენელზე:
თუ შემასმენელი სახელობით ბრუნვას თხოულობს, თანდებუ-
ლიც ამავე ბრუნვას მოითხოვს და თუ მიცემითს — თანდებუ-
ლიც მიცემით ბრუნვას მოითხოვს. მაგ.: შარა გზაზე ეტლი
ნიაფივით მიქროლავდა. ორი ბედაური შარა გზაზე ეტლს
ნიაფსავით მიაქროლებდა.

მგელი და წიკო.

ეს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძლარი არიან,
ქამის დროს ძვალსაც და რბილსაც ერთად მუცლისკენ ჰგზავნიან.
ამ ღორმუცლობამ ერთ მათგანს სულ აწყველინა თავბელი:
ძვალი დაადგა მას ყელზე. გაქრა სიცოცხლის იმედი.

სული უგუბდა, სახსნელად ველარ ხმარობდა ხერხებსა,
აბრიალებდა თვალებსა, ფშეკდა მიწაზე ფეხებსა...
იღბლად გამონჩნდა იქ, ახლოს, წერო თვის გრძელი ნისკარტით,
მყის გასაქირი თავისი მგელმა ანიშნა მას თათით.
ღმობიერებით შესცქერდა და გულით ევედრებოდა,
ეპატრონა და მომაკვდავს რითიმე მიჰშველებოდა.

ჩაუყო გრძელი ნისკარტი მგელს წერომ, დიდხანს ეწვალა
გაქირვებითა ყელიდან მას ძვალი ამოაცალა —
და შემდეგ, რაკი ნადირი გადაარჩინა შავ ბედსა,
გარჯისთვის თავაზიანათ სასყიდელს სთხოვდა მცირედსა.

მგელმა შეჰკმუფლა: „ხუმრობ თუ? განა ვის ხედავ ტოლსაო?
შენც ფასსა ითხოვ ჯაფისას? შეხეთ ამ უმაღლოსაო!
საჩუქრად ის არ გეყოფა, რომ ეგ სულელი თავიო
ამ ჩემ საშიშარ კბილთაგან მოგლეჯას დავიცავიო?!
გასწი, ძაშიავ, გაფრთხილდი, კვლავ აღარ მომხედე ხელშიო,
თორემ ველარ იხილავ ცის ნათელს თავის დღეშიო!“

(ცახელი)

ამოწერეთ ამ არაკიდან თანდებულები!

§ 61. კავშირი ჰქვიან მეტყველების ნაწილს, რომელიც აკავშირებს, აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას.

მაგ.: პური და გული სტუმარსა, წაეა, შინ მოაგონდება. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.— როგორც მოხვალ, სვინაო, ისე წახვალ შინაო.— ნაყოფთათვის სავარგისოდ ხან წვიმა სჯობს, ხან ღარიო.— არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს.

მოიფიქრეთ და დაწერეთ ხუთი წინადადება, რომელშიაც იყოს რამდენიმე სხვადასხვა კავშირი.

§ 62. შორისდებული გამოჰხატავს:

მწუხარებას: ვაი! ვაივო! ვჰ! უჰ! ოხ! ვახ! ვაგლახ!

სიხარულს: ჰაჰაჰა! ვიო! იო!

ქებას: ვაჰა! ჟოჩაღ! ბარაქალა! შაბაშ! ვიო!

აფერუბ!

დაჩუმებას: სუ! ჩუ! ჩუმად! კრინტი! სსს!

სურვილს: ნება! ნებაში!

მოწოდებას: ეი! უუუ!.

დამტკიცებას: დინახ! ჰო!

მუქარას: აბა! ჰმ! ააა!

შერცხვენას: ფუ! ფივ! ვიი!

გაკვირვებას: ბა! ბა! პაი! პაი!

ჩუ! მტრედმა დაილულუნა. ჰოჰ! ჰოჰ! ჰირი! ჰირი! ჩუ! გამოხტა აგერ მწყერი. სუ, ჩიტუნია, ნუ გეშინია! ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლია, ნარზედა! ოხ! რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! ვიო ამ დალასა, ამ ჰაერს ბუნების დამატკობელსა!

მოყვანილი მაგალითი გადაწერეთ და შორისდებულებს ქვეშ ხაზი გაუსვით!

სინტაქსი.

ბედნი ბადაგვარბუღისა.

ერთმა უგნურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა;
დასწყევლა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა:
იმ უსამართლო ბუნებამ თავვად რად გამაჩინაო?

მე სხვაგან ყოფნა მინდოდა, მან ჰერქვეშ მომცა ბინაო!
ვის ეკადრება თავებთან კულის ბზეკა და ლხენაო?

მე შემშენოდა ჩიტობა, რომ მეწყო მალა ფრენაო...
რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს, გამომაბამდეს ფრთებსაო,
გაფრინდებოდი, ერთწამს გადავივლიდი მთებსაო!

რომ დაასრულა ეს ნატვრა, ნახა, რომ ფრთები ესხმება...
და მეტი სიხარულითა საბრალოს თავბრუ ესხმება...
ზიზლით შეხედა თვის ტოლებს, დაუყოვნებლივ ავარდა,
ჩიტებში გამოერია, ამანაც გაინავარდა...-

ჩიტებმა ახედ-დახედეს, სთქვეს: ვინ მოსულა ესაო?
რა რჯულის ცხოველი არის? ჩვენთან ვინ გააწესაო?
თვალ-ტანადობა თავეს უგავს, ფრთები ასხია ჩვენო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს, კირი არის და სენიო.
ეგება მტრებმაც მოგზავნეს, შემოჩენილიც იყოსო...
არიქა, ფრთხილად იყავით, არავინ გაგვადრიყვოსო!
დასჯილივღეს, ჩაუნისკარტეს, გაჰკრეს, გამოჰკრეს ბრკყალები,
სისხლი აღინეს ღამურას, გამოუბნელეს თვალები.

ღამა დაეშვა ღამურა, მიჰმართა ისევ ძველ სადგურს,
მაგრამ აქ უფრო შავი დღე დაადგა მაშინ უბედურს:
თავებმა აითვალწუნეს, აღარ მიიღეს, რომ ნახეს,
მიჰვარდნენ ერთად საკებნად: ჰკა მაგასაო! დასძახეს...
მაშინ კი მიხვდა ღამურა, რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური საქირბოროტოდ აუხდა!
გვიან-ლა იყო. გაფრინდა გაკიცხულ თავსლაფდასხმული,
ერთს ძველ ნანგრევში შეფრინდა და მოიბრუნა იქ გული.
მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს, დღისით ვერ ჩნდება სირცხვილით-
და მუდამ ამას წრიპინებს კენესით და გულის ტკივილით:
„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა კირი მიუფა კარზედა!
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა დენასა!
გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი ჰირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია!“

§ სპ. წინადადება. ერთმა უგნურმა თავუნამ იუკად-
რისა თავგობა. ეს სიტყვათა რიგი უბრალო, შემთხვევით
თავმოყრილ სიტყვების გროვას კი არ წარმოადგენს, არამედ
სიტყვათა რიგს, რომელნიც ერთმანეთთან გრამატიკულად შე-

ქსოვილ-შეკავშირებული არიან და გომოჰხატავენ ერთს განსაზღვრულ აზრს. ასეთს სიტყვათა რიგს გრამატიკაში წინადადებას ეძახიან.

წინადადების ნაწილებია:

ა) შემასმენელი.

ერთმა უგნურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა; დახწყევლა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა.

ამ წინადადებაში ლაპარაკია თავუნას შესახებ. მის შესახებ ნათქვამია: თავგობა იუკადრისა. ამ წინადადებიდან რომ ამოვავლოთ პირველი სიტყვა „ერთმა“, აზრი სრულიადაც არ დაირღვევა: უგნურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა. მეორე სიტყვაც (უგნურმა) და შესამეც (თავგობა) რომ ამოვავლოთ, აზრი მიინც გასაგები იქნება: თავუნამ იუკადრისა. მაგრამ საკმარისია ამ წინადადებიდან ამოვავლოთ მხოლოდ ერთი სიტყვა იუკადრისა, რომ აზრი სრულიად გაუგებარი დარჩეს: ერთმა უგნურმა თავუნამ თავგობა. ჩვენთვის ახლა გაუგებარია: თავუნამ მოიწონა, დაიწუნა, თუ რა თავგობა. წინადადების აზრი ჩვენ გაგვაგებინა, შეგვახსინა სიტყვამ: იუკადრისა.

მეორე წინადადებაშიაც (დასწყევლა თვისი გაჩენა) ლაპარაკი თავუნას შესახებია. მართალია, ამ წინადადებაში თავუნა არაა მოხსენებული, მაგრამ ეს უმისოდაც ცხადად ჩანს, ადვილი მისახვედრია, ხოლო სიტყვა „დასწყევლა“ რომ არ ყოფილიყო მოხსენებული, ამას კი ჩვენ ვერ მივხვდებოდით. სიტყვამ „დასწყევლა“ ჩვენ მიგვახვდინა, გაგვაგებინა, შეგვახსინა ამ მეორე წინადადების აზრი. ის სიტყვა, რომელიც აზრს გასაგებად ჰხდის, არის შემასმენელი.

წინადადებაში ზმნა აუცილებლად შემასმენელია. რამდენიცაა ზმნა, იმდენივეა წინადადება. ბულბული ბუჩქზე ზის. ეს ერთი წინადადებაა. რადგანაც აქ მარტო ერთი ზმნაა — ზის. ბულბული ბუჩქზე ზის და საამურად გალობს. ეს ორი წინადადებაა, რადგანაც აქ ორი ზმნაა: ზის და გალობს.

ზმნას გარდა შემასმენლად შეიძლება იყოს აგრეთვე მეტყველების სხვა ნაწილიც.

1. მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნაღიმსა, თუ გაიგრძელებს, ინანებს, მგელს გაუკეთებს საღილსა.

2. თურაშაული ვაშლი წითელია.—მიხაკო კლასში პირველი მოწაფეა.—ბალი გემრიელია, თუ არ შემოგველია.—ტფილისი საქართველოს დედაქალაქია.

პირველ მაგალითში შემასმენლად ზმნებიჲ, მეორეში კი მეტყველების სხვა ნაწილები: წითელია (ზედსართ. სახ.), მოწაფეჲ (არსებით. სახ), გემრიელია (ზედსართ. სახ), დედაქალაქია (არს. სახ:).

შემასმენელი თუ ზმნითაა გამოხატული, მას მარტივ შემასმენელს ეძახიან, ხოლო თუ მეტყველების სხვა ნაწილით—**შედგენილს**. ამ უკანასკნელს შედგენილი იმიტომ ჰქვია, რომ თვით ის სიტყვებია შედგენილი: მოწაფე-ა — მოწაფე არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმაა, ხოლო ბოლოში დართული ა არის შემოკლებული მეშველი ზმნის თხრობითი კილოს, აწყო დროს, მხოლოობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა არის—ა. ამგვარადევა შედგენილი სხვა შემასმენლებიც: გემრიელი-ა (რის), წითელი-ა (რის), დედაქალაქი-ა (რის).

მოიფიქრეთ და დასწერეთ რამდენიმე წინადადება, რომლებშიაც შემასმენლად იქნება: ხნავს, მისწერა, კითხულობს, ვიყიდე, მომცემ, ააშენეს, დავიჭირეთ—და თვითეულ წინადადების შემდეგ წერტილი დასვით.

§ 64. შეთანხმება. მართვა. წინადადებაში „მოწაფე გაკვეთილს სწავლობს“—შემასმენელს **სწავლობს**, შემდეგი ფორმები აქვს:

1. აწყო დროს ფორმა (სწავლობს და არა ისწავლა).

2. თხრობითი კილოს (სწავლობს და არა ისწავლიდეს ან სწავლობდეს).

3. მხოლოობითი რიცხვის (სწავლობს და არა სწავლობენ).

4. მესამე პირის (სწავლობს და არა ვსწავლობ).

„მოწაფე სწავლობს გაკვეთილს“. ამ წინადადებას რომ კარგად დაეაკვირდეთ, შეენიშნაეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია შემასმენელი სხვადასხვა დროის და კილოს ფორმით შევცვალოთ:

მოწაფე სწავლობდა გაკვეთილს; მოწაფე ისწავლის გაკვეთილს; მოწაფე სწავლობდეს გაკვეთილს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ ამ შემასმენლის რიცხვისა და პირის ფორმები: მოწაფე სწავლობენ გაკვეთილს, — მოწაფე სწავლობ გაკვეთილს. ასეთ შეცვლას უშლის სიტყვა: მოწაფე. მაგრამ ნაცვლად „მოწაფე“-სა თუ ვიტყვი: მოწაფეები, ან შენ, მაშინ შემასმენელიც აუცილებლად ფორმას იცვლის: მოწაფეები სწავლობენ გაკვეთილს; შენ სწავლობ გაკვეთილს.

როგორც აქედან ჩანს, შემასმენლის „სწავლობს“ რიცხვისა და პირის ფორმა დამოკიდებულია სიტყვა „მოწაფე“-ს ფორმაზე. შეიცვლება თუ არა „მოწაფე“-ს ფორმა, აუცილებლად სათანადოდ უნდა შეიცვალოს შემასმენლის „სწავლობს“ ფორმაც. ერთი სიტყვის მეორეზე ასეთ დამოკიდებულებას შეთანხმება ეწოდება. შემასმენელი „სწავლობს“ ეთანხმება სიტყვას „მოწაფე“-ს რიცხვსა და პირში.

მეორე მხრით, სიტყვა „მოწაფე“ დამოკიდებულია შემასმენელზე „სწავლობს“. აბა შევცვალოთ შემასმენელი ნამყო სრულის ფორმით „ისწავლა“. შეიძლება ითქვას: მოწაფე ისწავლა გაკვეთილი? — რასაკვირველია არა. უნდა ითქვას: მოწაფემ ისწავლა გაკვეთილი, რადგანაც შემასმენელი თუ გარდაშავალი ზმნაა და ნამყო დროის (II) ჯგუფის ერთ-ერთი ფორმითაა ნახმარი, სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს. ახლა იგივე შემასმენელი შევცვალოთ დროთა III ჯგუფის ფორმით: უსწავლია, ესწავლა, ესწავლოს. არ შეიძლება თქმა: მოწაფე უსწავლია გაკვეთილი; არც მოწაფემ უსწავლია გაკვეთილი. უნდა ითქვას: მოწაფეს უსწავლია (ესწავლა, ესწავლოს) გაკვეთილი, რადგანაც შემასმენელი თუ გარდაშავალი ზმნაა და დროთა III ჯგუფის ერთ-ერთი ფორმითაა ნახმარი, სუბიექტს მიცემით ბრუნვაში მოითხოვს.

შემასმენელზე „სწავლობს“ დამოკიდებულია არა მარტო სიტყვა „მოწაფე“, არამედ მეორე სიტყვაც — „გაკვეთილს“. არ შეიძლება, მაგ., თქმა „მოწაფე სწავლობს გაკვეთილი“, არც „მოწაფე სწავლობს გაკვეთილმა“, — უსათუოდ უნდა ითქვას

გაკვეთილს, რადგანაც შემასმენელი თუ გარდამავალი ზმნაა დრფთა პირველი ჯგუფის რომელიმე ფორმიძი, დამატებას (ობიექტს) მიცემით ბრუნვაში მოითხოვს (მოწაფე სწავლობს — სწავლობდა — სწავლობდეს გაკვეთილს).

ავილოთ ახლა სხვა მაგალითი. მეფის სასახლესთან თვალწარმტაცი შადრევანი ამოჩუხჩუხებდა. ამ წინადადებაში ორი სხვადასხვაგვარი საგნის სახელი ერთადაა და ერთი მათგანი კუთვნილებას აღნიშნავს. ამ კომპლექსში პირველი სიტყვა „მეფის“ დამოკიდებულია მეორეზე — „სასახლესთან“. არ შეიძლება თქმა: „მეფე სასახლესთან თვალწარმტაცი“... არც „მეფემ“ სასახლესთან... უსათუოდ უნდა ითქვას „მეფის“, რადგანაც მეორე სიტყვა „სასახლესთან“ მოითხოვს მას ნათესაობით ბრუნვაში. „სასახლესთან“ რთული სიტყვაა: პირველია არსებითი სახელი „სასახლეს“ მიცემით ბრუნვაში, მეორე თანდებული თან. პირველი სიტყვა „სასახლეს“ დამოკიდებულია თანდებულზე „თან“. არ შეიძლება ითქვას: სასახლეთან, არც სასახლემთან, არც სასახლისთან, რადგანაც თანდებული თან იმ სიტყვას, რომელთანაც ის არის, მიცემით ბრუნვაში. მოითხოვს. სიტყვათა შორის ისეთ დამოკიდებულებას, როცა ერთი სიტყვა მის მომდევნო ან წინმძღოლ სიტყვას განსაზღვრულ ფორმაში მოითხოვს; გრამატიკაში მართვა ეწოდება.

ის სიტყვა, რომელზედაც დამოკიდებულია მეორე სიტყვა მმართველი სიტყვაა, მასზე დამოკიდებული სიტყვა კი — მართული. ზემომოყვანილ პირველ მაგალითში „კითხულობს“ მმართველი სიტყვაა, მოწაფე — მართული; იმავე მაგალითში „კითხულობს“ მმართველი სიტყვაა, წიგნს — მართული. მეორე მაგალითში „სასახლესთან“ მმართველი სიტყვაა, „მეფის“ — მართული. სიტყვაში „სასახლესთან“ თან მმართველი სიტყვაა, „სასახლეს“ — მართული. მართულ სიტყვებად, საზოგადოდ, ისეთი სიტყვებიცაა, რომელთაც სხვადასხვა ფორმა მოეპოვებათ, როგორც მაგ.: სახელები, რომელთაც ბრუნვების ფორმები მოეპოვებათ და ზმნა, რომელსაც აქვს პირების, რიცხვების, დროების და კილოების ფორმები, ხოლო უფორმო სიტყვები

მართულად ვერ გამოდგებიან, რადგანაც არ იცვლებიან. ისინი (ზმნისართი და თანდებული) მუდამ მმართველი სიტყვები არიან.

მერთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა,
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლავეარდ სიერკეში დაინთქებოდა.

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!!

მშობელი შობილს არრას მეტყოდა,

ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი

ქართულის ძილშია კენესა ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი

კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი...

როსლა გველიარსოს ჩვენ გაღვიძება?! (ი. ჭ.)

ამ ლექსიდან ამოწერეთ ჯერ ხუთი შემასმენელი და თე-
თეულთან ის სიტყვა, რომელსაც ის ეთანხმება. შემასმენელს
ქვეშ თითო ხაზი გაუსვით, ხოლო იმ სიტყვას, რომელსაც ის
ეთანხმება—ორ-ორი.

ამგვარადვე ახალი აბზაციით ამოწერეთ ხუთი სხვა მმართ-
ველი სიტყვა და მის გვერდით მისი მართული სიტყვები, მმარ-
თულ სიტყვებს თითო ხაზი გაუსვით, მართულებს—ორ-ორი.

§ 66. ქვემდებარე (სუბიექტი). სიტყვას, რომელსაც შე-
მასმენელი ეთანხმება, ქვემდებარე (სუბიექტი) ეწოდება.

შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვსა და პირში.

თუ შემასმენელი პირველი პირის ფორმითაა, ქვემდებარედ იქნება მხოლოდ ერთი სიტყვა: პიროვნებითი ნაცვალსახელოვანი არსებითი სახელი მე, ხოლო თუ შემასმენელი მრავლობითშია — ჩვენ.

შემასმენელი თუ მეორე პირშია, ქვემდებარედ იქნება მხოლოდ ერთი სიტყვა: პიროვნებითი ნაცვალსახელოვანი არსებითი სახელი შენ. მრავლობითში — თქვენ.

შემასმენელი თუ მესამე პირშია, ქვემდებარედ შეიძლება იყოს, როგორც ნაცვალსახელოვანი არსებითი სახელი ის (მრავლობითში ისინი), ისე ყოველგვარი არსებითი სახელი. მე ვღგავარ, ჩვენ ვღგავართ; შენ ღგახარ, თქვენ ღგახართ; ის

დგას, ისინი დგანან; კაცუ დგას; კოკა დგას; ქათამი დგას; მოწაფეები დგანან.

ამ მაგალითებს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ქვემდებარედ მუდამ არსებითი სახელია. მართალია, ჩვენ ხშირად გვხვდება ქვემდებარედ მეტყველების სხვა ნაწილებიც, მაგ.: ზედსართავი სახელი, მიმღეობა, მაგრამ ის უკვე განსაგნებულა, არსებით სახელად ქცეულა „შქედელს დანა არა ჰქონდა, და ფეიქარს—ხელსახოცი“. ამ მაგალითში „შქედელს“ თავისი ფორმით მიმღეობაა, მაგრამ ის მარტონიშანს კი არ აღნიშნავს, არამედ თვით საგნის სახელსაც ის უკვე არსებითი სახელია.

შემასმენელი თუ გარდამავალი ზმნაა და დროთა პირველი ჯგუფის ფორმითაა, ან გარდაუვალი (საშუალი გვარის) ზმნაა და დროთა საჩისავე ჯგუფის რომელიმე ფორმით, ქვემდებარე უსათუოდ სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს, მაგ.:

გარდამავალი ზმნა. დროთა I ჯგუფი	{ კაცი სწერს წერილს; კაცი სწერდა წერილს; კაცი სწერდეს წერილს.
გარდაუვალი ზმნა. დროთა I ჯგუფი	
	კაცი კვდება;
	კაცი კვებოდა
	კაცი მოკვდება
	კაცი კვებოდეს
II ჯგუფი	კაცი მოკვდა
	კაცი მოკვდეს
	კაცი მომკვდარა
III ჯგუფი	კაცი მომკვდარიყო
	კაცი მომკვდარიყოს.

შემასმენელი თუ გარდამავალი ზმნაა და დროთა II ჯგუფის რომელიმე ფორმითაა, ან დროთა მეორე ჯგუფის გარდაუვალი ზმნაა, რომელიც ამ ჯგუფის ფორმებს ი-თ იწარმოებს, ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში უნდა იქნას.

გარდამავალი ზმნა, დროთა II ჯგუფი.	კაცმა მოკლა დათვი;
	კაცმა მოკლას დათვი;
გარდაუვალი ზმნა	კაცმა იცინა;
	კაცმა იცინოს.

მოთხრობითსავე ბრუნვაში მოითხოვს ქვემდებარეს ზნეები: იცის და უწყის, მაგ.: კაცმა იცის, იცოდა, იცოდეს.

შემასმენელი თუ გარდამავალი ზნაა დროთა III ჯგუფის რომელიმე ფორმით, ან გარდაუვალი რელატიური*), ქვემდებარეს მიცემითში მოითხოვს.

გარდამავალი ზნა. დროთა III ჯგუფი	ბავშს წერილი უწერია;
	ბავშს წერილი ეწერა;
	ბავშს წერილი ეწეროს;
რელატიური ზნა. დროთა I ჯგუფი.	ბავშს დედა უყვარს;
	ბავშს დედა უყვარდა;
	ბავშს დედა ეყვარება;
	ბავშს დედა უყვარდეს;
დროთა II ჯგუფი	ბავშს დედა შეუყვარდა;
	ბავშს დედა შეუყვარდეს;
დროთა III ჯგუფი	ბავშს დედა ჰყვარებია;
	ბავშს დედა ეყვარა;
	ბავშს დედა ეყვაროს.

დათვის ბაღები.

დედა დათვი ბუნაგთან წამოწოლილიყო და თვლემდა. ბელემბა ბებერი ითამაშეს, იცელქეს, იხტუნეს, იგორეს და, როცა თავისუფლად ნაეარდი მოსწყინდათ დედას შესჩივლეს:

„ძალიან მოგვებზრდა მუდამ უდაბურ ტყეში ყოფნა: ჩვენთვის გართობა-სიამოვნება არ არსებობს, ყველაფერს მოკლებული ვართ, ლამის ასეთმა მდგომარეობამ სული ამოგვხადოს. თუ ქალაქისკენ გასიერინების ნება არ მოგვეცი, მთლად გადავირევით“.

— თქვენი ნებაა, შეილებო, — მიუგო დათვმა, — რაკი არ დაგიშლიათ, გზა დამილოცავს, მხოლოდ თუ იქ თქვენი უფროსი ძმა შეგხვდესთ, მოიკითხეთ და მისი ამბავი მომიტანეთ.

*) გარდაუვალი რელატიური ზნეებია: აქვს, ჰყავს, ჰგავს, სწამს, სძავს, სძულს, უყვარს... მას აქვს, მას ჰყავს, სძულს და სხ. ამ ზნეებში ყოველთვის აღინიშნება ქვემდებარე და დამატებად, მათ აქვთ ორი ფორმა: მყავს მე—გვავარ მას; გყავს შენ იგი—ჰყავხარ მას შენ, ჰყავს მას იგი—ჰყავს იგი მას. ორივე ფორმა რელატიურია, მიმართებითი, ამიტომ ამ გარდაუვალ ზნეებს შეიძლება ვუწოდოთ გარდაუვალ მიმართებითი.

— ჩვენს ძმას იქ რა საქმე აქვს? — გაოცებით ჰკითხეს ბელეგმა.

— როცა თქვენოდენა იყო ადამიანებმა ბუნაგიდან მომპარეს, ქალაქში წაიყვანეს და ახლა ყელზე რკინის ჯაჭვმომბმული კარ-და-კარ დაჰყავთ და მთრახის ცემით აცეკვებენ.

ეს რომ ბელეგმა გაიგეს, თავის განზრახვაზე ფიცხლავ ხელი აიღეს და ქალაქის ქუჩებში სეირნობას ისევ ტყე-ღრეში ხეტიალი არჩიეს.

გადმოიწერეთ ეს ამბავი და შემასმენლებს ქვეშ თითო ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორ-ორი. შემდეგ ჩამოწერეთ მმართველი და გვერდით მათ-მათი მართული სიტყვები.

შემასმენელი და ქვემდებარე წინადადების უმთავრესი ნაწილებია, რადგანაც უამათოდ წინადადება არ იქნება. ხშირად წინადადებაში ქვემდებარე მოხსენებული არაა, მაგრამ ის იგულისხმება, უშემასმენლოდ კი წინადადება შეუძლებელია, თუმცა ანდაზებში ხანდახან ის არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება კი, მაგ.: ცხენი — აღმართში, თევზი — მარხვაში. იგულისხმება: გამოსადეგია, საკიროა, კარგია... სხვა სიტყვები კი წინადადების მეორეხარისხოვანი ნაწილებია.

გ ა ზ ა ფ ზ უ ლ ი.

მოის ცელქ ნიაესა

გალღვიბობდა

და თავისუფლად

მინდვრად დაქროდა.

ნელსურნელოვანს და ნორჩ ყვაილებს

მალლით ცის ნამი ეპყურებოდა;

იას ცისფერსა, გულგადაშლილსა,

ტურფა ცისკარი ელიმებოდა.

ცაში ტოროლა ფრთხილ-ტრიალით

დილის განთიადს ეგებებოდა;

იქით ფერდობში შაშვი გალობდა,

აქეთ წყლის პირად კენესდა ბულბული,

იქვე მახლობლად მთის ნაკადული

ტყისკენ მიხტოდა გამაღებული. („ზრომა და ცოდნა“)

§ 66. განსაზღვრება. სიტყვა რომ მეორე სიტყვას შეეთანხმოს, აუცილებლად საკიროა, რომ მასაც შეეძლოს იმ

სიტყვის ფორმის მიღება. ზმნას შეუძლია სახელს შეეთანხმოს პირებსა და რიცხვებში. ზედსართავი და მიმღობა სახელებს მხოლოდ ბრუნვებში ეთანხმება. როგორც ვიცით, ზმნა წინადადებაში მუდამ შემასმენელია და ეთანხმება ქვემდებარეს პირებსა და რიცხვებში. ზედსართავი სახელი და მიმღობა მუდამ არსებით სახელთანაა, მას განმარტავს და ეთანხმება ბრუნვებში. ზედსართავსა და მიმღობას, რომელნიც წინადადებაში არსებით სახელს ეთანხმებიან, განსაზღვრება ეწოდება.

განსაზღვრებად ხშირადაა აგრეთვე წინადადებაში არსებითი სახელიც (ოთახის კარი ღია დამჩნა).

არსებითი სახელი, რომელსაც ზედსართავი სახელი ეთანხმება სასაზღვრი (საზღვრული) სიტყვაა, ზედსართავი კი მსაზღვრელი.

ზედსართავი სახელები: ბევრი, მრავალი, ცოტა თუ ქვემდებარეს საზღვრავს, ქვემდებარესაც და შემასმენელსაც მხოლოდობით რიცხვში მოითხოვს. მხოლოდობითსავე რიცხვში მოითხოვს აგრეთვე თავის სხვა სასაზღვრ სიტყვასაც, მაგ.: მირიანი და წმინდა ნინო მცხეთიდან საქადაგებლად მთიულეთს გაეშურენ, სადაც ბევრი მთიული მოინათლა. მონადირეებმა ტყეში მრავალი ნადირი (და არა ნადირები) დახოცეს.

აკომიდან „ეპიკური ხაჩალის ცხომკაბიდან“.

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,—
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზე წამოიხარა.
ლამის გუშავი, მუდამ მკმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიღოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თაფი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი, მოკამკამენი,
იმ მწუხარ ლამეს მხიარულობდენ,
მღუმარს ქვეყანას ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდენ, ზედ დაჰხაროდენ,

და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავე მთისა. მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მღუშარი
დაფიჭრებული ყურს მიუპყრობდა.

მოყვანილ მაგალითში მიმღეობა „გაშლილი“ ეთანხმება არსებით სახელს (ქვემდებარეს) „ზეწარი“ მხოლოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში, რადგანაც ქვემდებარე (ზეწარი) მხოლოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშია; ზეწარი არის საზღვრული სიტყვა, გაშლილი კი—მსაზღვრელი (განსაზღვრება). მეორე საზღვრული სიტყვაა „მთვარე“. ესეც მხოლოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმითაა და მისი მსაზღვრელი სიტყვაა „მკმუნავე“ ეთანხმება მას მხოლოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. შემდეგი საზღვრული სიტყვაა „მნათობნი“ მეორე მრავლობითის სახელობითი ბრუნვის ფორმითა და მისი მსაზღვრელი სიტყვები „შორნი“ და „მოკამკამენი“ ეთანხმებიან მას მეორე მრავლობითის სახელობით ბრუნვაში. შემდეგი საზღვრული „ლამეს“ მხოლოლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვის ფორმითაა და მისი მსაზღვრელი ზედსართავი სახელიც ეთანხმება მას მხოლო. რიცხვის მიცემით ბრუნვაში.

მოყვანილ მაგალითში არსებითი სახელებიცაა განსაზღვრებად, როგორც მაგ., სამშობლოსი (ი) (ყას), მწუხრის (ზეწარი), მთებისა (ჩრდილი) და სხვ., მაგრამ არსებითი სახელი, განსაზღვრება, არ ეთანხმება მის სასაზღვრ სიტყვას ბრუნვებში, იგი მუდამ ნათესაობით ბრუნვაშია, ხოლო რიცხვში—კი, მაგ.:

მძინარი მთების კალთებს და ფერხთა.

ეამბორება ალერსით მტკვარი—

და ჰაერისა ციურ ნანინას

მისი ღუღუნნი ერთვის დამტკბარი. (სილოვანი)

გადმოიწერეთ ზემომოყვანილი ლექსი პოემიდან „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და განსაზღვრებას ქვეშ თითო ხაზი გაუსვით, საზღვრულ სიტყვებს კი ორ-ორი.

დათვის წვეულება.

დათემა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები;
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:
ტურა, შელა, კატა, მგლები...

უკეთესი მასპინძლობა,
უნდა ესთქვათ, რომ არ ნახულა:
რა საკმელი, რა სასმელი...
რა იყო, რომ იქ არ დგმულა!

გადაჰკრეს და სადღეგრძელო
სათითოდ გააჩინეს,
სამადლობელს სავსეს სვამდენ,
წვეთიც არვის შეარჩინეს!

გახალისდა დათუნია,
მოლხენით რომ სხეებიც ნახა;
თვისი ბოხი მალალ ბანით
სუფრულიც კი შემოსძახა.

გაოცებულს იმის სტუმრებს
მარტო ესეც არ აკმარა:
გადმოახტა სუფრას თავზე
და ლეკურიც დაუარა.

მელაკუდამ ტაში დაჰკრა:
„ამფერ, ჩემო დათუნაო,
როგორ გშენის ეგ დავლური,
მალაყები და ხტუნეაო!“

მაშინ მგელმა წასჩურჩულა:
„მელავ, ტყუილს რად ამბობო?
სასაცილოდ დაძუნძულობს,
და შენ მაგრე რად ამკობო?“

მაგრამ მელამ უპასუხა:
ბრიყვი ხარ და სულელიო!

რას დავეძებ მაგის თამაშს,
მე სხვა რასმე მოველიო:

მოვეუწონებ, იამება,
გაბრიყვდება ამ ქებითო,
და ჩვენ კი რა გვენაღვლება,
ვახშმდაც აქ დავრჩებითო.⁶

(აკაკი)

§ 67. დამატება (ობიექტი). ზემომოყვანრლ ლექსში, პირველ წინადადებაში მმართველი სიტყვაა შემასმენელი „გადიხადა“, ხოლო მისი მართული სიტყვები: დათვმა და ლხინი. ამ წინადადებაში დათვმა არის ქვემდებარე (სუბიექტი). ქვემდებარე იმითომ, რომ შემასმენელი „გადიხადა“ გარდამავალი ზმნაა, დროთა II ჯგუფის ნამყო სრულის მესამე პირი, ხოლო გარდამავალი ზმნა II ჯგუფის ფორმით ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს, დათვმა კი მოთხრობითი ბრუნვაა. ესეც რომ არ იყოს, არსებითი სახელი თუ მოთხრობით ბრუნვაშია, წინადადებაში იგი უსათუოდ ქვემდებარედ იქნება. მეორე მართული სიტყვაა „ლხინი“. შემასმენლის მოთხოვნით ეს არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა და გვიჩვენებს მის გარდამავლობას. მეორე წინადადებაში მმართველი სიტყვაა შემასმენელი „ჰყავდა“. მისი მართული სიტყვა ქვემდებარე (მას) იგულისხმება, მეორე მართული სიტყვა „გარეშენიც“ შემასმენლის მოთხოვნით სახელობით ბრუნვაშია. ჰყავს გარდაუვალი რელატიური ზმნაა, რელატიური ზმნები კი დამატებას მხოლოდ სახელობით ბრუნვაში მოითხოვს. შემდეგი მმართველი სიტყვაა შემასმენელი „სვამდენ“, რომლის მართული სიტყვა „სამადლობელს“ მისი მოთხოვნით მიცემით ბრუნვაშია.

იმ მართულ არსებით სახელებს, ქვემდებარეს გარდა, რომელნიც გვიჩვენებენ ზმნის გარდამავლობას და შემასმენლის მოთხოვნით ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას მიიღებენ, გრამატიკაში დამატება (ობიექტი) ეწოდება.

გარდამავალი ზმნა აღნიშნავს ქვემდებარის მოქმედების ურთიერთობას დამატებასთან (ობიექტთან), დამატება კი თავის

მხრით გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქვემდებარის მოქმედების შესახებ.

გარდამავალ ზმნას აუცილებლად თან ახლავს დამატება, რომელსაც იგი მოითხოვს მიცემითსა ან სახელობით ბრუნვაში.

თუ გარდამავალი (მოქმედებითი გვარის) ზმნა წინადადებაში დროთა I ჯგუფის ფორმითაა, დამატებას მიცემით ბრუნვაში მოითხოვს (მონადირე ჰკლავს ირემს; მონადირე ჰკლავდა ირემს; მონადირე მოჰკლავს ირემს; მონადირე ჰკლავდეს ირემს), ხოლო თუ დროთა II ჯგუფისა ან III ჯგუფის ფორმითაა, დამატებას სახელობით ბრუნვაში მოითხოვს (მონადირემ მოკლა ირემი; მონადირემ მოკლას ირემი; მონადირეს მოუკლავს ირემი; მონადირეს მოეკლა ირემი; მონადირეს მოეკლას ირემი).

სახელობით ბრუნვაში მოითხოვს დამატებას დროთა სამივე ჯგუფის ფორმით გარდაუვალი (საშუალო გვარის) რელატიური ზმნები: მას ჰყავს, ჰყავდა, ჰყავდეს იგი; მას ეყოლა, ეყოლება, ეყოლოს იგი; მას ჰყოლია, ჰყოლოდა, ჰყოლოდეს იგი.

მოქმედებითი გვარის ზმნებს ორგვარი გარდამავლობა აქვს: ცალმაგი და ორმაგი.

ცალმაგად გარდამავალ ზმნას მარტო ერთი დამატება აქვს: ბავში სწერს წერილს. ორმაგად გარდამავალ ზმნას ორი დამატება ახლავს: ერთი სახელობითი ბრუნვის ფორმით, მეორე — მიცემითის.

ბავშმა მისწერა დედას წერილი. ამ წინადადებაში ორი დამატებაა: დედას და წერილი. პირველია მიცემით ბრუნვაში, მეორე — სახელობითში. ზმნას „მისწერა“ თუ დროთა I ჯგუფში გამოვიყვანთ, მაშინ ორივე დამატება მიცემით ბრუნვაში იქნება — ბავში მისწერს დედას წერილს. უკანასკნელი დამატება პირველად სახელობით ბრუნვაში იყო, ახლა კი მიცემითშია, ხოლო მეორე დამატება არ შეცვლილა, მაშინაც მიცემით ბრუნვაში იყო და ახლაც მიცემითშია. ის დამატება,

რომელიც ბრუნვებს იცვლის, იმის მიხედვით თუ დროთა რომელი ჯგუფისაა ზმნის ფორმა და გვიჩვენებს ზმნის გარდამავლობას, პირდაპირი დამატებაა, დამატება ნივთისა. მეორე დამატებას კი, რომელიც ბრუნვებს არ იცვლის, არ გვიჩვენებს ზმნის გარდამავლობას და შეიძლება ის გარდაუვალ ზმნისაც ჰქონდეს, არაპირდაპირი, პიროვნების დამატება ეწოდება. ავიღოთ კიდევ სხვა მაგალითი, „დედა თავის ქალს წინდას აქსოვინებს“. ამ წინადადებაში „აქსოვინებს“ არის მოქმედებითი გვარის ორმაგად გარდამავალი ზმნა. დამატება აქაც ორია: ქალს და წინდას. ორივე მიცემით ბრუნვაშია. შევცვალოთ ზმნა „აქსოვინებს“. დროთა II ჯგუფის ფორმით. „დედამ თავის ქალს წინდა მოაქსოვინა. ამ წინადადებაში „ქალს“ არის არაპირდაპირი (პიროვნების) დამატება, ხოლო წინდა პირდაპირი (ნივთის) დამატებაა.

დამატება შეიძლება იყოს აგრეთვე ნათესაობითსა, მოქმედებითსა და მიმართულებით ბრუნვებში, მოთხრობითში კი არაოდეს (მოწათეს მასწავლებლის ერიდება.— ბავშს ძალღის ეშინია.— გლეხი ნაჯახით შეშას აპობს.— მონადირემ თოფით კურდღელი მოკლა.— ვანოს ხბო კამეჩად მოეჩვენა.— ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, დევნა მეტი იყო).

სპარსეთის მეფე დარიოზმა აღექსანდრე მეფეს კაცი გაუგზავნა და ხარკი სთხოვა, რომელსაც ფილიპე მეფეს ყოველთვის ართმევდა. აღექსანდრემ ასე შეუთვალა: ის ქათამი მოკვდა, რომელიც დარიოზს ოქროს კვერცხს უღებდაო.

გადიწერეთ ეს არაკი და პირდაპირ დამატებას ორი ხაზი გაუსვით, არაპირდაპირს კი—თითო-თითო.

§ 68. მიმატება. წინადადებაში ჩვენ ხშირად გვხვდება ერთად ორი არსებითი სახელი ერთი და იმავე ფორმით, რომელთაგან ერთს მსაზღვრელო სიტყვის ხასიათი აქვს, მეორეს — საზღვრულის, მაგ.: მდინარე მტკვარი არსიანის მთიდან გამოდის.— ქალაქ(ს) ქუთაისის მეტად ლამაზი მდებარეობა აქვს. ერეკლე(მ) მეფემ კრწანისის ველზე მცირე რაზმით მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი სასტიკად დაამარცხა.

მოყვანილ მაგალითებში ასეთი სიტყვებია: მდინარე მტკვარი, ქალაქ(ს) ქუთაისს, ერეკლე(მ) მეფემ. ასეთ წყვილ არსებით სახელს წინადადებაში, რომელნიც ერთმანეთს ეთანხმებიან რიცხვსა და ბრუნვებში, მიმატება ეწოდება.

მიმატება შეიძლება იყოს წინადადებაში ქვემდებარედ, როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითებშია, ან დამატებად, როგორც, ნაგ.: მეფე ვახტანგმა ქალაქი ტუილისი დააარსა.— ამ წინადადებაში ორი მიმატებაა: „მეფე ვახტანგმა“ და „ქალაქი ტუილისი“. ამათგან პირველია ქვემდებარე, ხოლო მეორე — დამატება და, როგორც ასეთი, მმართველი სიტყვის, შესასმენლის, მოთხოვნით ორივე სახელობითი ბრუნვის ფორმითაა.

გუშინ გავუღე გალიის კარი
ჩემს დატყვევებულს უცხო ფრინველსა,
და, ჩვეულებრივ, სიმღერა მტკბარი
მოჰჟინა ეშხით ტყესა და ველსა.

(აკაკი)

§ 69. გარემოება. მოყვანილ მაგალითში ზმნისართი „გუშინ“ დართული აქვს შემასმენელს „გავუღე“, მაგრამ ის, როგორც უფორმო სიტყვა, არც ეთანხმება მას, არც მისი მართული სიტყვაა, პირიქით, იგი მოითხოვს მას (შემასმენელს) წამყო დროში. ისეთ სიტყვას, რომელიც წინადადებაში შემასმენელს დაერთვის და არც ერთ სიტყვას არ ეთანხმება, არც მართულ დამოკიდებულებაში იმყოფება, გარემოება ჰქვია.

ზმნისართს გარდა წინადადებაში გარემოებად შეიძლება იყოს აგრეთვე არსებითი სახელიც თანდებულობით, ან უთანდებულოდ. თუ სახელი თანდებულობითაა, იმ ბრუნვის ფორმას მიიღებს, რომელსაც თანდებულობით მოითხოვს, ხოლო თუ უთანდებულოა, იმ ბრუნვის ფორმას, რომელსაც შემასმენელი მოითხოვს.

გარემოება ხუთგვარია: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის და მიზნის.

აეროპლანი მაღლა-მაღლა წავიდა და მალე თვალს მიეფარა.— რადიოს ელვის სისწრაფით მოაქვს შორეული ქვეყნებიდან ამბავი.— აღმართ-აღმართ მივიდიოდი მე ნელა, სერზე შევდექე, კმუნვის ალი

მენელა.—მაშინადი ჰყავს თინიას, დღეს არის იმის ლხინია, ციბრუ-ტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია.—ბუმბერაზ მთანი მღვმე-რედ, ცათამღე აყუდებულნი სხედან, ვით დევნი სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემეკლნი. მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დასწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.—წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს ცვივიან, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან.

ამოწერეთ მოყვანილი მაგალითებიდან ადგილის, დროის, ვი-თარების და სხვა გარემოებანი ცალცალკე!

§ 70. დასკვნა წინადადებაში მეტყველების ნაწილთა შესახებ.

1. ზმნა წინადადებაში მუდამ შემასმენელია.

2. არსებითი სახელი სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცე-მით ბრუნებში ა) ქვემდებარეა, ბ) მისი მიმატება ყველა ბრუნვაში, გ) დამატება და მისი მიმატება, დ) ნათესაობით ბრუნვაში განსა-ზღვრება, ე) შედგენილი შემასმენელი, ვ) გარემოება.

3. ზედსართავი სახელი და მიმღეობა წინადადებაში ა) გან-საზღვრება, ბ) ქვემდებარე, გ) შედგენილი შემასმენელი, დ) და-მატება, ე) გარემოება.

4. ზმნისართი—გარემოება.

§ 71. ერთგვარი წევრები წინადადებაში. წინადადება-ში შესაძლოა იყოს არა მარტო ერთი ქვემდებარე, არამედ ორი და მეტიც (ტფილისის პირველი შრომის სკოლის მოწა-ფეები და მასწავლებლები საექსკურსიოდ კახეთს გაემგზავ-რენ); თვითეულ არსებით სახელს შეიძლება რამდენიმე გან-საზღვრება ეთანხმებოდეს (ერთი დასუსტებული, მკლვე ვირი თავის პატრონს გაეპარა); თვითეული შემასმენელი შესაძლოა მართავდეს რამდენიმე დამატებას (პური და ღვინო სტუ-მარსა, წავა, შინ მოაგონდება) და თანაც ახლდეს რამდენ-იმე გარემოება (მოწაფემ თხზულება ლამაზად და სუფთად დაწერა).

წინადადების ასეთი ერთგვარი წევრები ერთმანეთს კავ-შირების საშუალებით უერთდებიან.

წინადადებაში თუ ასეთი ერთგვარი წევრი რამდენიმეა, ისინი ერთმანეთს მძივეთი უნდა დავაშოროთ.

კავშირის და-ს წინ მძიმე არ უნდა ღვეუსვათ.

§ 72. დამოკიდებული სიტყვები. როგორც ვნახეთ, წინადადებაში ყოველი სიტყვა ერთმანეთთან შეკავშირებულია შეთანხმების ან მართვის წესით.

მხოლოდ ზნისართი გარემოებანი არ ეთანხმებიან სიტყვებს, არც მათთან მართულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ისინი მხოლოდ მკიდროდ დაკავშირებული არიან აზრით შემასმენელთან.

მაგრამ წინადადებაში სრულიად დამოკიდებული სიტყვებიცაა, რომელნიც არც ფორმით, არც აზრით არცერთ სიტყვასთან შეკავშირებული არაა. ისინი მხოლოდ აესებენ, განმარტავენ წინადადებას მთლიანად.

ასეთი სიტყვებია:

1. შორისდებულნი, რომელნიც სხვადასხვა სულიერ განწყობილებას გამოჰხატვენ: ოხ! ვაი! ვიშ! ფუ! და სხ.

2. დადასტურებითი (მტკიცებითი) სიტყვები: ჰო, დიალ და უარყოფითი—არა, ვერა (შემოკლებით—არა, ვერ), რომელნიც გვხვდებიან როგორც წინადადებაში, აგრეთვე მის გარეთაც.

3. მიმართვითი სიტყვები: მიმართვა შეიძლება იყოს ყოველგვარი სახელი (კოტე, საიდან მოდიხარ? თავო ჩემო, ბედი არ გიწერია; ჩანგო ჩემო, ეშხით არ გიჟღერია. ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლია, ნარზედა).

4. ჩართული სიტყვები, რომელნიც გამოჰხატვენ თუ როგორ უყურებს მოუბარი იმას, რის შესახებაცაა ლაპარაკი (ის, ვგონებ, პატიოსანი კაცი უნდა იყოს.—მამაჩემი, სამწუხაროდ, ძალიან ავად არის).

ასეთი სიტყვები მოგვაგონებს ზმნისართს, მაგრამ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ წინადადების არც ერთ წევრთან, სრულიად დამოუკიდებელნი არიან. საუბარში ჩართული სიტყვები გამოიყოფიან სხვა სიტყვებისაგან შეჩერებით (პაუზით), ხოლო წერის დროს მძიმეებში უნდა ჩავსვათ.

§ 73. წინადადება პირნაკლი, სრული, გავრცელებული, მარტივი და რთული. წინადადება შეიძლება მარტო ერთი სიტყვით იყოს გამოხატული, მაგ.: წვიმს. ეს ჩვენ სხვანაირადაც შეგვიძლია ვთქვათ: წვიმა მოდის. პირველ შემთხვევაში წინადადება მარტო ერთი სიტყვით, შემასმენლით

იყო გამოხატული, მეორეში კი ორით — ქვემდებარითა და შემასმენლით. წინადადებას, რომელიც მარტო შემასმენლითაა გამოხატული, ხოლო ქვემდებარე არც კი იგულისხმება, პირნაკლი წინადადება ეწოდება. პირნაკლ წინადადებაში შემასმენლად პირნაკლი ზმნებია: წვიმს, თენდება, დაღამდა, და სხვა.

წინადადებაში თუ მარტო ქვემდებარე და შემასმენელია, ასეთ წინადადებას სრული წინადადება ჰქვია.

მელამ საქათმიდან კრელი ვარია მოიტაცა. — ამ წინადადებაში ქვემდებარესა და შემასმენელს გარდა მეორე ხარისხოვანი, ამხსნელი სიტყვებიცაა: გარემოება, განსაზღვრება და დამატება. ასეთ წინადადებას გაგრცვლებული წინადადება ჰქვია.

მარტო ერთ წინადადებას, პირნაკლი იქნება ის, სრული, თუ გაგრცვლებული, მარტივი წინადადება ეწოდება.

კატამ თავი დაიჭირა, კარგა ხანს ათამაშა და მერმე გემრიელად შეახრამუნა. — ამ წინადადებაში სამი შემასმენელია; მასანდმე, ეს წინადადება სამი წინადადებისაგან. ყოფილა შემდგარი: 1 — კატამ თავი დაიჭირა; 2 — კარგა ხანს ათამაშა; 3 — მერმე გემრიელად შეახრამუნა. — წინადადებას, რომელიც ორი, სამი ან მეტი წინადადებისგან შედგება, რთული წინადადება ჰქვია.

საუბარში, წინადადებას რომ ვათავებთ, ხმას ძირს ეუშვებთ, წერის დროს კი ყოველი წინადადების დასასრულ წერტილი უნდა დავსვათ. რთულ წინადადებაში მისი შემადგენელი წინადადებანი ერთმანეთს მძიმეთი უნდა დავაშოროთ, მაგრამ მათ შორის თუ შემაერთი კავშირი და არის, მძიმე არ დაისმის.

როგორც ვთქვით, წინადადების ბოლოში ხმა უნდა დაეუშვათ, მაგრამ რთულ წინადადებაში ხმა არ ეშვება, პირიქით თვითეული შემადგენელი წინადადების ბოლოს უნდა აეუწიოთ, როგორც, მაგ., ერთგვარ სიტყვებსა და ჩართულ სიტყვებზე.

§ 74. წინადადებათა შეერთება. არსებობს ორი საშუალება წინადადებათა ერთ, რთულ წინადადებად შესაკავშირებლად:

1) შემაერთი კავშირების საშუალებით (მე გუშინ ვიყიდე წიგნი, მაგრამ ჯერ არ წამიკითხავს). შემაერთი კავშირები ეწოდება იმ კავშირებს, რომელნიც აერთებენ წინადადების ერთგვარ წევრებს: და, მაგრამ, ან, და სხვა.

ამ კავშირებით შეერთებული წინადადებანი ჩვენ გვეჩვენებიან ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ, თანაბარ-ძალოვან, თავისთავად წინადადებებად.

2) წინადადებანი შეიძლება შევეერთოთ აგრეთვე დამოკიდებითი სიტყვების საშუალებით. ასეთი სიტყვებია: კავშირი, ზმნისართი, ზედსართავი და არსებითი სახელი:

კავშირი: რომ, თუ, როგორ, იმიტომ და სხ.

ზმნისართი: სად? როდის? რამდენად?

ზედსართავი: რომელი? როგორი? ვისი?

არსებითი სახ: ვინ? რა?

ეს ისეთი სიტყვებია, რომ მათ მიერ შეკავშირებული წინადადებანი ჩვენ გვეჩვენებიან არათანაბარძალოვნებად, არა თავისთავადად: ერთი უფრო მნიშვნელოვანია, მთავარია, მეორე კი უკვემდებარებული, დამოკიდებული.

ხანდახან დამოკიდებული წინადადება შეკავშირებულია მთავარი წინადადების რომელსამე ერთ სიტყვასთან, მაგ., ქვემდებარესთან.

„ცხენმა, რომელიც ბიძაჩემმა მარჩუქა, ფეხი მოიტეხა“, ამ წინადადებაში „ცხენმა ფეხი მოიტეხა“ — მთავარი წინადადებაა, „რომელიც ბიძაჩემმა მარჩუქა“ — დამოკიდებული. ეს უკანასკნელი შეკავშირებულია მთავარი წინადადების ქვემდებარესთან სიტყვის „რომელიც“ საშუალებით. „ისეთ რვეულს ვიყიდი, როგორსაც მასწავლებელი მირჩევს“. ამ მაგალითში დამოკიდებული წინადადება „როგორსაც მასწავლებელი მირჩევს“ შეკავშირებულია მთავარი წინადადების დამატებასთან (რვეულს) სიტყვის „როგორსაც“ საშუალებით. იმ დამო-

კიდებულ წინადადებას, რომელიც უკავშირდება მთავარი წინადადების ქვემდებარეს ან დამატებას სიტყვებით: რომელიც, რომ, როგორიც, ვინც, რამდენიც, — რომელთაც მთავარ წინადადებაში ეპირისპირება სიტყვები: ის, იგი, ისეთი, იმდენი, — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ეწოდება.

ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძლარი არიან. —

შე გუშინ გავიგე, რომ შენი ძმა სოფელში წასულა.

უსწავლელ ხალხს ჰგონია, თითქო დედამიწა დიდ ვეშაპზე იყოს დაყრდნობილი.

პირველ წინადადებაში მთავარი წინადადებაა: „ყველამ ვიცით“, დამოკიდებული — „რომ მგლები გაუმაძლარი არიან“. ეს უკანასკნელი უკავშირდება მთავარი წინადადების შემასმენელს სიტყვის „რომ“ საშუალებით. უკანასკნელ წინადადებაში მთავარია: „უსწავლელ ხალხს ჰგონია“, დამოკიდებული — „თითქო დედამიწა დიდ ვეშაპზე იყოს დაყრდნობილი“. ეს უკანასკნელი წინადადება შეკავშირებულია მთავარი წინადადების შემასმენელთან სიტყვის „თითქო“ საშუალებით.

დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც უკავშირდება მთავარი წინადადების შემასმენელს სიტყვებით: რომ, თითქო, რაც, დამატებითი დამოკიდებული წინადადება ეწოდება.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება გამოიცილობა ბრუნვების კითხვებით, გარდა მოთხრობითისა.

მთავარი წინადადების შემასმენელსავე უკავშირდება გარემოებაც სხედასხვა კავშირისა და ზმნისართების საშუალებით.

1. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მთავარს სიტყვებით: სადაც, საიდანაც, საითაც, საითკენაც, რომელთაც მთავარ წინადადებაში ეპირისპირება: იქ, იქიდან, იქითკენ და სხვა.

სადაც ცულ სავალი იყო, იქ გავიყვანდი გზასაო.— მტერი იქიდან გამოჩნდა, საიდანაც სრულიად არ მოელოდენ.— მეც იქითკენ მივიღვიარ, საითკენაც შენი ძმა წავიდა.

2. დროს გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოიცილება დროს გარემოების კითხვებით და უკავშირდება მთავარ წინადადებას სიტყვებით: როდესაც, როცა, ოდეს, ხანამ, რომ, რომელთაც მთავარ წინადადებაში ეპირისპირება სიტყვები: მაშინ, მანამ და სხ.

საქართველომ ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როდესაც მი-რიანი მეფობდა.—ხანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მომპკრა.—თორმეტი წლისა მაშინ ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მო-მაშორა.—„შუალამე რომ შეიქნა, მაშინ აეუბი თვალები“.—ხა-ნამ ნებართვა არ აიღო, მანამ შინ არ წამოხვიდე!

3. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მთავარს სიტყვებით: როგორც, რომ, თითქო, რომელთაც მთავარ წინადადებაში ეპირისპირება სიტყვები: ისე, იმგვარად, იმნაირად.

ბაეში ისე დაეცა, რომ წამოდგომა გაუჭირდა. ისე მო-ვალ და მოვხუვი, თითქო ფეხს შეკრას ნალები.

4. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უერთდება მთავარ წინადადებას სიტყვებით: რომ, რადგან (აღ), რომელთაც მთავარ წინადადებაში ეპირისპირება: იმიტომ, იმის გამო.

ივანე იმიტომ დარჩა კლასში, რომ ბევრი იზარმაცა. მეც შენებრ მიწას დავეურებ თვალთ, რადგანაც ზეცა წამარ-თვეს ძალით.

5. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მთავარს კავშირით რომ, რომელსაც მთავარ წი-ნადადებაში ეპირისპირება სიტყვა მისთვის.

სკოლაში მისთვის დავდივარ, რომ ვისწავლო.—მე ჩან-გური მისთვის მინდა, რომ ხიმართლეს მსახურებდეს.

ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოვძახებ. წყალი რო დავუბღებ, აყროლდება. ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შე-რიგების დროს შეგრცხვეს. აქლემი ისე არ დასუსტდება, რომ ვირის ოდენა საპალნე ვერ აიკიდოს. მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდა. როგორიც ტყეა, იმისთანა ნადირი გამოხტის. მექურქულეს საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბაძს ქურქელსა. სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მომპკრა. როგორც ქუხს, ისე არა წვიმს. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. ოდეს ტურ-

ფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირად. კურდღელმა იმდენი იხტუნა, რამდენიც იკოცნა. ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდეს. მას ნულარ ვტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა. როგორც მოხვალ, სვინაო, ისე წახვალ შინაო. აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი, რომა აჩეჩოს მარტო მიწანი და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბლახს, რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას. მე გოგია მისთვის მიყვარს, რომ ძმად და მეგობარ ი. იქ ყველაფერი გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი. მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა. დათიკოდღეს კლასში მიტომ ვერ მოვიდა, რომ ავად იყო. მის გამოვართ უძლურნი, რომ ერთობა არა გვაქვს. ივანეს ყველა ენდობა, რადგანაც მეტად პატიოსანი კაცია. საწუთრო იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს დღე გრძელსა.

ამოიწერეთ ამ მაგალითებიდან ჯერ დამატებითი დამოკიდებული წინადადებანი, შემდეგ განსაზღვრებითი, ადგილის გარემოებითი, დროის, ვითარების, მიზეზის და მიზნის.

§ 75. შერთული წინადადება. ისეთ წინადადებას, რომელშიაც ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია, ან პირუკუ, რამდენიმე ქვემდებარესთან ერთი შემასმენელია, ან წინადადების მეორეხარისხოვანი რამდენიმე ერთგვარი წევრი, შერთული წინადადება ეწოდება.

(ბულბულმა) ხან დაუსტვინა, დაჭყეფა, ხან ზედ დაჭკენესა საწყალად. ლომი და მგელი, ძაღლი და მელა მეზობლად იდგენ ესენი ყველა.--მოწაფეებს სკოლაში უფასოდ დაურიგეს წიგნები, რვეულები, კალმები, კალმისტარები და ფანქრები.

გაზაფხული.

გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია, ჩვენ სალხენად კოკობ ვარდსაც ეშხით გული გაუღია.

ნავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად, თითქო უნდა დაეფინოს იმ ყვავილებს ფიანდაზად.

მალა ზთიდან წმინდა წყარო
მოცქრიალებს ჩუხჩუხითა,
თითქო ნანას ეუბნება
ძუძუნწოვრებს ტკბილი ხმითა.

ხის ტოტებზე ჩიტუნები
ფრთხიალობენ, სრიალობენ,
იშენებენ მალა ბუდეს
დაჰხარიან და გალობენ.

და მახლობლად, იქვე, თავი
მოუყრიათ ყმაწვილებსა,
იმღერიან და თან ჰკრეფენ
სხედასხვაფერ ყვავილებსა.

(აკაკი)

გადაიწერეთ ეს ლექსი და შერთულ წინადადებებს ქვეშ
ხაზი გაუსვით!

§ 76. ჩართული წინადადება. ხანდ.ხან წინადადებას
თავსა ან შუაში ჩაერთვის დამოკიდებული წინადადება, რომე-
ლიც მის აზრს ძლიერ ნაკლებად განმარტავს, მაგ.: თამარ მე-
ფე, როგორც ფიქრობენ, გელათის მონასტერში უნდა იყოს
დაკრძალული.

ჩართულ წინადადებას არაერთარი გრამატიკული კავშირი
არა აქვს სხვა წინადადებასთან და, რომ გამოვეუშვათ, აზრი
სრულიადაც არ დაირღვევა.

წერის დროს ჩართული წინადადება უნდა ჩავსვათ ფრჩხი-
ლებში, მძიმეებსა, ან ხაზებს შუა.

ერთხელ ერთ ყვავსა, შეეპრელსა, ავსა (რომელიც არის
წაწილის მტერი) სადღაც ეშოვნა ყველის ნაჭერი.—ფარნავეზმა,
როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, ქართული ან-
ბანი მოიგონა. მამა—მადლობა ღმერთს—კარგად არის.

§ 77. შემოტანილი წინადადება. მოუბარი თავის საუ-
ბარში ხშირად გამოურევს ხოლქე სიტყვა-სიტყვით სხვის ნა-
თქვამ აზრს.

ხარმა უთხრა გუთანს: „მომბეზრდა შენი მაგდენი თრევაო“
გუთანმა უპასუხა: „მეც მომბეზრდა შენი მაგდენი კმევაო“.

ამ მაგალითში ხარმა უთხრა გუთანს არის მოუბარის, ან ავტორის სიტყვები. მომბეზრდა შენი მაგდენი თრევაო—ეს სიტყვები ავტორს არ ეკუთვნის, ხარის სიტყვებია. გუთანმა უპასუხა—ეს ავტორის სიტყვებია, მეც მომბეზრდა შენი მაგდენი კმევაო—გუთნის.

წინადადებას, რომელიც სხვის ნათქვამ აზრს სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს, შემოტანილი წინადადება ეწოდება.

შემოტანილ წინადადებას თავსა და ბოლოში ბრკალები („“) უნდა დავუსვათ, ბრკალების წინ აგრეთვე ორწერტილი (:).

მოიგონეთ და დაწერეთ ნასწავლი ლექსებიდან რამდენიმე შემოტანილი წინადადება და ქვეშ ხაზი გაუსვით.

სიტყვათა დალაგება წინადადებაში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ წინადადების შემადგენელი ნაწილები მართვისა და შეთანხმების მხრით თუ სათანადო ფორმებით არაა წარმოდგენილი, წინადადების აზრი ბუნდოვანი და, შესაძლოა, სრულიადაც გაუგებარი იქნეს.

მე დაწერილი მაქვს უბის წიგნში ერთი გავრცელებული წინადადება. ამ წინადადების შემადგენელი ყოველი ნაწილი, რა თქმა უნდა, მართვისა და შეთანხმების მხრით სათანადო ფორმებითაა წარმოდგენილი. აი, ამ წინადადების ნაწილებს მე თქვენ დაფაზე დაგიწერთ, მაგრამ არეულად, რა კარგად დააკვირდით, თუ რამდენად გასაგებია მისი აზრი.

მოსტაცა სამი ჩვენს ძეგრამ პატარა გუშინ ქრელ შეჩვენებულმა წიწილი დილას კრუხს.

მგონია, ვერაფერი გაიგეთ! ყოველ შემთხვევაში აზრი ბუნდოვანია. ბუნდოვანია იმიტომ, რომ წინადადების ნაწილები თავთავის ალაგას არ არის, მეტად არეულია. აბა ვცადოთ და ეს სიტყვები თავთავის ალაგას მოვათავსოთ

უწინარეს ყოვლისა ამ სიტყვებში ჩვენ უნდა მოვძებნოთ წინადადების უმთავრესი ნაწილები: ქვემდებარე და შემასმენელი. ამათი მოძებნა ადვილია, რადგანაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზმნა წინადადებაში მუდამ შემასმენელია. ამ სიტყვებში

მარტო ერთი ზმნაა: მოსტაცა, მაშ ეს ყოფილა შემასმენელი. ახლა ქვემდებარე მოეძებნოთ. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ შემასმენელი თუ გარდამავალი ზმნაა და დროთა II ჯგუფისა, ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს. „მოსტაცა“ არის გარდამავალი ზმნა, დროთა II ჯგუფის, ნამყო სრული, მაშ ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში უნდა იყოს. მოთხრობით ბრუნვაშია ძერამ. მაშ ძერამ ქვემდებარე ყოვილა. ახლა ჩვენ უკვე გვაქვს წინადადება: ძერამ მოსტაცა. თქვენ უთუოდ დაგებადებით გონებაში კითხვა: ძერამ ვის და რა მოსტაცა? გინდათ გაიგოთ მოქმედების ობიექტი, ან დამატება. ზმნა ე. ი. შემასმენელი თუ დროთა II ჯგუფისაა, დამატებას სახელობით ბრუნვაში მოითხოვს. სახელობით ბრუნვაშია წიწილი, ეს არის პირდაპირი დამატება. რას მოსტაცა წიწილი? — კრუხს. ეს არაპირდაპირი დამატებაა. ჩვენ გვაქვს ახლა საკმაოდ სრული, ადვილად გასაგები წინადადება: ძერამ კრუხს წიწილი მოსტაცა. მაგრამ ჩვენ კალევ დავგრჩა სიტყვები: შეჩვენებულმა, ჩვენს, სამი, პატარა, გუშინ. ამათაც უნდა მოვეუძებნოთ თავთავისი ადგილი. ავიღოთ პირველი სიტყვა „შეჩვენებულმა“. ეს არის მიმღეობა, იგივე ზედსართავი სახელი. ჩვენ ვიცით, რომ ზედსართავი სახელი უმეტეს ნაწილად წინადადებაში განსაზღვრებადაა და ეთანხმება თავის სასახლურ სიტყვას ბრუნვაში. „შეჩვენებულმა“ მოთხრობითი ბრუნვაა, მისი სასახლური სიტყვაც მოთხრობით ბრუნვაში უნდა იყოს. მოთხრობით ბრუნვაშია „ძერამ“, მაშ „შეჩვენებულმა“ ყოფილა მისი მსაზღვრელი სიტყვა, ან განსაზღვრება. იბადება კითხვა: ქვემდებარის (ძერამ) წინ უნდა მივაკუთნოთ მას ადგილი, თუ ქვემდებარის შემდეგ? კარგად უნდა დაიხსომოთ, რომ განსაზღვრება მუდამ წინ უძღვის თავის საზღვრულ სიტყვას, მაშ „შეჩვენებულმა“ უნდა მოვათავსოთ ქვემდებარის წინ და მივიღებთ შემდეგ წინადადებას: შეჩვენებულმა ძერამ კრუხს წიწილი მოსტაცა. შემდეგი სიტყვაა: ჩვენს. ესეც ზედსართავი სახელია მიცემით ბრუნვაში, მისი სასახლური სიტყვაც მიცემით ბრუნვაში იქნება. მიცემით ბრუნვაშია „კრუხს“, მაშ

„ჩვენს“ ყოფილა დამატების „კრუხს“ განსაზღვრება და როგორც ასეთი მის წინ უნდა მოვითავსოთ. მივიღებთ წინადადებას: შეჩვენებულმა ძერამ ჩვენს კრუხს წიწილი მოსტაცა. შემდეგი სიტყვებია: სამი და პატარა, ორივე სახელობით ბრუნვაში, ამათი საზღვრული სიტყვაც სახელობითში უნდა იყოს. ეს საზღვრული სიტყვაა დამატება „წიწილი“. ეს სიტყვებიც „წიწილი“-ს წინ უნდა მოვითავსოთ და მივიღებთ წინადადებას. შეჩვენებულმა ძერამ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი მოსტაცა. ახლა დავერჩა სიტყვა „გუშინ“. როგორც ვიცით, „გუშინ“ უფორმო სიტყვაა, მას არც შეთანხმება შეუძლია სხვა სიტყვასთან, არც მართულ დამოკიდებულებაში ყოფნა. მაშ ფუჟი შრომა იქნება იმ სიტყვის ძებნა, რომელსაც გვერდში უნდა მოვუსვათ ეს სიტყვა. გუშინ დროს მაჩვენებელი ზმნისართია, მაშასადამე ის ყოფილა დროს გარემოება. წინადადებაში სიტყვათა დალაგების საზოგადო წესი ასეთია: წინადადების თავში უნდა მოვაქციოთ ქვემდებარე თავის მსაზღვრელი სიტყვებით, ბოლოში შემასმენელი, ხოლო წინადადების მეორე ხარისხოვანი ნაწილები მათ შუა უნდა მოექცეს. უახლოესი ადგილი შემასმენელთან დამატებას და მის მსაზღვრელ სიტყვებს უკირავს. ხოლო მათ წინ უძღვის გარემოებითი სიტყვები. ამ წესის მიხედვით გუშინ ქვემდებარის შემდეგ დაიქერს ადგილს და მივიღებთ შემდეგ წინადადებას: შეჩვენებულმა ძერამ გუშინ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი მოსტაცა.

ამ წინადადებას თუ დავაკვრდებით, შევნიშნავთ, რომ სულ ბოლოში არის შემასმენელი, მას წინ უძღვის მისი პირდაპირი დამატება თავისი მსაზღვრელი სიტყვებით, შემდეგ არაპირდაპირი დამატება თავის მსაზღვრელი სიტყვებით, შემდეგ გარემოება და სულ თავში ქვემდებარე თავის მსაზღვრელი სიტყვით. როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, წინადადება იწყება ქვემდებარით და თავდება შემასმენელით. ეს არის საზოგადო, ძირითადი წესი წინადადებაში სიტყვათა დალაგებისა.

ფონეტრიკიდან ჩვენ ვიცით, რომ ყოველი სიტყვის განსაზღვრულ მარცვალზე მოდის მახვილი, ის მარცვალი უფრო გრძლად, ხმის აწევით გამოითქმის. ასეთი მახვილი წინადადებაში მთელ სიტყვაზედაც მოდის, სახელდობრ იმ სიტყვაზე, რომელიც, ავტორის აზრით, უფრო საყურადღებოა. ასეთი სიტყვა საუბარში ხმის აწევით გამოითქმის და მას ლოლიკური (აზრობრივი) მახვილი ეწოდება.

საუბარში ადვილი გასაგებია, თუ რომელ სიტყვაზე მოდის ლოლიკური მახვილი, რადგანაც, როგორც ვთქვით, ეს სიტყვა ხმის აწევით გამოითქმის, მაგრამ როგორ უნდა გამოიცილოს ის მკითხველმა? — იმ სიტყვას, რომელზედაც ლოლიკური მახვილი მოდის, ავტორი შექასპენელთან ახლო ათავსებს. „შეჩვენებულმა ძერამ გუშინ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი მოსტაცა“. ამ წინადადებაში უახლოესი სიტყვა შემასმენელთან არის წიწილი და ლოლიკური მახვილიც სწორედ ამ სიტყვაზე მოდის.

ამ წინადადებაში შეიძლება სიტყვების სხვანაირი დალაგებაც. მაგ., თუ ავტორს ესურვება მკითხველს მეტი ყურადღება მიაქცევიოს სიტყვას „კრუხს“, მაშინ ის ასე იტყვის: შეჩვენებულმა ძერამ გუშინ სამი პატარა წიწილი ჩვენს კრუხს მოსტაცა. ამ წინადადებაში ლოლიკური მახვილი მოდის სიტყვაზე „კრუხს“.

თუ ავტორს ჰსურს მკითხველს გააგებინოს, რომ კრუხს წიწილი ძერამ მოსტაცა და არა ტურამ, მელამ, ან სხვამ, მაშინ ის თავის აზრს ასე გამოჰატავს: გუშინ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი შეჩვენებულმა ძერამ მოსტაცა. ლოლიკური მახვილი ამ წინადადებაში სიტყვა „ძერამ“-ზე მოდის.

შესაძლოა, ჩვენ უფრო დრო გვაინტერესებდეს, როდის მოსტაცა ძერამ კრუხს წიწილი? ამ შემთხვევაში ეს აზრი ასე უნდა გამოითქვას; შეჩვენებულმა ძერამ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი გუშინ მოსტაცა. ამ წინადადებაში ლოლიკური მახვილი სიტყვა „გუშინ“-ზე მოდის.

ახლა ჩამოვწეროთ, თუ რამდენნაირად გამოითქვა ერთი-
დაიგივე აზრი და იმ სიტყვას, რომელზედაც ლოლიკური მა-
ხილი მოდის, ქვეშ ხაზი გავუსვათ.

1. შეჩვენებულმა ძერამ გუშინ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწი-
ლი მოსტაცა.

2. შეჩვენებულმა ძერამ გუშინ სამი პატარა წიწილი ჩვენს
კრუხს მოსტაცა.

3. გუშინ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი შეჩვენებულმა ძე-
რამ მოსტაცა.

4. შეჩვენებულმა ძერამ ჩვენს კრუხს სამი პატარა წიწილი გუ-
შინ მოსტაცა.

ჩვენ გვაქვს ახლა ერთი და იმავე სიტყვებით გამოხატუ-
ლი აზრის ოთხი სხვადასხვაგვარი დალაგება. თუ ამ მაგალი-
თებს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ წინადადების ყველა
წევრმა იცვალა ადგილი, მაგრამ შემასმენელი ოთხსავე შემ-
თხვევაში თავის ალაგას დარჩა, ბოლოში. ეს ასეც უნდა
იყოს, მაგრამ თუ ავტორს ჰსურს მკითხველის განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება სუბიექტის მოქმედებას მიაქციოს, შემასმენელს
წინადადების თავში ათავსებს. ალექსანდრე ყაზბეგს ასე აქვს
აწერილი ჯიხვების პილაობა: „მეორე ჯიხვი კი ზევიდან მო-
ექცა, შედგა უკანა ფეხებზე, წამოვიდა ისე და, რაც ძალი
და ღონე ჰქონდა, დაეცა რქებით კლდის პირა მყოფს ჯიხვს
რქებზე“.

კონიუნქტივი II-ს ხშირად დაერთვის ხოლმე სიტყვა: უნდა-
ამ სიტყვას ბევრი ჩვენი მწერალი წინადადებაში უაღაგო ალა-
გას ხმარობს, მაგ.: „უნდა დელეგაცია მთავრობასთან გავგზავ-
ნოთ და ჩვენს სოფელში სკოლის გახსნა ვსთხოვოთ“. ამ წი-
ნადადებაში სიტყვა „უნდა“ უსათუოდ წინ უნდა უძლოდეს
შემასმენელს „გავგზავნოთ“. მთავრობასთან დელეგაცია უნდა
გავგზავნოთ და ჩვენს სოფელში სკოლის გახსნა ვსთხოვოთ.

ჩვენს დიდებულ პოეტს, ილია ჭავჭავაძეს, ლექსში „რო-
დემდის“ — ერთი ასეთი ადგილი აქვს:

„როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ
სიცოცხლის ფასსა?“

ეს წინადადება საზოგადო წესის მიხედვით ასე უნდა ითქვას: ჩვენ სიცოცხლის ფასს როდემდის არ უნდა ვსცნობდეთ? მაგრამ პოეტს რომ ის ასე ეთქვა, მაშინ ხომ ლექსიც აღარ იქნებოდა!.. ლექსების გამოთქმასაც თავისი განსაკუთრებული წესები და კანონები აქვს და პოეტიც იმ წესებით ხელმძღვანელობს.

სასვენი ნიშნები (პუნქტუაცია).

სასვენი ნიშნებია: წერტილი,
ძძიმე,
წერტილძძიმე,
ორწერტილი,
? კითხვის ნიშანი,
! გაკვირვების ნიშანი,
... მრავალწერტილი,
„- ბრკალები,
— ხაზი, ტირე,
- გადატანის ნიშანი,
() ფრჩხილები.

1. ფრინვლების თბილი ქვეყნებისაკენ გამგზავრება.

ენკენისთევა. დღეები შემოკლდა. ღამ-ღამობით უკვე გრილა. ხეებზე ფოთლებს სიყვითალე დაეტყუა. მერცხლები დიდ გუნდებად დაფრინავენ და ცხელ ქვეყნებში წასვლის წინ გვეშვიდობებიან. აგერ წეროებმაც მალლიდან ჩამოგვძახეს „კროა... კროა“... გაგრძელებულან ძაფივით და სამხრეთისკენ მიემგზავრებიან. გუგული, ბულბული, მოლალური, ოფოფი უკვე აღარ ჩანან ჩვენს ტყე-მინდორში. აქ რჩებიან: ბელურები, შაშვები... ესენი ჩვენთან ერთად აპირებენ ცივი ზამთრის გატარებას.

1. სასვენი ნიშნები მარტივ წინადადებაში. ზემოთ მოყვანილ მაგალითში პირველი წინადადებაა: ენკენისთევა.

ამ ერთ სიტყვაში ქვემდებარეც არის და შემასმენელიც: **ენკენისთვე არის.** შემდეგი წინადადებაა: **დღეები შემოკლდა.** მესამე წინადადებაა: **ლამ-ლამობით უკვე გრილა.** სამივე ეს წინადადება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, არავითარი კავშირი მათ შორის არ არსებობს.

1) ასეთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცალცალკე წინადადება, თუ მათ შორის კავშირი და არ არის, ერთმანეთს წერტილით (.) უნდა დავაშოროთ.

წერტილის ნაცვლად შეიძლება დაისვას კითხვის ნიშანი (?), გაკვირვების ნიშანი (!), ან მრავალწერტილი (...), რაც დამოკიდებულია წინადადების ძნიშვნელობასა და მის გამოთქმაზე.

2) თუ წინადადებაში კითხვა გამოიხატება, ბოლოში კითხვის ნიშანი (?) უნდა დავუსვათ, მაგ.: შეილო, მშორდები?— დედა არ გირყვარს, დედა შენი მოხუცებული?

3) წინადადებაში თუ ბრძანება, თხოვნა ან რამე გრძნობა (გაკვირება, შიში, აღტაცება, ზიზღი და სხვა) გამოიხატება, ასეთს წინადადებას ბოლოში გაკვირვების ნიშანი (!) უნდა დავუსვათ.

გაკვირვების ნიშანი დაისმის აგრეთვე შორისდებულებს შემდეგ, თუ მათზე მკვეთრი მახვილი მოდის. თუ შორისდებულზე ლოლიკური მახვილი სუსტია, გაკვირვების ნიშნის მაგიერ მძიმესა სვამენ, ხოლო ლოლიკური მახვილი თუ სულ არაა, არავითარი ნიშანი არ უნდა, მაგ.:

ობ! უხ! ახ! ვაი და ვუი!

ვაი და ვუი! ოხ! ახ! უხ!

ობ, რა საზარლად ვლმუი!

თუმცა არა წვიმს, მაინც ვქუხს (აკაკი)

ნუ ტირი, დედი! გზათა ვდგავარ, დამლოცე შეილი!—

ვაი თუ მოვკვდე და ვისგანლა დავიტირები?.. (ი. ჭ.)

ობ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებულის (გ. ო.).

2. პოემიდან „დედა და შვილი“.

შ ვ ი ლ ი.

მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,

რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ ტირი, დედი!.. გზათა ვდგაეარ, დამლოცე შვილი!

დ ე ლ ა.

ვაი, შენს დედას!.. მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლურაა გული დედისა...
მაგრამ ნუ წუხარ... გადამიელის... შვილო, მშორდები?
ვაი, თუ მოვკვდე და ვისგანლა დავიტირები?

(ტირის და უფრო მაგრა მიიკრავს გულზე შვილს, მერმე
უეცრად ხელს უშვებს და ზარდაცემულივით თვალს თვალ-
ში უყრის და მცირე ხანს ამ ყოფაშია).

დ ე ლ ა.

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შვილი (გაოცებით).

მერე რომ მიყვარს?

დ ე ლ ა.

მასთან დარჩი!

შ ვ ი ლ ი.

მერე მამული?..

დედა (თითქო ახლა გაახსენდაო).

მართლა, მამული!.. იგი უფრო საყვარელია..

მაშ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია..

მაგრამ... ვიშ! მე რომ უშენოდა მარტო მოვკვდები,

ვინლა დამმარხავს?.. წადი.. წადი .. ნუ გვიანდები!.. (ი. კ.).

4) დედა საომრად შვილს ისტუმრებს. საშინლად ღელავს.

საცოდავი წინასწარ გრძნობს, რომ მალე უნდა მოკვდეს და
არ უნდა მისი დამტირებელი შვილი თავიდან მოიშოროს. თან
ისიც იცის, რომ უსათუოდ უნდა წავიდეს. თავის თავს ებრ-
ძვის... მეტის აღელვებისაგან აზრებს ერთმანეთზე ვერ აბამს
და, როცა შვილი მამულს მოაგონებს, უცებ გამოფხიზლდე-
ბა, მოაგონდება მამულის წინაშე მოვალეობა და სასოწარკვე-
თილებით წამოიძახებს: „მართლა, მამული!.. იგი უფრო სა-
ყვარელია“... ბოლოს აღელვება უმალღეს წერტილამდე აღის
და სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისერის: „წადი. . წადი.. . ნუ

გვიანდები“!.. ასეთ დაუთავებელ წინადადების შემდეგ მრავალწერტილი (.....) უნდა დავსვათ.

„წადი... წადი... ნუ გვიანდები“... ამ მაგალითში თვითეული წინადადება თუმცა მოუთავებელია, მაგრამ აზრი მაინც გასაგებია, რადგანაც ეს წინადადებანი ზმნებითაა წარმოდგენილი. ხშირად წინადადება ისეთს ალაგსაა შეწყვეტილი, რომ აზრი სრულიად გაუგებარია, როგორც მაგ., იმავ მაგალითის ბოლოდან მეორე სტრიქონში: მაგრამ .. ასეთი დაუთავებელი წინადადების შემდეგ მრავალწერტილი დაისმის

ხანდახან კიდევ ავტორი განზრახ სწყვეტს შუაში წინადადებას, რომ მკითხველში უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიოს და მეტი ყურადღება წინადადებას მეორე ნაწილზე მიაქციოს, მაგ.: ქიანურის სიმი გაწყდა და... მასთან გაწყდა მისი სიცოცხლის ძაფაც!.. ფისუნიაშ ისკუპა და... მშვენიერი მგალობელი კლანქებში იგლო.

როცა ჩამოსათვლელი ბევრია და შემოკლება უნდათ, ათავებენ სიტყვებით: და სხვა (მოკლედ—და სხ.), ამ უკანასკნელი სიტყვების (და სხ.) მაგიერ მრავალწერტილსა სვამენ, მაგ.: ივანეს ყველაფერი გაუყრდეს: ტანისამოსი, ავეჯი, ქურქელი...

5) მიმართვითი სიტყვა (ან სიტყვები) თუ წინადადების თავშია, მის შემდეგ მძიმე უნდა დავსვათ (პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!), თუ წინადადების შუაშია, წინაც და უკანაც მძიმე უნდა დავუსვათ (ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლია, ნარზედა), ხოლო მიმართვითი სიტყვა თუ ბოლოშია, წინ მძიმე უნდა დავუსვათ (საიდან მოდინხარ, დათიკო?)

6) ჩართულ სიტყვას (ან სიტყვებს) თავშიაც და ბოლოშიაც მძიმე უნდა დავუსვათ (მე, რასაკვირველია, მოგეხმარები. — დედა, მადლობა ღმერთს, უკეთ არის).

7) მიმატება თუ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, მძიმეებში უნდა ჩავსვათ (ილია ქაეკავაძე, საქართველოს დიდებულის პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მთაწმინდაზე დასაფლავებული).

8) წინადადების ერთგვარი წევრები, თუ მათ შორის შემაერთი კავშირი და არ არის, ერთმანეთს მძიმეთი უნდა დავაშორათ, მაგ.: იყო არაბეთს როსტევეან მეფე ლეთისაგან სვიანი (ბედნიერი), მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი ყმიანი... (შ. რ.). ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი, ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს ქალაქებია. ადამიანს ცეცხლიც ემორჩილება, წყალიც, რკინაც და ქვაც.— პირველყოფილ ადამიანს არც ცეცხლი ემორჩილებოდა, არც წყალი, არც ქვა.

9) თუ წინადადებაში რომელიმე წევრი გამოშვებულია, მის ალაგას ტირე (—) უნდა დავსვათ.

1. სული მივე საკურთხევლად,
საყდრად—(მივე) გული ანაძგერი,
ფიქრად—გრძნობა,
გრძნობა—ლოცვად, —
ორივე ერთად საარაკოდ
თავი ჩემი ზედ დავადევ
დასაწველად.. საზუარაკოდ!..
(აკაკი)

2. შაში ამ ეამად თავის თავს გამარჯვებულად სთვლიდა. აღფრთოვანებული იყო: ღმერთს, მთებს, ტყეს, ცას, დედამიწას,—ყველაფერს მადლობას სწირავდა; მას აღარავინა სძულდა. ჩხიკვი--შაშვის მოსისხლე მტერიც კი--მოკეთედ ეჩვენებოდა. დააიწყდა, თუ რამდენჯერ დაუჭამა შეჩვენებულმა შაშვს ბუდეში გამოსაჩეკად დამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუმბლავი ბარტყები გადაუსანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით; რამდენჯერ გაამწარა, ააშფოთა იქამდე, რომ შაშვის საცოდაობით ტყვეც კი ტიროდა. (ეჭა—ფშაველა).

როცა წინადადების პირველ ნაწილში სხვადასხვა საგნის სახელის ჩამოთვლაა, შემასმენელი კი არაა, ხოლო მეორე ნაწილი პირველის თითქო მალიან გამეორებას წარმოადგენს, მათ შორის მძიმე და ტირე უნდა დავსვათ. (ღმერთს, მთებს, ტყეს, ცას, დედამიწას,—ყველაფერს მადლობას სწირავდა).

10) ყოველგვარი ჩამოთვლის წინ ორწერტილი () უნდა დავსვათ (მამამ ბოსტანში დათესა სხვადასხვა ბოსტნეუ-

ლი: ხახვი, სტაფილო, ქინძი, ოხრახუში, რეჰანი, კამა, ცერე-
ცო და სხ.— მასწავლებელმა მოწაფეებს დაურიგა სასწავლო
ნივთები: რვეულები, ფანქრები, კალმები და კალმისტარები).

ორწერტილი უნდა დაეუსვათ აგრეთვე წინადადებას, თუ
მას შემდეგ მისივე აზრის ახსნა-განმარტება მოსდევს.

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა მე დღეს ვის რა ვარგე? (ი. ქ.)

ორწერტილი უნდა დაეუსვათ წინადადებას, თუ მას სხვისი
სიტყვები მოსდევს.

ივანემ გაჰხედა ტბას და წარბებმოკმუხენითა სთქვა: „ნი-
კო, ვიჩქაროთ, თორემ ქარი უმატებს“.

11) წინადადების ორი ერთგვარი წევრი თუ შეერთებუ-
ლია კავშირით და, მათ შორის მძიმე არ უნდა დავსვათ (შხა-
რეულმა ბაზრიდან პური, ხორცი და მწვანილი მოიტანა).

მძიმე არ უნდა დაისვას აგრეთვე ორ განსაზღვრებას შუა,
თუ ისინი სხვადასხვა ხასიათის ზედსართავეებია, მაგ.: მამამ თა-
ვის ვაჟს მშვენიერი სურათებიანი წიგნი აჩუქა. — ამ წინადადე-
ბაში „მშვენიერი“ ვითარების მაჩვენებელი ზედსართავე სახე-
ლია, „სურათებიანი“ კი — მასალის.

II. სასვენი ნიშნები წინადადებაში.

1) რთული წინადადების შემადგენელი წინადადებანი უთუ-
ოდ უნდა დავაშოროთ ერთმანეთს რომელიმე სასვენი ნიშნით.

2) რთული წინადადება, რომელიც რამდენიმე წინადადე-
ბისაგან შედგება და მათ შორის არავითარი კავშირი არაა,
ერთმანეთს მძიმეებით უნდა დავაშოროთ.

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სუფევედა იქ სიყვარული,
თურმე იქ ფრენდა ბედი მლიმარი,—
ახლა კია ეს მარტო სიზმარი!

თურმე იქაცა ბრწინავდენ დღენი,
იქაც ცხოვრობდენ ერთგულნი ძენი,
ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი,—
ახლა კია ეს მარტო სიზმარი!

3) დამოკიდებული წინადადება უნდა დავაშოროთ მთავარს, რომელსაც ის უერთდება, მძიმეთი (მე ვატყობ, რომ ხვალ კარგი დარი იქნება. წუხელის რომ არ გაწვიმებულიყო, დღეს დიდი სიცხე იქნებოდა. — ის, ვინც თხზულებას კარგად დასწერს, ჩინებულ ჯილდოს მიიღებს).

4) კავშირებით: მაგრამ, თუ, ან შეერთებული წინადადებანი უნდა დავაშოროთ ერთმანეთს მძიმეებით, ხოლო მათ შორის თუ მნიშვნელობის მხრით მჭიდრო კავშირი არაა — წერტილმძიმეთი.

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგარს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარაფი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყენა, წაწყმედა და ლალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა;
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა;
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა;
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს ერთ რთულ ფრაზას (წინადადებას), რომელიც დანაწილებულია ცალცალკე წინადადებად.

თუ რთული ფრაზის, მსგავსად ზემომოყვანილ მაგალითისა, ცალცალკე წინადადებად დანაწილება შეიძლება, მათ შორის წერტილმძიმესა სუამენს.

ნ. თუ წინადადებათა შორის კავშირი არაა ისინი უნდა დავაშოროთ ერთმანეთს:

ა) **ორწერტილით**, თუ მეორე წინადადება პირველის შედეგია, ან მეორე პირველსა ჰხსნის, მაგ., მას სკოლაში მისვლა არ შეეძლო: იგი მძიმე ავადმყოფი ლოგინში იწვა.

ბ) ფრჩხილებით—**ჩართული წინადადებანი**, მაგ.: თვალს არ აშორებს ამ ყვეს მელია (აბა, შიმშილი ასე ძნელია). — ბატონყმობას საქართველოში მეტად სასტიკი ხასიათი ჰქონდა. მებატონეთა სიმხეცის გამო ქართველი გლეხები ხშირად სტოვებდნენ სამშობლოს და სათათრეთში (ოსმალეთ-სპარსეთ-ლეკეთში) გადადიოდნენ.

სწორედ ეს გარემოება გახლავს იმის მიზეზი, რომ საქართველოს სოფლებში (განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში) ქართველი გლეხობა ასე მოიხპო. (ზ. კ.)

რალა თავი მოგაბეზრო ბევრი ლაპარაკით: მეორედ ღღეს ჩაგვყარეს ურემში და ბატონთან ჩაგვყვანეს. ქალბატონთან რომ წარგვადგინეს, იმან გაგვსინჯა და გვიბრძანა, რომე მე და ჩემი და (ერთი დაცა მყავდა მე) უნდა ვყოფილიყავით პირის მოსამსახურედ, დედაჩემს კი უბრძანა პურის მცხობლად ყოფნა. („სურამის ციხე“ — დ. კ.)

გ) სხვა შემთხვევებში კი უკავშირო წინადადებანი ერთმანეთს მძიმეებით უნდა დავაშოროთ.

აფრინდა ქორი, აფრინდა,
არავგი ჩაინადირა,
მცხეთას დაეცა დედალსა,
ავკალას მტვერი აღინა.

ნ) სხვისი სიტყვების წინ თუ ავტორის სიტყვებია, ავტორის სიტყვებს შემდეგ **ორწერტილი** უნდა დავსვათ, სხვისი სიტყვები კი ბრქალებში მოვაქციოთ (მთაში ლორმა დაიკვება: „ყველგან გავიკეთე ბინა, ვერც არას თოვლი დამაკლებს, ვერცა შემოდგომის წვიმა“).

ავტორის სიტყვები თუ სხვისი სიტყვების შემდეგაა, ავტორის სიტყვებს წინ მძიმე უნდა დაუუსვათ, მაგრამ სხვისი სი-

ტყეების შემდეგ, თუ საკიროა, კითხვის ნიშანი ან გაკვირვების, მძიმე საკირო აღარაა, მაგ.: „მალე გნახავ და ჩემს დედის კისერზე მოგებზევი“, მწერს ჩემი გოგონა მერიკო.— „უნივერსიტეტი რომელს ქუჩაზეა?“ მკითხა ერთმა ახალგაზრდამ.

როცა საუბარი ორ პირს შორის წარმოებს და მათი სიტყვები ახალი სტრიქონიდან იწყება ბრქალების ნაცვლად ტირის სვამენ, მაგ.:

1) ქუჩები თანდათან ცალიერდებოდა. ყველა თბილი ბინისკენ მიეშურებოდა. არავის არ ესმოდა უმწუო მოხუცის ედრება. მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა კაცმა შეამჩნია იგი და, მიუახლოვდა თუ არა, გრძნობიერი კილოთი ჰკითხა:

— რა დაგემართა, მოხუცო! აქ რას აკეთებ ასეთ სუსხიან ნამქერში, რატომ შინ არ მიხვალ?

— მიშველე, ღეთისნაერო, მიშველე!.. უსინათლო ვარ, ხელფეხი გამეყინა... აღარ შემიძლია, აღარ...

— მომეცი, მოხუცო, ხელი! მე მიგიყვან შენს ბინაზე. სადა ცხოვრობ?

— ბინა არა მაქვს, შვილო!

— რას ამბობ, მოხუცო, რას!

— სიმართლეს, შვილო.

— მაშ, სად ათენებ ღამეებს, სად იძინებ, მოხუცო, სად?

— ცის ქვეშ... სადმე ქუჩის ყრუ კუნკულში...

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!— შებრალებით წარმოსთქვა ყმაწვილმა და ნელ-ნელა წამოაყენა მთელი სხეულით გათოშილი, უსინათლო მოხუცი. (გ. ქ.).

2) ერთი ობოლი ყმაწვილი იყო. რომ წარმოიზარდა, დედას ჰკითხა: „დედა, ყველას მამა ჰყავს, მე რად არა მყავს?“ დედამ უთხრა: „შენც გყავდა, შვილო, მაგრამ წყალმა დაახრჩო“. შვილმა უთხრა: „იმ წყალზე განა ხადი არ იღვა, რომ გამოსულიყო?“ დედამ უთხრა: იღვა, მაგრამ შორს, იყო.“ შვილმა უთხრა: „განა ისე შორს იყო, რომ აქამდე ევლო, ვერ მოუარდა?“ დედას გაეცინა და ეგრე უთხრა; „ამდენი რომ ეფიქრა, არც კი დაიხრჩობოდა.“ (ს.-ს. ო.).

გადააკეთეთ ეს არაკი მსგავსად პირველი მაგალითისა და დასვით სათანადო სასვენინიშნები.

გადაიწერეთ შემდეგი მაგალითი და თავთავის ალაგას დასვით საკირო ნიშნები!

ვანოს დედა ავად ჰყავდა მამა შინ არ იყო და ავადმყოფს მომვლელი მის მეტი არავინ ჰყავდა ვანო დედას გვერდით უჯდა წამისწამს წყალს აწოდებდა და ხან საბანს უსწორებდა ამის გამო ვანომ გვიანამდღე ვერ დაიძინა და საშინაო თხზულებაც დაუწერელი დარჩა მზე ამოვიდა მამლებმა დიდი ხანია იყივლეს მაგრამ ვანოს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა გამოიღვიძა თუ არა საჩქაროდ ტანისამოსი ჩაიცვა ხელ-პირი დაიბანა დაივარცხნა ჩანთაში ჩაიწყო წიგნები რვეულები კარანდაში კალმისტარი და სკოლისაკენ მოკურცხლა ვანო რომ სკოლაში მივიდა გაკვეთილი უკვე დაწყებული იყო და დარცხვენილი თავის ალაგას დაჯდა როგორც ეტყობოდა მასწავლებელი ცუდ გუნებაზე იყო და ვანოს უკმაყოფილოდ ვადმოხედა.

ვანო ამდენ ხანს რად დაიგვიანე აბა შენი რვეული გამოიტანე ვანოს კიდევ უფრო შერცხვა და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით გადმოცვივდა როცა მასწავლებელმა დაგვიანების მიზეზი შეიტყო ვანოს სრულიადაც არ გაჯაფრებია პირიქით მოეფერა კიდევ და ავადმყოფი დედის მოვლა მოუწონა

ბოლოსიტყვა.

ამ წიგნის შედგენის დროს ესარგებლობდი უმთავრესად შემდეგი წყაროებით:

1. პროფ. აკაკი შანიძე: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“.

2. მისივე წერილი: ქართული ზმნის საქცევი, „უნივერსიტეტის მოამბე“ 1926 წ., № 6 და სხვა წერილები იმავე ჟურნალის სხვადასხვა ნომერში და „წელიწდეულში“.

3. პროფ. გ. ახველიანი: „შენიშვნები ქართულ თანხმოვნათა განდასებისათვის“ და მისივე წერილები „უნივერსიტეტის მოამბის“ სხვადასხვა ნუჟერში.

4. არნოლდ ჩიქობავა: უღვლილების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში. „საქართვე. განათლების მუშაკი“, № 14, 1926 წ.

5. „სალიტერატურო ქართულისათვის“—შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ.

6. А. М. Пешковский: Русский Синтаксис в научном освещении, 1920 წ. გამოც.

7. Его же: Школьная и научная грамматика, 1923 წ. გამოც.

8. В. Гиппиус: Синтаксис соврем. русск. яз, 1923 წ. გამოც.

9. Проф. Н. С. Державин: Маленькая Грамматика, изд. 1924 г.

10. Ф. Фриндланд и Е. Шалыт: Практич. грамматика русского языка, издание пятое.

11. С. И. Абакумов: Учебник Русск. Грамматѣки, изд. 1923 г. ვისარგებლე აგრეთვე პროფ. გ. ახველიანის, აკაკი შანიძის, არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურას ზეპირი ლექციებით, რომელსაც ისინი გასულ წელს განათლების მუშაკთა სახლში კითხულობდნენ. სხვათა შორის ბ.ნ არნ. ჩიქობავას ერთი ლექციიდან მთლიანად აღებული მაქვს ბრუნვების რიგი.

არ შემიძლია განსაკუთრებითი მადლობით აო მოვიხსენიო ბ.ბ. გ. ახველიანი, ვ. ბერიძე, ვ. თოფურია და არნ. ჩიქობავა, რომელთაც ფასდაუდებელი დახმარება გამიწიეს ჩემთვის გაურკვეველ ზოგიერთ საკითხის ახსნა-განმარტებით.

ი. ნიკოლაიშვილი

ს ა რ ჩ ე მ ი:

	83.
ფონეტიკა . . .	3
ბგერათა წარმოება	6
მარცვლი და მახვილი	11
ბგერათა ცვალების წესები	14
მორფოლოგია	22
ზმნა	27
უღვლილება	38
დროთა I ჯგუფი	39
დროთა II ჯგუფი .	41
დროთა III ჯგუფი . . .	43
ზმნათა უღვლილების ცხრილი	44
მიმღეობა	56
ენებითი გვარის ზმნის უღვლილება	60
მეორე უღვლილება	63
ენებითი გვარის უღვლილება .	66
მესამე უღვლილება	68
მეოთხე უღვლილება	71
დრო ნაკლი (დეფექტური) ზმნების უღვლილება	74
არსებითი სახელი .	80
ზედსართავი სახელი	87
ნაცვალ სახელი	93
რიცხვითი სახელი .	99
სინტაქსი	105
სიტყვათა დალაგება წინადადებაში .	130
სასვენი ნიშნები	135
ბოლო სიტყვა .	145

